# ცისკარი.

**1864**

სეკტემბერი.

## წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:


**I**— მასკარადი (ლერმანტოვითგან. დრამა.—) გრ. წინამძღვაროვისა.

**II**—**1**, ნეკროლოგი· **2**, აშაოება (ლექსი დერჟავინით.) **3**, მჭედელი (ლექსი.) ი. კერესელიძისა. **4**, ქართველას. ა.—სი.

**III**—ალექსანდრე მაკედონელის სიყმაწვილე.—გ. დიდებულიძისა.

**IV**—სხჳა და სხჳა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ)


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფია.

# ცისკარი.

ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

გამოცემა ივ. კერესელიძისა-გან.

ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ი.

წელიწადი მერვე.

«თუ შეიყვარო სმენად,—მიითვალე. და უკეთუ მიუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე». (წიგ. ისო ზირ. თავი **6** მუხ. **34**)

---


**ტფილისს.**

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

**1864.**

Дозволено цензурою. 1864 г. 10. Сентября.

# მ ა ს კ ა რ ა დ ი.

დ რ ა მ ა

ოთხ მოქმედებად.

თხზულება ლერმონტოვისა.

თარგმნილი გ. წინამძღვაროვისაგან.

1857-სა წელსა.

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## მოქმედნი პირნი:

1. არბენინი—ევგენი ალექსანდრიჩი,
2. ნინო—ცოლი ამისი,
3. კნიაზი ზვეზდიჩი.
4. ბარონესა შტრალი.
5. კაზარინი—აფანასი პავლოვიჩი.
6. შპრიხი—ადამ პეტროვიჩი.
7. მასკა.
8. ჩინოვნიკები.
9. ქაღალდის მოთამაშები.
10. სტუმრები.
11. მოსამსახურე კაცები და დედაკაცები

# მოქმედება პირველი.

## სცენა პირველი

### გამოსვლა პირველი.

(ქაღალდის მოთამაშები, გნიაზი ზვეზდიჩი, კაზარინი და შპრიხი (სტოლზე ბანქს თამაშობენ . . . გარეშემო უდგანან რამდენიმე სხვანი).

პირველი მოთამაშე ივან ილიჩ! ნება დამრთეთ ჩამოვიდე.

ბანკომეტი ინებეთ

პირველი მოთამაშე ათი თუმანი .

ბანკომეტი. მოდის.

მეორე მოთამაშე. მშვიდობის გზა მოგცეს.

მესამე მოთამაშე როგორც იყოს უნდა მოიგოთ, თორემ თქვენი საქმე ძნელია.

მეოთხე მოთამაშე. უნდა მოსდრიკოთ.

მესამე მოთამაშე. დაეხსენ.

მეორე მოთამაშე. სულ? არა, ეძნელება!

მეოთხე მოთამაშე. რას გეუბნები, საყვარელო მეგობარო, ვინც ახლა არ იდრიკება ის ვერაფერს ვერ აიგებს.

მესამე მოთამაშე. (ჩუმად ეტყვის პირველ მოთამაშეს):

კარგა უყურე

კნიაზ ზვეზდიჩი ვაბანკ!

მეორე მოთამაშე ჯა, კნიაზ! გაცხარება მხოლოთ სისხლს უხდენს თამაშობაში ნუ ცხარდებით.

კნიაზი თქჳენთან შეინახეთ ამ ჟამად ეგ დარიგება.

ბანკომეტი მოგჳდა.

კნიაზი ფუ! ეშმაკო!

ბანკომეტი გვიბოძეთ ფული

მეორე მოთამაშე (დაცინებით). მე ვხედავ რომ ჯავრით ყველაფრის წაგება გინდათ. რა ღირს თქჳენი ეპოლეტები?

კნიაზი ეპოლეტები პატიოსნებით მიშოვნია და იმის ყიდვა თქჳენ არ შეგიძლიანთ!

მეორე მოთამაშე (მიდის; ცხვირ წინ იტყვის):

თქჳენისთანა ახალგაზდამ ამისთანა უბედურებაში ენა პატარა მაინც დაიმოკლოს.

(კნიაზი ერთ სტაქან ლიმონადს დალევს, გვერდზე მიჯდება და დაფიქრდება)

შპრიხი (მივა, გულ მომტკივნესავით ჰკითხავს).

ფული ხომ არ გეჭირებათ, კნიაზ? ემ საათში გიშოვით, სარგებელს ცოტას გამოგართმევთ, თუნდ ას წელიწადს მოგიცდით.

(კნიაზი ცივათ თავს დაუკრავს და მიბრუნდება; შპრიხი გამწყრალი უკან წავა.)

## გამოსვლა მეორე.

არბენინი და სხჳანი.

(არბენინი შემოვა, თავს დაუკრავს სტოლის გარემე-

შო მსხდომთა, მერე რაღასაც ანიშნებს კაზარინს და წაიყვანს)

არბენინი. ჰა, რას შვრები კაზარინ? არა თამაშობ?

კაზარინი. არა, ძმაო, თამაშას უყურებ.

შენკი, საყუარელო, შენკი ცოლიანი შეიქენ, გამდიდრდი, გაბატონდი და დაივიწყე შენი ამხანაგები.

არბენინი. ჰო, კარგა ხანია თქჳენთან აღარა ვყოფილვარ.

კაზარინი. ვეღარ მოგიცლიათ საქმეებისაგან?

არბენინი საქმებისაგანკი არა, სიყუარულისაგან

კაზარინი. შენ და შენი ცოლი სულ ბალებში ხართ, ჰა?

არბენინი. არა.

კაზარინი მაშ ქაღალდს თამაშობ?

არბენინი. არა . . ავიღე ხელი , .

მაგრამ აქ სულ ახალნი ხალხნი ყოფილან ვინ არის ეს ფრანტი?

კაზარინი. შპრიხი? ადამ პეტროვიჩი? ბარემც გაგაცნოთ ეხლავე ერთმანერთს.

(შპრიხი მივა ახლოს და თავს დაუკრავს)

აი აქ გახლავსთ ჩემი მეგობარი, გთხოვთ იცნობდეთ, არბენინია.

შპრიხი არბენინს: მე თქჳენ გიცნობთ.

არბენინი. მახსოვს რომ ჩჳენ ერთმანერთს არსად არ შევხვედრივართ.

შპრიხი გაგონებით გიცნობთ,—ამდენი სხჳა და სხჳა ანბავები შემიტყვია თქჳენზე, რომ დიდიხანია თქჳენი გაცნობა მსურს.

არბენინი. მეკი ასე უბედური ვარ, რომ თქჳენზე არა შემიტყვიარა; მაგრამ, რასაკვირველია, თქჳენგან შევიტყობ ბევრს (გამოესალმება. შპრიხი პირს დაიღმეჭს და წავა.)

მე არ მამწონს ეს კაცი, ბევრი უცხვირპირო ვინმე მინახავს, მაგრამ ამისთანას ვერცკი წარმოვიდგენდი: ავაზაკის ღიმილი აქვს; თვალები უფრო საძაგელი; შეხედავ—ადამიანი არ არის, არც თუ ეშმაკსა გავს.

კაზარინი. ეჰ, ჩემო ძმავ, პირის სახეს რას უყურებ? სახით თუნდ ეშმაკიც იყოს: ეს კაცი გამოსადეგი კაცია, რაც გინდა სთხოვე, აღგისრულებს,—საითგან არი—სწორეთ ვერ გეტყვი; ყოველს ენაზე ლაპარაკობს, უთუოთ ურიაა, ყველასთან ცნობა აქვს, ყველგან საქმე აქვს, ყველა ახსოვს, ყველა იცის, თავის დღეში სულ ზრუნვაშია, რამდენჯერ გალახულა; უღთოსთან უღთოა, ფარისეველთან ფარისეველია, ჩჳენთან საშინელი ქაღალდის მოთამაშეა. მაგრამ, პატიოსანთან პატიოსანია. მოკლეთ გეტყვი: ეს კაცი დარწმუნებული ვარ, რომ შეგიყვარდება.

არბენინი. ფარტრეტი კარგია, მაგრამ თითონკი საძაგელია! ის ვიღაა, მაღალ მაღალი, ულვაშებიანი, ფერწასმული? სჩანს რომ ის უნდა იყოს მოდების ამყოლი, საზოგადოებაში გართული და უცხო ქვეყნებში ნამყოფი, საქმისა (ომის) გარეთ გმირი და მარჯჳთ მსროლელი?

კაზარინი. თითქმის .... ის დუელის გამო პოლკი-თგან გამოგდებული იყო .... ამასთან, თითონ იმის დედაც მკაცრი დედაკაცია; მერე ხუთის წლის უკან ისევ გამოითხოვეს. მაშინ კი მართლათ იბრძოლა.

არბენინი. როგორ გცოდნიათ ნაცნობების გამორჩევა!

მოთამაშენი, იძახიან. კაზარინ! აფანასი პავლოვიჩ! აქეთ!

კაზარინი. მოვდივარ.

პირველი მოთამაშე. ჩქარა!

კაზარინი. რა არი, რა დაგემართათ?

(მოთამაშეთ ყაყანი შეუდგებათ, მერე დაწყნარდებიან. არბენინი დაინახავს კნიაზს ზვეზდიჩს და მივა იმასთან).

არბენინი კნიაზ, რისაგან არი აქა ძმანდებით? იქნება პირველი არ არი თქჳჱნი აქ ყოფნა?

კნიაზი (ცოტა წყენით) ეგ მე თქჳჱნთვის მინდოდა მეკითხა

არბენინი. მაშ კარგი, მე დაგასწრობთ პასუხს: დიდი ხანია მე აქ მიცნობენ. ხშირათ მინახავს მე აქა ბედის ჩარხის ტრიალი და ჩუმათ გულის ღელვით მიცქერია: ერთს აღიყვანდა, აღამაღლებდა ხოლმე, მეორეს ძირს ჩამოიყვანდა და გასრესდა. მე არც ერთის ბედი შემშურვებია და არც მეორის დღე დამურია. მრავალი მინახავს მე აქ ახალგაზდა უმაწვილი კაცი, იმედებით და გრძნობით გულსავსე, ცხოვრების ცოდნაში ბედნიერი უმეცარი, მხურვალის გულით,—ახალგაზდა, რომელსაც იმ ჟამამდინ მიჯნურობის მეტი არაფერი სხჳა გულის წადილი არა ჰქონია,—მსწრაფლ დაიღუპნენ ისინი ჩემ თჳალ წინ და აი ახლაც კიდევ ვნახავ მე ამას!

კნიაზი, გულ შეიწროებული გამოართმევს ხელს არბენინს:

რაცა მქონდა სულ წავაგე!

არბენინი. გხედავ ახლა რა გწადიანთ? წყალში უნდა თავი დაირჩოთ??.

კნიაზი. ოჰ, სხჳა რა ილაჯი მაქჳს?! სასოება წარმეჭვეთა!

არბენინი. ორი ილაჯი გაქჳსთ: ან აღთქვით რომ თქჳენ თქჳენ დღეში ქაღალდი აღარ ითამაშოთ, ან ეხლავე დაჯექით ითამაშეთ. მაგრამ, თუ გნებავსთ რომ აქ მოიგოთ, ყველაფრისაგან ხელი უნდა აიღოთ: ნათესავებისაგან, მეგობრებისაგან, პატიოსნობისაგან; გამოსცადოთ და კარგათ გაშინჯოთ თქჳენის გონების და სულის ძალა, თითო თითოთ განსჩხრიკოთ ისინი; დეეჩვიოთ ახალ და მცირედ ნაცნობების განზრახვის და ჭაზრების ადვილად და ცხადად იმით სახეზე შეტყობასა; წელიწადები მოახმაროთ, სანამ ხელები შეეჩვეოდეს ქაღალდსა; ყველა მოიძულოთ და დაარღვიოთ: რჯული კაცისა, რჯული ბუნებისა; დღე ფიქრობდეთ, ღამე თამაშობდეთ, მუდამ ტანჯვაში იყვნეთ, არავის კი არ ესმოდეს თქჳენი ტანჯვა; არ შეძრწუნდეთ, როდესაც თქჳენებრ ოსტატი გეთამაშებოდესთ; მუდამ წამს მოელოდეთ მოგებასაც და წაგებასაც; ნუ შეგრცხვებათ პირშიაც რომ გითხრან: პადლეცოვო!

(ჩუმობა. კნიაზი გულის ღელვისაგან ძლივ უგდებდა ყურსა).

კნიაზი. არ ვიცი რა უყო, რავქნა?

არბენინი. რაც გნებავსთ.

კნიაზი იქნება რომ ბედი . . .

არბენინი ეჰ, ამ საქმეში რა ბედი, რაები!!.

კნიაზი. სულ ერთიანათ წავაგე და . . ახ, ერთი მირჩიეთ რამე.

არბენინი. მე არავის არას ურჩევ.

კნიაზი. მაშ დავჯდები . .

არბენინი (ერთბაშათ წაავლებს ხელს) მე დავჯდები თქჳენ მაგიერათ. თქჳენ ახალგაზდა ხართ; მეც ერთხელ თქჳენსავით ახალგაზრდა გამოუცდელი ვიყავ, ჭირვეულობა და ახირებაცა მჭირდა. ერთ ვისმე რომ . . (დადგება და გაჩერდება) დაეშალა ჩემთვის . . (დააცქერდება კნიაზს) მაშინ . . . (სხვა ხმით) ხელი მამეცით თქჳენს ბედზე, მერე მე ვიცი.

(მივა სტოლთან, ალაგს აძლევენ)

ნუ დაითხოვთ დამკვლებულს მოთამაშეს; მინდა ვცადო რას მეტყვის ჩემი ბედი.

კნიაზი ვერ მოითმინა . . . გული გაუხურდა! (ჩუმათ) ჴმ, არ შეირცხვინო კი თავი და დაუმტკიცე ამათ რას ნიშნავს ძველ მოთამაშესთან თამაშობა.

მოთამაშენი — მობრძანდით, აი წიგნებიც ინებეთ, — თქჳენ სახლის პატრონი ბძანდებოდეთ და ჩჳენ სტუმარნი.

პირველი მოთამაშე (მეორეს ეტყვის ყურში): ფრთხილათ იყავ, თჳალი კარგა ადევნე ახლა . . ეს კაცი ჩემი საგბილო კაცი არ არის და ჩემსა კიკოს კიკოთი მოჰკლავს.

(თამაშობა იწყობა, ყველანი მოგროვდებიან გარემო სტოლისა; ხან და ხან ისმის მოთამაშეთ სხჳა და სხჳა ყვირილი. — ამის ქვემოთ დაწერილ ლაპარაკის ჟამს მრავალნი თითო თითოთ მოშორდებიან თჳალ წარბ შეკრულნი, მოწყენილნი)

(შპრიხი დაუჭერს ხელს გაზარინს და მოიყჳანს სცე-ნაზე).

შპრიხი (წყენით, სიბოროტით): მიიჩქუფნენ ყველანი! თითქო ელვა ანუ ჭექაა.

გაზარინი ასეთ საქმეს უზამს ის იმათ, რომ ერთ თვესაც ვერ დაავიწყდესთ.

შპრიხი. სჩანს, ოსტატია.

გაზარინი იყო

შპრიხი. იყო? ახლაკი . .

გაზარინ. ახლა? . . ცოლი შეირთო, გამდიდრდა, გადარო-ბაისელდა; რო შეხედო ასე გეგონება ბატკანია, მაგრამ ისევკი ის ნადირია. . . ამბობენ თუ: შეიძლება გადაჩვე-ვა, ბუნების დაძლევა? სულელია ვინც ანბობს: თუნდ მოიანგელოზოს თავი, მაინც კიდევ ეშმაკი უჯდება გუ-ლში. შენც, ჩემო მეგობარო (დაჰკრავს მხარზე ხელს) თუმცა იმისთანა ყრმა ხარ—შენ გულშიაცკი ზის პატარა ეშმაკი.

(ამ დროს ორნი ქაღალდის მოთამაშენი მოვლენ ამათო-თან გაცხარებულ ლაპარაკით.)

პირველი მოთამაშე მე რომ გეუბნებოდი!

მეორე მოთამაშე. რა უყოთ, ძმაო! მოვიდა სეტყვა და დახვდა ქჳაო; განა არ ვიეშმაკე? მაგრამ რო არ იქნა! თითქო ყველა ნარდათ აუღიაო! სცხვენიან კიდეც კაცსა რო ფიქრობს. . .

გაზარინი, მივა იმათთან რა ამბავია, ყმაწვილებო? იქ-ნება ვერ გაუძელით, ჰა?

პირველი მოთამაშე. თქჳენი არბენინი გამოცდილი

ოსტატია

კაზარინი იჰ, რასა ბრძანებთ!

(სტოლის გარეშემო მსხდომთ ქაღალდის მოთამაშეთ ერთმანერთში ლაპარაკი მოუგათ).

მესამე მოთამაშე ეგრე იუნდ ას თუმანზედაც მოსდ-რეკს.

მეოთხე მოთამაშე, (გვერდზე) წააგებს. . .

მეხუთე მოთამაშე გნახოთ.

არბენინი, (დგება) ბასტა!

(აჰკრებს ოქროებს და წავა; სხჳანი სტოლთან დარჩე-ბიან; კაზარინიც და შპრიხიც სტოლთან არიან; არბენი-ნი ფერ გადაკრული ხმა ამოუღებლივ დაუჭერს კნიაზს ხელწ და მისცემს ფულებს)

კნიაზი. ოჰ, ჩემ დღეში მე არ დამავიწყდება! . . თქჳენ დამიბრუნეთ ჩემი სიცოცხლე . .

არბენინ აგრეთვე თქჳენი ფული, (მწარეთ:) ძნელიკი არი ალსნა, რომელი უფრო მკირია: ფული თუ სიცოცხლე?

კნიაზი. დღეს თქჳენ მე უდიდესი მსხვერპლი შემო-მწირეთ.

არბენინი მე? არც ერთი ბეწო. მე მიხაროდა რომ წარმომიდგა შემთხვევა სისხლის ღელვისა, გულის და გონების შფოთით აღვსებისა. რა გულითაც თქჳენ ომში შეხვიდეთ მეც იმ გულით დავჯექ სათამაშოთ.

კნიაზი მაგრამ რო სულ წაგეგოთ.

არბენინი. მე? არა!. . წავიდა ის სანატრელი დღეები! ახლა ჩემ თვალწინ სულ ყველაფერი ცხადია, ქაღალდის თამაშობისა ყველა ოსტატობა, ყველა ეშმაკობა ვიცი,

და ამის გამო მე ახლა აღარა ვთამაშობ ქაღალდს.

კნიაზი. თქჳენ ექცევით ჩემს მადლობას..

არბენინი. სწორე მოგახსენოთ, მე მადლობა არ მიყვარს, მე ჩემს დღეში არაფრით არავის ვალდებული არ ვყოფილვარ. თუმცა მიქნია ვისთჳსმე სიკეთე, ისიც იმიტომ რომ იმ სიკეთეში ჩემი სარგებლობა მინახავს, და არათუ იმის მეგობრობის გამო მიკისრია.

კნიაზი არ დავიჯერებ.

არბენინი ვინ გიბძანებსთ დაიჯეროთ? მე დიდი ხანია ამას დავჩვეულვარ; რო არ მეზარებოდეს პირ მოთნეობას დავიწყობდი. მაგრამ, გავათაოთ ეს ლაპარაკი (მცირე დუმილება), ცუდი არ იქნება არც ჩემთჳს და არც თქჳენთჳს რომ წავიდეთ საითმე გულის გასაღებათ. ახლა ხო უქმე დღეებია, მასკარადი იქნება უთუოთ.

კნიაზი დიახ.

არბენინი წავიდეთ

კნიაზი. მე მოხარულიცა ვარ.

არბენინი, (გვერდზედ.) ხალხში პატარას მოვისვენებ.

კნიაზი. იქ ქალები არიან—საკჳრველნი; ამბობენ არიან ხოლმე ასეთებიც..

არბენინი. დეე თქონ,—ჩუენ რა ხელი გვაქჳს! მასკიანები ყველანი თანასწორნი არიან: მასკას არც სული აქჳს და არც სახელი, მხოლოთ სხეულია, და პირის მასკას თუმცა დეემალოს პირის სახე, გულის მასკას ადვილად აუხდიან ხოლმე (მიდის)

## გამოსვლა მესამე.

ისინივე, არბენინის და კნიაზ ზვეზდიჩის გარდა.

პირველი მოთამაშე კაი დროსა თქო: ბასტა! საში-ნელია იმასთან თამაშობა!

მეორე მოთამაშე ერთი არ დამაცალა პატარა გონე-ბას მოვსულ ვიყავ.

მოსამსახურე, (შემოდის) ვახშამი მზათ გახლავსთ.

სახლის პატრონი. წავიდეთ ყმაწვილებო შამპანსკი ბცემსთ დანაკარგის ნუგეშს (მიდიან)

შპრიხი, (მარტო) არბენინს მისდა შეკხვდე, და მუქთათ ვახშმის ჭამაცა მსურს. (თითს მიიდებს შუბლზე)

აქა ვჭამ ვახშამს.. შევიტყობ რასმე კიდევ და მერე იმათ უკან მივფრინდები მასკარადში.

(მიდის, თავის თავად ლაპარაკობს)

## მასკარადი.

### სცენა მეორე

### გამოსვლა პირველი.

მასკები, არბენინი, მერე კნიაზ ზვეზდიჩი.

(ხალხი სცენაზე ირევა, მარცხნივ გრძელი სკამი დგას)

არბენინი, (შემოდის) უბრალოდ ვეძებ მე ყველგან გუ-ლის გალებას მართალია, მრავალი სხჳა და სხჳა ხალხი ირევა აქ ჩემ თჳალწინ და დუდუნებს; მაგრამ გული კი გრილი მაქჳს, ხიალსაც სძინავს. ესენი სულ უცხონი

არიან ჩემთჳს, მეც ამათთჳს უცხოვარ!

(კნიაზი მივა დამთქნარებით)

აი ახლანდელი ახალგაზდა; ამასა გვგანდი, ამოდენა რო ვიყავ?— რა ჰქენით კნიაზო, ვერავის შეხვდით?

კნიაზი. სადარი, მთელი ერთი საათია ვიარები.

არბენინი. ჰო, თქჳენ გინდათ რომ ბედნიერებამ თითონ მოგნახოსთ, ახალი აზრია ეგ აზრი; კარგი იქნება რომ ყველამ შეიტყოს.

კნიაზი სულ სულელი მასკებია,

არბენინი მასკა სულელი არ არის: თუ ჩუმათ არის გამოუცნობია, და თუ ილაპარაკებს—ტურფაა; თქჳენ იმის ლაპარაკის ჟამს შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ისეთი ღიმილი, ისეთი თვალების ჭვრეტა, როგორიც თქჳენა გნებავსთ, . აი, მაგალითად. იქ უყურეთ, როგორ მძიმეთ, კეთილშობილურათ გამობძანდება მაღალ—მაღალი ოსმალურათ ჩაცმული ქალი. . რა თამამია! როგორ თავისუფლათ და შმაგათ უცემს გული! ხო არ იცნობთ იმას, ვინ არის? იქნება ერთ ერთი ამაყი გრაფინია ანუ კნიაჟნაც არის. . . ვინც უნდა იყოს თქჳენ არას იზიანებთ. (არბენინი წავა).

## გამოსვლა მეორე.

კნიაზი და მასკა (ქალი).

(ერთი მასკა მოვა და დადგება კნიაზი ფიქრშია, დგას).

კნიაზი. ჰო კარგი, მართალია; თქმა ადვილია —მაგრამ მე ჯერ კიდევ ცუდათ დავიარები . ეჰე, აი ერთი მოდის , ღმერთო შენს მადლს! (ერთი მასკა მოშორ-

დენა, მოვა და კნიაზს მხარზე ხელს დაჰკრავს და ეტყვის.)

მასკა. მე შენ გიცნობ.

კნიაზი. ხჩანს რომ ახლოთ მიცნობ.

მასკა. რაზე ფიქრობდი მე ისიც ვიცი.

კნიაზი. მაშ რადგანც ეგრეა, შენ ჩემზე ბედნიერიხარ.
(შეიხედავს მასკის ქუდში)

მშვენიერი ტუჩები აქვს, თუ არ მოვტყუვდი.

მასკა. მოგწონვარ? ეგ უფრო ცუდი.

კნიაზი. ვისთვის?

მასკა. ჩვენ ორთაგან ერთ ერთისთვის: ანუ ჩემთვის ანუ შენთვის

კნიაზი. მე არ მესმის რათა?.. მაგ წინასწარმეტყველებით შენ მე ვერ შემაშინებ. და მე, თუმცა სრულებით ეშმაკობა არა მაქვს—შევიტყობ კი ვინა ხარ შენ..

მასკა. მაშ თუ ეგრეა გეცოდინება. ჩვენი ლაპარაკირით გათავდება?..

კნიაზი. ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ და გავიყრებით

მასკა. მართლა?

კნიაზი. მარცხნივ შენ წახვალ, მარჯვნივ მე..

მასკა. რო გაიგებ იმ ფიქრით ვიყო მე აქ მოსული რომ შენ გნახო და გელაპარაკო? ესეც რომ გითხრა რომ ერთს საათს უკან შენ შემამჩნიცავ რომ შენ დღეში შენ მე არ დამივიწყო? ესეც რო გითხრა, რომ იმ წამს, როდესაც მე აქედგან გაფრენას დავაპირებ, როგორც უსახელო მოჩვენება, მაშინ შენ შენს სიცოცხლეს სიხარულით მამცემ, ოღონდკი გაიგონო ჩემი პირიდგან მხოლოთ ეს სიტყვა: «მშვიდობით მეორეთ ნახვამდინ!»

კნიაზი. შენ ჭკვიანი მასკა ხარ, მაგრამ ბევრს სიტყუვას ჭყვანცლავ უბრალოთ. შენ თუ მე მიცნობ. მითხარ ვინა ვარ?

მასკა. შენ?—შენა ხარ უხასიათო, უმართებული, უღმერთო, შენ. თავის მოყვარე, ბოროტი. მაგრამ უძლური კაცი; შენზეა გამოხატული მთელი ახლანდელი დროება, ახლანდელი ბრწყინვალე, მაგრამ უბრალო დროება: თამამი სიცოცხლე გინდა და გულის ხმასკი ყურს არ უგდებ; გინდა რომ ყველაფერი გქონდეს, არაფრის მსხვერპლად შეწირვაკი არ იცი; უამაყო და უგულო კაცნი გძულან, შენ თითონვე იმათი სათამაშო ხარ. ოჰ, გიცნობ მე შენ. .

კნიაზი. ეგ ჩემთჳს დიდად სასიამოვნოა.

მასკა. შენ მრავალი ბოროტი საქმე ჰქენ. .

კნიაზი. ჩემ უნებურათ—იქნება.

მასკა. ვინ იცის მე მხოლოდ ეს ვიცი რომ დედაკაცს შენ არ უნდა უყვარდე.

კნიაზი. არც თუ ვეძებ სიყვარულს.

მასკა. ძებნაც არ იცი შენ.

კნიაზი. ძებნა არ ვიციკი არა—დავიღალე ძებნით.

მასკა. მაშ ახლა რომ წინ წარმოგიდგეს ის და გითხრას უცებ: «შენ ჩემი ხარო»! კიდევ გაბედავ გულგრილათ ყოფნას?

კნიაზი. ვინ არის ის? . . მაშ იდეალი იქნება?

მასკა. არა, დედაკაცია. . ამაზე მეტი—მე რა საქმე გაქჳს.

კნიაზი. მაშ აბა მიჩვენე მე ის, დეე წარმომიდგეს კა-

დნიერათ.

მასკა. შენ ბევრსა იხოულობ—იფიქრე რა სთქვი.

(მცირე დუმილება)

იმას შენი არც ოხვრა უნდა, არც სიყვარულის გამოცხადება, არც ცრემლები, არც აჯა, არც მხურვალის გულით სიტყვები... მხოლოდ დაიფიცე რომ არ ეცადები შეიტყო ვინ არის ის.. და ყველაფერი საიდუმლოთ შეინახავ..

კნიაზი. ზემოთ ცას და ქვემოთ დედამიწას და ჩემს პატიოსნებას გეფიცები.

მასკა. გაუფრთხილდიკი. ახლა წავიდეთ და გახსოვდეს რომ მე და შენი ხუმრობა არ იქნება.

(ხელიხელს გაყრილი წავლენ).

## გამოსვლა მესამე.

არბენინი და ორი მასკა.

არბენინი. მოათრევს მასკიან კაცს.

არბენინი. თქვენ მე მრავალი ასეთი სიტყვები მითხარით, რომ ჩემი პატიოსნება ვერ მოითმენს.. იცით, მიცნობთ მე ვინა ვარ?

მასკა. მე გიცნობთ რაც იყავით.

არბენინი. აიხადეთ მასკა ემ საათში! თქვენ უპატიურად იქცევით!

მასკა. რისთვის ავიხადო? როგორც ჩემს მასკას ვერ იცნობთ, ისეც ჩემს სახეს; თითონ მეც თქვენ პირველათ გხედავთ

არბენინი. არა მჯერა. ჩემი როგორღაც გეშინიანთ მე-

ტად. სირცხვილიც არის ჩემთჳს გაჯავრება. თქუენ მხდალი ხართ; გამეცალეთ, წადით!

მასკა. მაშ მშჳდობით. ფრთხილადაკი იყავით რომ ამაღამ უბედურება შეგემთხვევათ თქუენ.

(დაიკარგება ხალხში).

არბენინი. მაიცა! . დაიკარგა! . ეს ვინ იყო? ახლა საფიქრებელი გამიჩინა ღმერთმა. ერთი ერთი ჩემ მხდალ მტერთაგანი იქნება, რომელნიც ამდენნი მყვანან რომ სათვალავი არა აქუსთ. ჴა, ჴა, ჴა, ჴა! მშჳდობით მეგობარო, ღმერთმა მშჳდობის გზა მოგცეს. .

## გამოსვლა მეოთხე.

შპრიხი და არბენინი.

(შპრიხი გამოცხადდება)

(გრძელ სკამზე ორი ქალი მასკიანი ზის; ერთი ვინმე მივა და დაუწყებს ლაპარაკს, ხელს დაუჭერს. ერთი მასკა გაექცევა წავა, ამ გაქცეულს მაჯიდგან ბრასლეტი გავარდება).

შპრიხი. ვის მიათრევდით ისე უწყალოთ, ევგენი ალექსანდრიჩ?

არბენინი. არავის; ისე ვეხუმრებოდი მეგობარს.

შპრიხი. სჩანს კარგა გიხუმბრიათ იმასთან: თან მიდიოდა, თან გაგინებდათ.

არბენინი. ვის?

შპრიხი. ვიღაც მასკას.

არბენინი. მაშ სმენა კარგი გქონიათ.

შპრიხი. მე ყველაფერი მესმის და ყველასა ვფარავ, რაც ჩემი საქმე არ არის მე იმაში არ გავერევი...

არბენინი. სჩანს რომ ეგ ეგრეა, როგორც ჰხედავ,—მაშ თქუენ არა გცოდნიათ.. აბა სირცხვილი არ არი არ იცოდეთ,—ის..

შპრიხი. რა, ის?

არბენინი. არაფერი, ისე გეხუმრები...

შპრიხი. მიიხარით.

არბენინი. ამბობენ თქუენ ლამაზი ცოლი გყავსთ..

შპრიხი. დიახ, რა არი?

არბენინი. (გამოიცვლის ხმასა). იარება თქუენთან ის შავგვრემანი, ულვაშიანი? (სიმღერის შტვენით წავა).

შპრიხი, (მარტო): გაგიშრეს საყდაბავი'..მე დამცინი, მაგრამ თითონ შენ მეიქნები რქებიანი. (*)

(შეერევა ხალხში)

## გამოსვლა მეხუთე.

### პირველი მასკა, მარტო.

(პირველი მასკა დაფეთიანებული შემოვარდება და დაეცემა გრძელ სკამზე).

პირველი მასკა. ოჰ!.. ძლივა ვსუნთქავ.. ის სულ ჩემს უკან მორბოდა რამეშველებოდა რომ მასკა აეგლიჯა?.. არა, ვერ მიცნო მე იმან.. ან ფიქრში როგორ მოუვა რომ ის ქალი, რომელსაც ქუეყანა ჰკჯრობს სიშურით, ის ქალი დაივიწყებს თავის თავს და ამ დავიწყებაში მოექცევა იმას ყელზე. ვედრებით სთხოვს იმას

(*) ცოლის საყუარლებს რქებს უწოდებენ.

ორს ტკბილს წამს, სიყვარულს კი არ ინდომებს იმისგან. მხოლოთ შეაბრალებს თავს და ეტყჳს კადნიერათ: «მე შენი ვარ». . არა, თავის დღეში ვერ შეიტყობს ის ამ საიდუმლოს. . დიე. . არა არ მინდა მე. მაგრამ ის რო სახსოვრად ერთ ერთ საგანსა მთხოვს, ბეჭედს. . რავქნა! როგორ გავბედო!. . ძნელი გასაბედავია!

(დაიხედავს ძირს ნახავს რომ ერთი ბრასლეტი გდია, აიღებს). აი იღბალი! დიდება შენთვის ღმერთო! ამ ნაპოვნ ოქროს ბრასლეტს, მინაქრიანს. . . მივცემ იმას. . საუცხოვოა! წავიღეს მომძებნოს ამით მე იმან.

## გამოსჳლა მეექჳსე.

პირველი მასკა და კნიაზი ზვეზდიჩი.

(კნიაზი ლორნეტით ვიღასაც ეძებს; გაძვრება და გამოძვრება ხალხში).

კნიაზი. სწორედ ის არის!. . . ის მასკაა. . . ათას მასკაში გამოვარჩევ ახლა მე ამას (დაჯდება გრძელ სკამზე და დაუჭერს მასკას ხელს) ოო, ახლაკი ვეღარ გამექცევი. .

მასკა. მე არ გექცევით რა გნებავსთ?

კნიაზი. თქჳენი ნახვა.

მასკა. საცინელია თქჳენი სურვილი! ვერა მხედავთ? მე თქჳენ წინა ვარ. .

კნიაზი. ეგ ბოროტული დაცინებაა! მაგრამ თქჳენ დაცინება გსურსთ, მეკი სხჳა რამ . . თქჳენს ზეციერს სახეს თუ თქჳენ თავათ არ მიჩჳენებთ ეხლავ, ემ საა-

თში, მე თითონ ავაგლეჯთ მაგ ცბიერ მასკას ძალით..

მასკა. იცანით ახლა კაცის გული!.. თქვენ მადლიე-ლნი არა ხართ, საკმარისი არ არის თქვენთვის რომ თქვენ მე მიყვარხართ; არა, თქვენ ყველაფერი გინდათ ჩემი პატიოსნებაც ჩემს დასამცრობათ, ვინიცობაა რომ შეგხვდეთ სადმე წვეულებაში, სეირნობაში, სიცილით უამბოთ მეგობრებს საცინელი ჩვენი შემთხვევა და დასარ-წმუნებლათ უჩვენოთ თითით ჩემი თავი და უთხრათ: «აი ის ქალი».

კნიაზი. მოვიგონებ მე შენს ხმას.

მასკა. კარგი — მაგრამ საკვირველი კია ეგა! ათასი დე-დაკაცი ლაპარაკობს ამისთანა ხმით; შეგარცხვენენ თუ ერთი დაელაპარაკეთ, კარგიც იქნება.

კნიაზი. ბედნიერება ჩემი არ არის სრული და.

მასკა. რით იცით? იქნება ღმერთის მადლობაც უნდა შესწიროთ რომ მე არ მინდა მასკის ახდა: იქნება ბებე-რი ვარ, იქნება ცუდი ვარ.. როგორ დაიღმიჯებით ჩე-მზედ!

კნიაზი. შენ გინდა შემაშინო; მაგრამ შენის სილამა-ზის ნახევარი რო ვცან, დანაშთენს როგორ ვერ ვიცნობ?

მასკა. აპირებს წასვლას. მშვიდობით საუკუნოთ.

კნიაზი. ოჰ! ერთის წამსაც. არას დამიგდებ სახსო-ვრათ? არ გებრალება უგუნური?

მასკა. ორ ლაჯს უკუდგება. მართალი ხართ: მებრა-ლებით მე თქვენ — აიღეთ ეს ჩემი ბრასლეტი.

(გადუგდებს ბრასლეტს; სანამ კნიაზი ბრასლეტს დაე-წოდება და აიღებს, მასკა დაიკარგება ხალხში).

## გამოსვლა მეშვიდე.

კნიაზი, მერე არბენინი.

კნიაზი (ათვალიერებს უბრალოთ დაკარგულ მასკას). რა სულელათ გამოვედი!. არის მიზეზი გონების დაკარგვისა.. (დაინახავს არბენინს) აა!

არბენინი. (მოდის დაფიქრებული). ვინ არის ნეტარ ის ბოროტი წინასწარ მეტყველი? ის მე უნდა მიცნობდეს. . . და არა მგონია რომ ეს ხუმრობა იყოს.

კნიაზი. (მივა ახლოს). სასარგებლოთ გამამადგა წეღანდელი თქჳენი დარიგება.

არბენინი. მიხარის დიდათ.

კნიაზი. მაგრამ ბედნიერება თავის თავათ გადმოფრინდა.

არბენინი. მუდამ ეგრეთია ბედნიერება.

კნიაზი. ის იყო დავიჭირე და მეგონა რომ გავათავე საქმე, ერთბაშათ, (შეუბერავს ხელის გულს).. თუ ეს საქმე სიზმარი არ არი, მაშ სწორეთ დარწმუნებული უნდა ვიყო რომ ძალიან ჩერჩეტი ვყოფილვარ.

არბენინი. მე არა ვიცირა და არც თუ ბაასს დავიწყობ.

კნიაზი. ეჰ, თქჳენ სულ ხუმბრობთ. არა ეშველება რა? გეტყვით მე თქჳენ ყველაფერს (ეტყვის ყურში რამდენსამე სიტყვას.)

რა გაკჳრვებული ვიყავ! მაგრამ გამექცა ის პლუტი— აი (ბრასლეტს უჩჳენებს), თითქო სიზმარიაო; ძალიან სანანურია....

არბენინი. (ღიმილით.) არ დაგიწყვიათკი ცუდათ.... მიჩვენეთ ერთი.... გაი მშუჱნიერი ბრასლეტია, მინახავს კიდეც სადღაც ამისთანა.... დამაცა... არა, შეუძლებელია... დამავიწყდა.

კნიაზი. სად ვიპოვო ახლა მე ის ქალი?...

არბენინი. რომელიც გნებავსთ გაშინჯეთ; აქ ქალები მრავალნი არიან, შორს ძებნა არ მოგინდებათ.

კნიაზი. რო ის არ იყოს?

არბენინი. ეგეც შეიძლება; მაგრამ რა უშავს? წარმოიდგინეთ...

კნიაზი. არა, მე იმას ცის ძირამდე მოვძებნი, სადაც იქნება ვიპოვი; ბრასლეტი მიშველის მე.

არბენინი. მაშ აბა ერთი ორჯერ შემოუაროთ. მაგრამ ის თუ სრულებით სულელი არ არის, აქამდისინ იმის კვალიც უნდა გამქრალიყოს.

## სცენა მესამე.

### გამოსვლა პირველი.

ევგენი არბენინი, (შემოდის); მოსამსახური.

არბენინი. აჰა, ეს ვეჩერიც გათავდა, რა მიხარიან! დროა, ერთ წამს მაინც მოვისვენო, დავიწყებაში შევიდე. ჯერაც კიდევ გონებაში მიტრიალებს მასკარადის სხუა და სხუა მდაბიური ხალხის ყრილობა. ან რას ვაკეთებდი მე იქა, საცინელი არ არის?... მიჯნურს რჩევას ვაძლევდი, ჭაზრის სისწორეს ვსინჯავდი, ბრასლეტებს ვაფარდებდი და სხვის მაგიერათ მე შევდიოდი ოცნებაში, როგორც პოეტები სჩადიან ხოლმე. არა, ღმერთსა ვფიცავ, ამ

ხნის კაცს, მე ეს აღარ შემფერის! (მოსამსახურეს) მო-
ვიდა ქალბატონი?

მოსამსახური. არა ბატონო, ჯერ არ მობძანებულა.

არბენინი. მაშ როდის მოვა?

მოსამსახური. ისე ბძანა რომ მეთორმეტე საათზე მობძანდება.

არბენინი. ეხლა მეორე საათიც არის, მთელს ღამეს ხო იქ არ გაატარებს.

მოსამსახური. რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

არბენინი, მითომ თუ არ იცი? სანთელი სტოლზე დადგი და შენ წადი. როდესაც საჭირო იქნები დაგიძახებ.

(მოსამსახურე წავა; არბენინი ჩამოჯდება კრესლოზე.)

## გამოსვლა მეორე.

არბენინი. (მარტო.) სამართლიანია ღმერთი! არა მგონია რომ მე ეხლა ღჳთისაგან არ ვიყო განგდებული სატანჯველათ მთელ უწინდელ ჩემ ცოდვების გამო. უწინ სხვის ცოლები მე მელოდნენ, ახლა მე ველი ჩემს ცოლს. სულელურად და უზრალოთ დავღუპე მე ჩემი თავი, ჩემი ახალგაზდობა, მატყუარ საყჳარლებში. შმაგათ და მხურვალის გულით უყვარდი ხოლმე მე იმათ, არც ერთი კი იმათგანი მე არა მყვარებია; ჯერ არცკი დამეწყო მიჯნურობა, ვიცოდი კი რით დაბოლოვდებოდა. ვუმტკიცებდი მე იმათ და ვარწმუნებდი სიყჳარულზე ისე, როგორც გამდელი ზღაპარზე. მომწყინდა მერე ქსრეთი ცხოვ-

რება და დამიმძიმდა; მაშინ ვიღამაც, საუბედუროთ, მირჩია რომ ცოლი შევირთო, რათა მქონდეს კანონიერი მიზეზი აღარავის არ შეყვარებისა. მეც შევირთე ცოლი, ერთი მორჩილი არსება, როგორც ღჳთის კრავი, ისე მშჳენიერი და ნარნარი. მივიყვანე მე ის ტრაპეზთან.... უცებ ჩემი გულითგან შემომესმა დავიწყებული ხმა. ჩავიხედე ჩემ მკჳდარ გულში და ვნახე რომ მე ის ქალი მიყვარს. მაშინ, სირცხვილიც არი რო ვთქო, თავზარი მეცა!... აირივნენ და მოჰქროდნენ ამ ცარიელ გულში ისევ სიყჳარული, ისევ ოცნებანი. გატეხილ ნავსავით ვტრიალებ ზღვაში? ნეტა მოვალ კიდევ როდისმე ნავთსადგურთან? (დაფიქრდება.)

## გამოსვლა მესამე.

### არბენინი და ნინო.

(ნინო შემოვა ჩუმათ, მიეპარება არბენინს და უკანითგან შუბლზე აკოცებს.)

არბენინი. ოჰ, მშჳდობა შენი ნახვა ნინო.... ძლივ! რათ დაიგვიანე?

ნინო. განა ეგრე გვიან არი?

არბენინი. მთელი ერთი საათია მე შენ გელი.

ნინო. მართლა? ახ, რა კარგი ხარ!

არბენინი. თავის გუნებაშიკი ამბობს: სულელი! ეს მე მელის, მეკი....

ნინო. აჰ, ახ, ღმერთო ჩემო!.... შენ სულ მუდამ ავგუნებაზე ხარ, ევგენი, დამუქარების სახით იცქირები, ვერც

თუ რითიმე მიამებია შენთჳს: შენთან არავარ—მოიწყენ ხოლმე, შენთანა ვარ და—ბუტბუტებ. მითხარ პირ და პირ: «ნინო, აიღე ხელი საზოგადოებისაგან, დაანებე «თავი ჭუჭყიანს, მე ვიქნები შენთან, შენთჳს იქნება ჩე-«მი სიცოცხლე; რათ უნდა რომ ვიღაც უცხო, უსვნი-«დისო, შეუგნებელი, ბულვარის ფრანტი, კორსეტში შე-«ჭედილი ვინმე კაცი დილით საღამომდე გხედავდეს ხო-«ლმე საზოგადოებაში და მე კი დღეში ორი საათი შემ-«ხვდებოდეს შენთან ორის სიტყვის სათქმელად?» შენ მე ეს მითხარ და მე მზათავარ; ჩემს ახალგაზრდობას სო-ფელში დავმარხავ; ავიღებ ხელს ბალებისაგან, მედიდურო-ბისაგან, მოდებისაგან და ამ მომაბეზრებელ თავისუფ-ლობისაგან; მითხარ კადნიერათ, როგორც შენს მეგო-ბარს.... მაგრამ რაზე გამიტაცა ამ ფიქრმა?.... ვთქოთ რომ მე შენ გიყვარვარ, მაგრამ ეს სიყუარული ასე მცი-რეა, რომ არცკი იჭვნეულობ ჩემ გამო არავისზე!

არბენინი. რა უყო, დაჩვეულვარ დაუდევნელ ცხოვრე-ბას, და იჭვნეულობაც დასაცინი საქმეა....

ნინო. დიახ, მართალია.

არბენინი. გეწყინა?

ნინო. არა, მადლობელი ვარ.

არბენინი. დალონდი შენ.

ნინო. მე ამას ვამბობ, რომ არ გიყვარვარ შენ.

არბენინი. ნინო!

ნინო. რა გნებავსთ?

არბენინი. ყური მიგდე. განგებას ჩვენ ორნივ ერთ უღელში შეუბივართ საუკუნოთ.... იქნება რომ შეცთო-

მით მოსვლიყოს, მაგრამ არც ჩემი საქმეა ამის გარჩევა, არც შენი. (მიიზიდავს ნინოს თავისთან, დაისომს მუხლზე და აკოცებს.) შენ ჯერ კიდევ უმაწჳლი ხარ ხნითაც და გულითაც; შენ ჯერ მხოლოდ ორი ფურცელი გაქჳს წაკითხული ცხოვრების უშჳძლებელ წიგნის დასაწყისითგან. ორი გზა გიძევს წინ: გზა ბედნიერებისა და გზა ბოროტისა; იარე რომელზედაც გინდა, იიმედოვნე: მომავლისაგან იმედი ბევრია ხოლმე და გავლილი შენი ცხოვრება ხო უმანკოა! ჯერ არც შენი გული გეცნო არც ჩემი, როდესაც შენ შენი თავი მე მომეცი. გიყვარვარ მე შენ, სარწმუნოთ ვარ მე ამაზე, მაგრამ უანგარიშოა შენგან ჩემი სიყჳარული: შენ ჯერ კიდევ ეთამაშები შენს გულს და ცელქობ, როგორც უმაწჳლი. ჩემგან მისი სიყჳარული კი სხჳა გვარია: მე ყველა მინახავს, ყველა მიგრძნია, ყველა გამიგია, ყველა შამიტყუა და მიცნია; ხშირად მყვარებია, უფრო ხშირად მძულებია და უფრო მეტი ტანჯვა მინახავს. ჯერ ყველაფერი მსურდა, მერე ყველაფერი შემძულდა. ხან მე ჩემი თავის ვერა გამეგორა. ხან ქჳეყანას ჩემი ვერა გაეგებოდარა. ვნახე რომ ჩემს სიცოცხლეს შეჩვენების ბეჭედი აზის. მეც გულ გრილად მოუკეტე გულის კარები ქჳეყნიერ ბედნიერებასა და გრძნობათა.... ესე გამიტარებია მრავალი წელი! უნდა იცოდე თუ, მაშინ, როდესაც ჩჳენ ერთათ ვწევართ, რა დიდის ზიზღით და ჭმუნვით ვფიქრობ ხოლმე ჩემ ბიწიერ ახალგაზდობის უთვალქცევით მოწამლულ დღეებზე. დიახ, უწინ არ ვიცოდი მე უბედურმა შენი ფასი. მაგრამ მსწრაფლ დასცვივდა ჩემს გულს

ხმელი ქერქი, და თჳალთა ჩემთა წარმოუდგა მშჳენი-ერი ქჳეყანა. მაშინ აღვსდექ მე მგჳდრეოით ცხოვრებისა და კეთილისათჳს. მაგრამ ხან და ხან კიდევ დამეცემა ხოლმე ბოროტი ეშმაკი, გამიტაცებს ამ ფიქრით და მიმცემს ხოლმე უწინდელ დღეების ქარიშხალს, დამავიწყებს ხოლმე შენს ბრწყინვალე თვალებს და შენს გულის დამმონავებულ ხმას. ამ დროს, როდესაც მძიმე სევდით გული სავსე მაქჳს და ვებრძვი ჩემს თავსა, მე ჩუმათა ვარ, მოქურუხებული ვარ, დაღრეჯილი ვარ; მეშინიან რომ მე ჩემის მეჴჳით არ გაგამწივლოვანო; მეშინიან რომ არ შეგაშინოს არც ჩემმა კვნესამ, არც ხმამ, რომელსაც ამომაღებინებს ჩემი საიდუმლო, დაფარული ტანჯჳა. მაშინ შენ ამბობ: არ უყვარვარ მე ამას!

(ნინო ალერსიანათ უცქერის და ხელს უსომს თავზე.)

ნინო. საკჳრველი კაცი ხარ შენ! როდესაც შენ შენს სიყჳარულს ენამჭევრათ და ნამაქიანათ მეუბნები, თავიც ცეცხლივით გიხურდება და თვალებშიაც გიბრწყინავს გულის ჭაზრი, მაშინ მე ყველაფერი ადვილათ მჯერა; მაგრამ ხშირად.....

არბენინი. ხშირად?...

ნინო. ხშირად არა, მაგრამ... ხანდახან.

არბენინი. გულით მე მეტად მოხუცებული ვარ, შენკი ყმაწვილი ხარ; მაგრამ ჩჳენ შეგვიძლიან თანასწორათ ვგრძნობდეთ; შენოდენა როცა ვიყავ, მახსოვს, ყველაფერს ვერწმუნებოდი ხოლმე უთუოთ.

ნინო. კიდევ მემდურები.... ღმერთო ჩემო!

არბენინი. არა, არას დროს! მე ბედნიერი ვარ, ბედნი-

ერი.... მე სასტიკი, უგონო ცილის მწამებელი, შორსა ვარ შურიან და ბოროტ ხალხისაგან; მე ბედნიერი ვარ... მე შენთანა ვარ!.... დაუტეოთ წარსულს ჩვენს მწუხარების დროს ჩვენი ახლანდელი ერთმანერთის წყენა! მე ვხედავ რომ შემოქმედს ჩემ სანუგეშოთ წარმოუგზავნიხარ შენ შენის ზეცითგან (დაუწყებს ხელებზე კოცნას, ნახავს რომ ნინოს ერთხელზე ბრასლეტი აღარა აქვს, ერთბაშათ წაუვა ფერი და გაჩერდება).

ნინო. ფერმა გადაგკრა, თიფაი... ოჰ, ღმერთო!

არბენინი. (წამოხტება) მე? არა მიშავსრა! სად არი შენი მეორე ბრასლეტი?

ნინო. დაკარგულა.

არბენინი. ოჰ! დაკარგულა!

ნინო. რა არი რო დაკარგულა? დიდი საქმე კი არა შამხდარარა: ოცდა ხუთ მანეთზე მეტათ ჰომ არა ღირს?

(არბენინი. თავის თავათ), დაკარგულა.... ნეტა რათ მაწუხებს მე ესე იმის დაკარგვა? არა საკჳრველ ეჭვს მიგდებს გულში?.... იქნება ის მხოლოთ სიზმარი იყო და ესკი ცხადი არის?

ნინო. მე შენი არა გამეგება რა, სწორე გითხრა.

არბენინი. (გულხელ დაკრეფილი ძალიან დააცქერდება ნინოს). ბრასლეტი დაკარგულა?

(ნინო. წყენით) არა, ვტყუვი!

არბენინი, თავის თავად. მაგრამ იმის მგზავსებას! მგზავსება!

ნინო. კარეტაში გამვარდებოდა ხელითგან; — უბრძანეთ მოძებნონ. გარწმუნებ, იმას მე თან არ წავიღებდი რო

მცოდნიყო...

## გამოსვლა მეოთხე.

უწინდელნი და მოსამსახურე.

არბენინი. (დააწკარუნებს ზარს, მოსამსახურე შემოვა)

მოსამსახურეს: კარეტაში ბრასლეტი გავარდნია ხელითგან, წადი მოძებნე კარგათ ოთხ კუთხივ.... ღმერთმა ნუ ქნას რომ შენ უიმისოთ მოხვიდე.

ნინოს: ჩემ პატიოსნებაზე და ჩემ ბედნიერებაზეა ეს ლაპარაკი.

(მოსამსახურე წავა).

(პატარა ხანს უკან არბენინი ნინოს ჰკითხავს): იქაც რო ვერ იპოვოს ბრასლეტი?

ნინო. მაშ სხვაგან იქნება.

არბენინი. სხვაგან? სად სხვაგან? იცი შენ?

ნინო. პირველათ გხედავთ მე თქჳენ ეგრეთ ძუნწათ და მკაცრათ და ამის გამო, თქჳენის გულის მოსასვენებლათ, ხვალვე შეურიგდები რომ გამიკეთონ ახალი, სწორეთ იმისთანა ბრასლეტი.

(მოსამსახურე შემოდის).

არბენინი. ჰა, რა ამბავი?... მითხარ ჩქარა....

მოსამსახურე. კარეტაში ყველგან მოუსვი ხელი ბატონო.

არბენინი. და ვერ იპოვე?

მოსამსახურე. ვერა, ბატონო.

არბენინი. მე ეს ადრევე ვიცოდი... წადი! (სხჳა ნაირათ შეხედავს ნინოს).

მოსამსახურე. უთუოთ მასკარადში დაიკარგებოდა.

არბენინი. მასკარადში დაიკარგებოდა? მაშ თქჳენ იქა ბრძანებულხართ?

## გამოსვლა მეხუთე.

უწინდელნი, გარდა მოსამსახურისა.

არბენინი. (მოსამსახურეს:) წადი.

(ნინოს): რა იქნებოდა რომ შეგეტყობინებინათ ჩემ-თჳს? სარწმუნოთა ვარ რომ პატივს დამდებდით და და-მრთავდით ნებას თქჳენის იქ წაყვანის და იქითგან შინ მოყვანისას; მე თქჳენ არ დაგიშლიდით, არც ძალიან თქჳენს უკან თჳალ დადევნებით, არც მომატებულ სიყუა-რულის ნარნარობითა... ვინ და ვინ იყავით?

ნინო. მოსამსახურებსა ჰკითხეთ; ისინი გეტყვიან ყვე-ლაფერს, თვით მომატებითაც. ისინი წვრილად მოგახსე-ნებენ: ვინ იყო იქა, ვისთან მილაპარაკნია, ვისთჳს მი-ჩუქებია ბრასლეტი სახსოვრათ; იმათგან ას წილად უფრო კარგათ შეიტყობთ ყველაფერს, ვირემც რომ თქჳენ თი-თონ იქ, მასკარადში ყოფილიყავით. (იცინის) საცინელია, საცინელი, ღმერთს ერწმუნეთ! სირცხვილი არ არი, ცო-დვა არ არი, რომ უბრალო რასმე საქმეთ იხდით?

არბენინი. ღმერთმა ინებოს რომ უკანასკნელი არ იყოს ეგ შენი სიცილი.

ნინო. შენ თუ კიდევ ეგრე ზურანში იქნები, რასაკვირ-ველია უკანასკნელი არ იქნება.

არბენინი. ვინ იცის, იქნება.... ყური მიგდე ნინო!.. მართალია, მე საცინელი ვარ იმით, რომ შენ მე ასე ძლიერ

ასე მომატყებულსათ და უზომოთ მიყვარხარ, როგორც ადამიანს შეუძლიან სიყვარული, და არც თუ საკჳრველია: ზოგს ათი ათასი იმედი აქვს, ზოგი სიმდიდრისათვის ცდილობს, ზოგი სწავლაშია გართული; ერთი ქებს ჩინებს, ჯვრებს, ანუ სახელს, მეორეს უყვარს საზოგადოება, შექცევა; ის მოგზაურობს, ეს თამაშობაში ხედავს სიამოვნებას.... მე გზასაც მივლია, ქაღალდიც მითამაშნია, სულელობაც მიქნია, მიშრომნია კიდეც; მიცნია რა არიან მეგობრები და მზაკვარი სიყვარული; ჩინები არა მსურვებია, სახელი არ მიძებნია. მდიდარი ვარ, უბედობითაც შეწუხებულვარ. ყველაგან ბოროტი ვნახე და არსად მე მისთვის არ მიმსახურნია. ახლა, ქვეყანაზე, ერთი შენ დამრჩომიხარ ჩემი სიცოცხლითგან, მარტო შენ, რომელიცა ხარ უძლური არსება, მაგრამ მშვენიერების ანგელოზი! შენი სიყვარული, შენი ღიმილი, თვალების ჭვრეტა, შენი გული, შენი სული..... მე კაცი ვარ: სანამ ესენი მე მეკუთვნიან—უამათოთ არც ბედნიერება მექნება, არც სული, არც გული, არც სიცოცხლე! მაგრამ თუ მე მოტყუებულვარ.... თუ მოტყუებულვარ.... თუ ამდენს ხანს გველი მითბია ჩემს უბეში, ჩემ გულზე.... თუ მე სწორეთ გამომიცნია, სწორეთ შემიტყვია.... და აღმოჩნდა რომ ბინძათ ალერსით დაგიძინებივარ და ყურს უკან სასაცილო გამხდარვარ,—გამიგონე ნინო!... დაბადებითვე გული ჩემი დუღს; სანამ არ დამჭნარა—მაგარია, როგორც ქვა; მაგრამ თუ დაჭნა—მხეცია იმის ღვართან ხუმრობა, იმის ნაკადის დახვედრა! მაშინ ნუ გაქვს იმედი მოტევებისა, . მე სამართალს არ მოვიწევ მაშინ ჯა-

ვრის ამოსაყრელათ: მე თითონ გავგლეჯ და მოვშლი ჩჳენს ორივეს სიცოცხლეს! (უნდა დაუჭიროს ხელი ნინოს, მაგრამ ნინო გაექცევა და დადგება გვერდზე).

ნინო. ახლო ნუ მოხვალ.... ოჰ, რა საშინელი ხარ!

არბენინი. მართალა?.... საშინელი ვარ მე?არა, მეხუმრები, მე საცინელი ვარ! დიახ. გაიცინეთ, გაიცინეთ კიდევ ჩქარა... გულის წადილს რო მიაღწიეთ—რაღათ ყვითლე-დებით, რაღათ თრთით? ჩქარა! ის საღლაა, გაშმაგებული საყვარელი, მასკარადის სათამაშო,—მოვიდეს ისიც, შეექ-ცეს. თქჳენ ჩემთჳს თითქმის ჯოჯოხეთის ყოველი ტა-ნჯვა გიჩვენებიათ, და ახლა მხოლოთ ერთი ესლა მაკლია!

ნინო. აი თურმე რა ეჭვი ჰქონია! სულ იმ ერთ ბრა-სლეტის ბრალიკი არის! გარწმუნებთ, რომ თქჳენ ქცე-ვას დასცინებენ არათუ მარტო მე, მთელი ქჳეყანაც!

არბენინი. დიახ! დამცინეთ, დამცინეთ მე ყოველნო ამ ქჳეყნის სულელნო, უგუნურნო დაუდევნელნო და საბ-რალონო ქმარნო, რომელნიც უწინ მეც მომიტყუებიხა-რთ და, რომელნიც ასე მოსვენებით ხართ, ასე მოსვე-ნებით სცხოვრობთ, როგორც წმინდანნი ცხოვრობენ სამოთხეში.... ვაი თქჳენი ბრალი!... მაგრამ შენკი მშვ-დობით ჩემო ქჳეყნიერო, მშჳენიერო სამოთხევ!... მშვ-დობით! მე ყჳელაფერი ვიცი! (ნინოს): «მორს ჩემგან! შე აფთარო!» მეგონა მე სულელს, რომ შეინანებს და სინანულით, წუხილით, მუხლ მოდრეკით და ტირილით აღიარებს ჩემ წინაშე ყჳელაფერს! დიახ, მე დავრბილდე-ბოდი, დამშვიდდებოდი, რომ მენახა ერთი ცრემლი მა-ნიც.... ერთი.... აჰა! სიცილი იყო ამისი პასუხი!

ნინო. არ ვიცი ვინ დამწამა მე ცილი, თქვენთჳსვი მამიტევებია; მე ამაში ბრალი არა მაქვსრა, უბრალოვარ, მხოლოთ ვწუხვარ, თუმცა ვედარას უშველი. ამასაც გეტყვით, რომ მე თქვენ სანუგეშოთ ტყუილის თქმა არ შემიძლიან.

არბენინი. ოჰ, დაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს! კმარა!

ნინო. გამიგონე ერთი.... უბრალო ვარ.... ღმერთი გამიწყრეს თუ.... გაიგონე...

არბენინი. მე ზეპირათ ვიცი ყველა, რასაც იტყვი.

ნინო. გული მტკივა, რომ შენგან ყვედრება მესმის... შენ მე მიყვარხარ ევგენი....

არბენინი. აბა, დროა რომ აღვიარო წმინდის გულით....

ნინო. გამიგონე, გევედრები! ოჰ, ღმერთო! მაშ რა გინდა?

არბენინი. ჯავრის ამოყრა მინდა.

ნინო. ვისი ჯავრის ამოყრა გინდა?

არბენინი. ოჰ, მოვა დრო და, გარწმუნებთ, ყველას გაგიკვირდებით!

ნინო. ჩემი ჯავრის ამოყრა ხო არ? გინდა რაღას აყოვნებ?

არბენინი. გმირობა თქვენთან არ გამოდგება.

ნინო. მაშ ვისთან?

არბენინი. თქვენ ვის გამო გეშინიანთ?

ნინო. ვაიმე თუ მრავალი ამისთანა დღეები კიდევ მომელის! ოჰ, დაწყნარდი, გარგის! შენ შენის იჭვნეულობით მე მამკლავ.... მე თხოვნა არ ვიცი და არც შენ შეიწყნარებ ხოლმე... მაგრამ ახლაც მომიტევებია, შენთჳს.

არბენინი. მეტი შრომაა!

ნინო. მაგრამ ღმერთიც არის.... ის არ მოგიტევებ

არბენინი. უბრალოთ!!

(ნინო, ცრემლებით წავა.)

არბენინი. (მარტო:) აი დედაკაცი!.,.. ოჰ, დიდი ხანია გიცნობთ მე თქვენ ყველას! და ვიცი თქვენი ალერსი, თქვენი საყვედური! საუბედუროთგი მომცემია მე ეს ცოდნა და მკირათაც მიჯდება ამისი ჭწავლა!... ერთი ისიცა ვთქოთ: რისთვის ვეყვარები მე იმას? იმისთვის, რომ მე საჭეცა და ხმაც საზარელი მაქვს?

(მივა ცოლის ოთახის კარებთან და დაუგდებს ყურს.)

რას აკეთებს?.... ვინ იცის იცინის!.... არა, ტირის. (წასვლაში): მენანება რომ გვიან არის.

დასასრული პირველის მოქმედებისა.

## მოქმედება მეორე.

### სცენა პირველი.

### გამოსვლა პირველი.

(ბარონესა დაღალული კრესლოზედ ჩამომჯდარი, წიგნს გადააგდებს.)

ბარონესა.

ვფიქრობ: ქვეყანად დიაცი მიკვირს სცხოვრებს თუ რათა?

მისთვის რომ აღსრულებდეს სხვის ნებასა სრულდათა!
რაა აწ დედაკაცი? არ მისდევს თვის ნებასა,

მართალს ანბობს მწერალი თვით ჟორჟსანდი (*) ამასა.
ვით სურვილის ტვირისა ქმერობიან ყველგანა,
ქვეყანას ჰყავს მსაჯულად, არ იცავსკი ქვეყანა.
ისი უნდა ჰფარავდეს ალსა თვისის გრძნობისას,
რა არის დედაკაცი? ნივთი სარგებლობისა?!
დაიბადა თუ არა, მისთჳს კარგს ნუ მოელი,
ეს არის ვით სავაჭრო უბრალო საქონელი.
თუ უყვარს თავის თავი, ამტყუვნებენ ამაზე
და თუ სხვა შეიყვარა, საქმე მივა დანაზე.
მის ტრფიალს გულში ღელავს თუ როდისმე სურ-
ვილი,
ფიქრი, გონე, შიში ჰკლავს, ვერ მოუკლავს წყურვილი.
ამ გონების დარღვევა თუ რომე მან გაბედა,
და პირითგან როგორმე ფარდა ჩამოეხადა,
თუ მიეცა თვით გრძნობით სრულის გულის ნებასა,
ოჰ, მშვიდობით, დაჰკარგავს მარად მოსვენებასა.
იქ უდგას წინ ქვეყანა, მისდევს პაიქრობასა,
არც დასდევს, არც კითხულობს, იმის გულის გრძნობასა.
ტანთ საცმელსა შესცქერის, ვაის არის ხელითა,
ხომ აღარ გაიკითხავს, სჯის სასტიკ სასჯელითა!...
(უნდა წაიკითხოს.)

არა, აღარ შემიძლიან კითხვა.... ამ ფიქრებმა სრულე-ბით ამრიეს; მე მეშინიან იმისაგან როგორც არა მეგო-ბრისაგან:... რომ მაგონდება რაც მოხდა, მე თვითონ მიკვირს. (ნინო შემოდის.)

(*) ჟორჟსანდი მწერალი ქალია ევროპიელი. რ.

## გამოსვლა მეორე.

ნინო. მარხილით ვსეირნობდი, ჩემო საყვარელო და მომივიდა ფიქრი შენთან შემოსვლისა.

ბარონესა. საუცხოვო ფიქრია, შენ სულ მუდამ გაქუს ხოლმე ეგ ფიქრი. (ჯდება) დღეს შენ როგორღაც არა ხარ შენს ფერზე, გაყვითლებულხარ თუმცა ქარია და ყინვაა; თვალებიც დაწითლებია, მგონია რომ ცრემლისაგან არ იყოს?

ნინო. წუხელ ცუდათ მეძინა და დღეს შეუძლოთ ვარ.

ბარონესა. კარგი არ არი შენი დოქტორი — სხვა დაიჭირე.

## გამოსვლა მესამე.

კნიაზი ზვეზდიჩი (შემოდის).

(ბარონესა, ცივად). აჰ, კნიაზს!

კნიაზი. გუშინ გახლდით თქვენთან, მინდოდა მომეხსენებინა რომ ჩვენი პიკნიკი მოიშალა.

ბარონესა. გთხოვთ დაბრძანდეთ, კნიაზო.

კნიაზი. ეს არი ეხლა მქონდა თქვენზე ლაპარაკი და მე ვარწმუნებდი, რომ თქვენ ამ პიკნიკის მოშლა გეწყინათ, მაგრამ მე ვერას გატყობთ სახეზე.

ბარონესა. მეწყინა გარწმუნებთ.

კნიაზი. მეკი ასე მიხარიან, რომ ოც პიკნიკს ერთ მასკარადზე გავცვლი.

ნინო. გუშინ ბრძანდებოდით, მასკარადში?

კნიაზი. გახლდით.

ბარონესა. რა გვარ ტანისამოსით?

ნინო. იქ იყვნენ ბევრნი.....

კნიაზი. დიახ; ვიცან კიდეც მასკაში მეორე ზოგიერთი ჩვენი ნაცნობთაგანი ქალი. თქვენც რასაკვირველია, გეყვარებათ მასკაში სიარული? (იცინის).

ბარონესა: (გაცხარებული) მე თქვენ უნდა მოგახსენოთ კნიაზო, რომ ამისთანა ცილის წამება სრულებით საცინელი არ არის. როგორ უნდა გაბედოს პატიოსანმა დედაკაცმა იქ წასვლა, სადაც ყველა მი[illegible]ეთის ხალხი ირევა; სადაც ყველა რეგვენი გაწყენინებს, საძაგლობით აგიგდებს; და სადაც, იქნება გიცნან კიდეც..... უნდა შეგრცხვესთ, აღარა სთქვათ ამისთანა სიტყვა.

კნიაზი. აღარ თქმა კი არ შემიძლიან და სირცხვილზე-კი მზათა ვარ. (ამ დროს შემოვა ჩინოვნიკი).

## გამოსვლა მესამე.

უწინდელნი და ჩინოვნიკი.

ბარონესა. საითგანა ხართ?

ჩინოვნიკი. პრავლენიითგან გიახლებით ეს არი, ემ საათში, თქვენ საქმეზე მოსალაპარაკებლად.

ბარონესა. გადაწყვიტეს?

ჩინოვნიკი. ჯერ არა, მაგრამ მალე.... იქნება დაგიმალეთ....

ბარონესა. არც ერთი ბეწო. (ფანჯრისაკენ უკუდგება).

კნიაზი. (გვერდზე.) აი კაი დრო სალაპარაკო? (ნინოს.) დღეს მე თქვენ მადამისაში გგნახეთ.

ნინო. რომელში?

კნიაზი. ანგლისკი მაღაზიაში.

ნინო. დიდი ხანია?

კნიაზი. ეს არი ემ საათში.

ნინო. მიკვირს რო ვერ მიცნიხართ მე.

კნიაზი. არა გცალოდათ.

ნინო. (ჩქარათ.) ბრასლეტს ვარჩევდი, (ამოიღებს რიდიკულითგან) აი ამის ცალს....

კნიაზი. ძალიან საუცხოვო ბრასლეტია! მეორე სადაა?

ნინო. დამეკარგა.

კნიაზი. მართლა?

ნინო. რა გასაკვირველია?

კნიაზი. არც თუ საიდუმლოა? როდის დაგეკარგათ?

ნინო. გუშინწინ, გუშინ, ერთის კვირის წინათ. თქვენ რათ გინდათ რომ იცოდეთ როდის დამეკარგა?

კნიაზი. მე, იქნება, გასაშტერებელი ჭაზრი მამივიდა.. (გვერდზე): კრთება,—ჩემი კითხვა აწუხებს ამას. ოჰ, ეს ჭირაი ნამუსიანი ქალები! (ნინოს): მინდოდა მომერთმია თქვენთვის ჩემი სამსახური.... ბრასლეტის პოვნა შეიძლება...

ნინო. თუ ღმერთი გწამსთ.... აბა სადა?

კნიაზი. სად დაგიკარგავსთ?

ნინო. არ მახსოვს.

კნიაზი. ბალში დაჰკარგავდით როგორმე?

ნინო. იქნება.

კნიაზი. ან თუ გიჩუქებიათ ვისთვისმე სახსოვრად?

ნინო. საითგან გამოიყვანეთ ეგ აზრი? ან ვის გაჩუქებდი იმას? ჩემს ქმარს?

კნიაზი. თითქო ქვეყანაზე მარტო ქმარი იყოს? მრავალნი არიან თქვენი მეგობარნი ქალნი, ამაზე ეჭვი არა არის რა. მაგრამ ჰსთქვით რომ დაკარგულა, — მაშ მიიღებს თქვენგან ყვავილს რასმე ის, ვინც იმას გიპოვისთ?

ნინო. (ღიმილით.) ვნახავ....

კნიაზი. მაგრამ თქვენ რო იმას უყურებდეთ? სიზმარში ნანახი რომ თქვენზე აუხდეს? თქვენის ერთის ღიმილისათვის, ერთის სიტყვისათვის რომ იმან არაფერი ამ ქვეყნისა არ დაზოგოს? თითონ თქვენც რომ ერთხელ გაგებედნოსთ იმისთვის მომავალი ნეტარებას? რომერ ეცნოთ თქვენ იმას მასკაში და თქვენცა გეალერსნოსთ იმისთვის სიყვარულის სიტყვებითა?.... რო... შეიტყვეთ რადა.

ნინო. ამ თქვენ დაპარაკითგან მე მხოლოთ ეს შევიტყე, რომ თქვენ მეტად გაკადნიერდით ჩემთან... და ახლა პირველი და უკანასკნელია ჩემი თქვენთან დაპარაკი; უმორჩილესად გთხოვთ მე თქვენ, რომ დღეის იქით აღარ შეიძლოთ მე ხმა გამცეთ!

კნიაზი. ოჰ, ღმერთო! მე ოცნებაში ვიყავ... განა გეწყინათ? (თავისთავათ) თავს არ იდო... კარგი, მაგრამ მოვა დრო და მეც მივაღწევ ჩემს ფიქრს.

(ნინო მივა ბარონესასთან).

(ჩინოვნიკი თავს დაუკრავს ბარონესას და გავა).

ნინო. მშვიდობით ხვალამდინ, საყვარელო; დროა წავიდე.

ბარონესა. ნინოც მართალია, ჩვენ ანგელოზი; მე და შენ ჯერ ორი სიტყვაც არ გვითქვამს (აკოცებენ ერთმანერთს.)

ნინო. (გასვლაში): ჩვალ დილითგან მოგელი მე შენ· (წავა.)

ბარონესა. ერთი დღე მე ერთ კვირაზე უფრო გრძელად მეჩვენება.

## გამოსვლა მეხუთე.

უწინდელნი, ნინოს და ჩინოვნიკის გარდა.

კნიაზი. (გვერდზე.) ამოვიგერი შენს ჯავრს! ნამუსიანი გამოვიდა! ვიქონიო სულელი ვარ—ვსთქვათ ის უკუსთქვამს, ეს ბრასლეტი ხომ მიცნია.

ბარონესა. დაფიქრებული ხართ, კნიაზო!

კნიაზი. დიახ, ბევრი ფიქრის გამოცვლა მომიხდება.

ბარონესა. როგორც ვხედავ, გაცხარებული ლაპარაკი გქონდათ; რაზე მოგიხდათ ბაასი?

კნიაზი. მე იმას უმტკიცებდი რომ მასკარადში კნახე...

ბარონესა. ვინა?

კნიაზი. ის ქალი.

ბარონესა. როგორ? ნინო?

კნიაზი. დიახ; მეც დავუმტკიცე იმას.

ბარონესა. მე ვხედავ, რომ თქვენ გიამებათ და გიხარიანთ ადამიანის უნამუსოთ პირში გმობა.

კნიაზი. გასამტკრებელი საქმისათვის გაბედავ ხოლმე ხანდახან.

ბარონესა. პირში ნუ ჰგმობთ მაინც და შეიბრალეთ! ამასთან, საბუთიც არა გაქვსთრა დასამტკიცებლათ.

კნიაზი. არა? გუშინკი ერთი ბრასლეტი მამცეს და იმისიც სწორეთ ისეთია.

ბარონესა. აი კაი საბუთი!.... ჭკვიანი პასუხია! ყველა მაღაზიაშია იმისთანა ბრასლეტი.

კნიაზი. მე დღეს სუყველა მაღაზიაში ვიყავ და ამით დავრწმუნე, რომ იმისთანა ბრასლეტი მხოლოთ ორია. (მცირე ხანს უკან):

ბარონესა. ხვალვე ვეტყვი მე ნინოს, რომ არ ენდოს ხოლმე წარამარა მოლაპარაკეთ.

კნიაზი. მე რაღას მირჩევთ?

ბარონესა. თქვენ? თქვენ გირჩევთ, რომ თავი არ და-ანებოთ თქვენს კარგათ დაწყობილ საქმეს და იცოდეთ დედაკაცის პატიოსნების ფასი.

კნიაზი. მაგ ორის დარიგებისათჳს ორ იმოდენას მადლობას მოგახსენებთ.

## გამოსვლა მეექვსე.

ბარონესა. როგორ იქნება დედაკაცის პატიოსნების ესე უგრძნოთ აგდება! რა გამოვჩენილვიყავ მე—მეც ისე მომიკიდოდა! მაშ მშჳდობით კნიაზო, ჩემი საქმე არ არის თქვენი ტყუილი ფიქრიდგან გამოყვანა. ოჰ, არა, ღმერთმა დამიფაროს!.. ერთი ეს მიკვირს, როგორ ვიპოვე მე იმის ბრასლეტი?.. ის არი! ნინო იქ ყოფილა,—ესე გამოდის გამოცანა!... არ ვიცი რისაკან არი, რომ მე ის

ჩიყჳარს? იქნება რომ ისე, მოწყინებისაგან, ჯავრისაგან, სიშურისაგან იყოს.... გული მელევა და ვიწვი, არსაიდგანაც ჩემთჳს ნუგეში არ არის! თითქო მესმის უბრალო ხალხის ჩემი დაცინება და ბოროტული შებრალების ჩურჩური. არა, დავფარავ მე ჩემს თავს ამ სირცხვილისაგან, დეე ჩავარდეს სხუა ჩემ მაგიერათ; თუნდ დავიტანჯო ამ ჩემ ახალ დანაშაულის გამო.... (დაფიქრდება).

როგორ ჯაჭვივით გამაებნენ ერთმანეთს ეს საშინელნი საქმენი!

## გამოსვლა მეშვიდე.

### ბარონესა და შვრიხი.

(შვრიხი შემოვა და თავს დაუკრავს).

ბარონესა. ოჰ, შვრიხ! შენ მუდამ კაი დროს მოხვალ ხოლმე.

შვრიხი. რასა ბრძანებთ; მე დიდად მოხარულიც გახლდებით, რომ თქჳენთჳს გამოსადეგი ვიყო. განსვენებულმა თქჳენმა მეუღლემ.....

ბარონესა. შენ სულ მუდამ ეგრე ალერსიანი ხარ?

შვრიხი. ნეტარ ხსენებულმა ბარონმა....

ბარონესა. ამ ხუთის წლის წინათ, მახსოვს.

შვრიხი. ისესხა ათას....

ბარონესა. ვიცი და დღესვე მოგცემ ხუთის წლის სარგებელს.

შვრიხი. რასა ბრძანებთ ბატონო, მე ფული არ მეჭირება, ისე მომაგონდება ხოლმე შემთხვევით.

ბარონესა. მითხარ რა არის იმისთანა ახალი ანბავი?

შპრიხი. ერთი გრაფთან გავიგე—ეხლა ესარი იქიდგან გი-ახლებით—ახალი ანბავი მრავალის ქვეყანაზე.

ბარონესა. კნიაზ ზვეზდიჩზე და არბენინზე ხო არა შეგიტყვიარა?

შპრიხი. (არ იცის რა თქვას). არა.... შემიტყვია... როგორ.....არა...იმათზე ილაპარაკა, ილაპარაკა ქვეყანამ და დაჩუმდა... (გვერდზე): რა ილაპარაკა, არ ვიცი,—ძნელი საქმე მამივიდა'...

ბარონესა. მაშ რადგანაც ეგრე ხმა დავარდნილა, საჭი-რო აღარ არი ამის თქმა.

შპრიხი. მაგრამ მე კი მინდა ერთი შევიტყო, როგორია თქვენი ამაზე განსჯა.

ბარონესა. ისინი დაუსჯია კიდეც ქვეყანას; მაინც კი-დევ ერთ რჩევას მივცემდი მე იმათ. კაცს ვეტყოდი რომ ქალებს უყვარი კაცის საქმეში ახირებულობა და იციან იმისი ფასი; იმათ უნდათ რომ ათასი წვალება გამოია-როთ და ისე მიეტოდეთ მიჯნურს; ქალს ურჩევდი რომ პატარა მოიკლოს სიმკაცრე და მოიმატოს კრძალვა.... მშვიდობით უფალო შპრიხ; ჩემი და მიმელის სადილად, თორემ ბევრს ხანს დავრჩებოდი თქვენთან (წასვლაში გვერდზე): ახლავე მე გადავრბი,—ვაი ურიკის ეს ჩემთვის!

შპრიხი. ნუ სწუხართ: შევიტყე მე რაზედაც სთქვით და მერე თქმა საჭირო აღარ არის. რა მკვირცხლი გონება აქვს, და რა მალე მიმხვდომი დედაკაცია!?. რა გონების პატრონია!? აქ ერთი მანქანება რამ არის...დიახ... შევერევი მეც ამ საქმეში.—კნიაზი მადლიერი იქნება

ჩემგან; იმის ვექილი გავხდები და მერე გამოვფრინდები აქეთ რაპორტი ხელში და მაშინ იქნება როგორმე ხუთის წლის სარგებელი მაინც მივიღო.

## სცენა მეორე.

### გამოსვლა პირველი.

(კაბინეტი არბენინისა.)

არბენინი, (მარტო; მერე ლაქია.) ყველაფერი არის საეჭვოთ, დასამტკიცებლათკი არა არისრა! მეტადმისა მეშინიან, მოთმენაც არ შემიძლიან, რომ დავანებო თავი და დავივიწყო ის ერთის მინუტის [illegible].... ოჰ, ამ გვარი სიცოცხლე სიკვდილზე უფრო საშინელია! ზოგი კაცია, მე მინახავს, გულგრილი, — ნეტარებაშია ის და თვით ელვა ჭექაშიაც მოისვენებით სძინავს, — ნეტავი იმას! სანატრელია იმ გვარი სიცოცხლე!

ლაქია. ერთი კაცი გიცდით ქვემოთ, ქალბატონიან ბარათი მოუტანია კნეინასაგან.

არბენინი. რას ამბობ, ვის კნეინასაგან?

ლაქია. ვერ გავარჩიე, ბატონო.

არბენინი. ბარათი? ნინოსთან?

(წავა, მოსამსახურე დარჩება.)

### გამოსვლა მეორე.

აფანასი პავლოვიჩი კაზარინი და მოსამსახურე.

მოსამსახურე. ბატონი ამ საათში გარეთ გასულათ,

მოიცადეთ პატარა.

კაზარინი. კარგი.

მოსამსახურე. ემ საათში მოგახსენებ. (მიდის)

კაზარინი. მოცდაზე მე მზათა ვარ, უფალო არბენინ, თუნდ ერთი წელიწადს მოვიცდი, რადგანაც გნებავს; მოვიცდი შენ მოსვლამდინ. ძალიან ცუდათ არი ჩემი საქმე, ასე რომ ნაღვლით აღარა ვარ. ჩემთჳს ერთი ამხანაგია საჭირო, გამოცდილი, ოსტატი; ამასთანავე, ცუდი არ იქნება, რომ ის უხვი და მოწყალე იყოს, ორი სამი ათასი სული ყმა ჰყვანდეს და დიდკაცობისაგან შემწეობა ჰქონდეს. ერთი როგორმე კიდევ უნდა მივიყოლიოთ არბენინი ქაღალდის სათამაშოთ: ის თავის მეტად ჩვეულებას არ გამოსცვლის, კიდევ ისე მოიქცევა: მეგობარს შეეწევა და ახალ გაზდებისა არ შეეშინდება. ამ ახალგაზდებმა ლამის მამკლან! რამდენიც გინდა უთხარ, არც იციან, არც თამაშობა, არც თავის დროს გათავება, არც ხერხიანათ პატიოსნობის ჩვენება და არც ოსტატურათ, ჯენტილმონიალურათ ქაღალდის შეცვლა. აბა შეხედეთ მოხუცებულებს—რამდენნი იმათგანნი ქაღალდის თამაშობით ჩინოვნიკები გამხდარან? ტალახითგან ამოსულან, დიდკაცებში ჩავარდნილან. რისაგან არი? თქვენ რა გგონიათ? აი იმისაგან არი, რომ ყველაფერში შესაფერად იქცევიან და დაიცვენ ხოლმე კანონსა და რჯულს.

## გამოსვლა მესამე.

კაზარინი და შპრიხი. (შპრიხი შემოდის).

შპრიხი. ოჰ, ათანასი პავლოვიჩ! აი საკვირველი რამ!

აჰ, რა მიხარიან! არ მეგონა რომ თქვენ აქ გნახავდით.

გაზარინი. არც მე. შენ ვიზიტითა ხარ?

შპრიხი. დიახ. თქვენ?

გაზარინი. მეც.

შპრიხი. მართლა? მაგრამ ცუდი არ არის, რომ ჩვენ შევხვდით ერთმანერთს: ერთი საქმე მაქვს თქვენთან მოსალაპარაკებელი.

გაზარინი. აქამდინ ბევრი საქმეები გქონდა და არ გეცალა, ახლაკი ერთი საქმე გაქვს?

შპრიხი. კაი პასუხის გება თქვენთვის არაფერია, მაგრამ მერწმუნეთ საჭიროა.....

გაზარინი. ჩემთვისაც ძალიან საჭიროა შენთან მოლაპარაკება.

შპრიხი. მაშ ჩვენ მეგობრულად მოვახერხებთ.

გაზარინი. არ ვიცი. მითხარ.

შპრიხი. ჯერ ერთი უნდა გკითხოთ: შეგიტყვიათ რომ თქვენს მეგობარს არბენინს (ანიშნებს თითებით რქებს).

გაზარინი. რა?.... შეუძლებელია! შენ სწორეთ იცი?....

შპრიხი. ღმერთო ჩემო! მე თითონ ვარიგებდი საქმეს ამ ხუთის მინუტის წინათ. მაშ ვინ უნდა იცოდეს?

გაზარინი. დასწყევლა ღმერთმა! ეშმაკს რო არა გამოეპარებარა!

შპრიხი. აი როგორ ყოფილა: იმისი ცოლი, ამას წინათ, არ მახსოვს, ბალში.... თუ მასკარადში, ერთ კნიაზს შეხვედრია, უცნობებია კარგათ იმისთვის თავისი თავი, შეჰყვარებიათ ერთმანერთი და ისე მალე კნიაზი გა-

ბედნიერებულა. მაგრამ მერე, ერთბაშათ გინაღამ სულ ხელითგან წასვლაია. კნიაზი გაცხარებული გაფრენილა, შეუტყობინებია ყველასთჳს, არ დაუგდენია თუ რა მოხდება. მე მთხოვეს რომ ეს საქმე გავარიგო.... ვიკისრე და ერთბაშათ ყველა გარიგდა... კნიაზი დამპირდა რომ ჩუმათ იქნება; დაიწერა ბარათი, მეც, თქუ̂ენმა მოსამსახურემ, ცოტა გავასწორე, და გაიგზავნა ვისთანაც იყო მიწერილი.

კაზარინი. გაუფრთხილდიკი რომ ქმარმა ყურები არ დაგაგლიჯოს.

შპრიხი. ამისთანა საქმეში ვყოფილვარ? მაგრამ უდღე-ელოთ გაუგლია....

კაზარინი. არცთუ გალახულხარ?

შპრიხი. ეჰ, თქუ̂ენი სულ ხუმბრობაა და დაცინება.... მეკი სულ მუდამ ვიტყვი, რომ თუ ერთი რამ განზრახვა არა აქუ̂ს კაცს არ უნდა გამოიმეტოს თავის სიცოცხლე.

კაზარინი. ჰო, მართლა! ამისთანა ყველასთჳს სასარგებლო სიცოცხლე, უბრალოთ გაიმეტოს კაცმა—დიდი ცოდვაა.

შპრიხი. ეგ იქით დარჩეს და მე ხო თქუ̂ენთან ერთ დიდ საქმეზე მინდოდა მომელაპარაკნა.

კაზარინი. რა საქმეა ეგ საქმე?

შპრიხი. იგავია! მაგრამ აი როგორი საქმეა....

კაზარინი. დაიკარგე შენის საქმეებით! არბენინი მოდის მგონია.

შპრიხი. არავინ არის. გრაფ ვრუტისაგან ეხლახან ხუთი მწევარი მომგვარეს.

კაზარინი. შენი იგავი, ღუ̂თის მადლმა, ძალიან სა-

ცინელის.

შპრიხი. თქჳენი ძმა მონადირეა; აი რო იყიდოთ საუცხოვო იქნება.

კაზარინი. მაშ არბენინი—როგორც სულელი...,

შპრიხი. ყური მიგდეთ.

კაზარინი. მოტყუებულა, ჩავარდნილა ორმოში და აშკარათ შერცხვენილა. ამას შემდეგ წადი შეირთე ცოლი!

შპრიხი. ძალიან გაიხარებს თქჳენი ძმა იმათ შოვნას.

კაზარინი. ცოლის ერთგულობა, ცოლიანის ბედნიერება—სულ ტყუილია! ჰა, შპრიხ, არ შეირთო ცოლი!

შპრიხი. ეჰ, მე რა ხანია ცოლიანი ვარ... ყური მიგდეთ, ერთი ასეთია, რომ სწორეთ განძია.

კაზარინი. ცოლი?

შპხრიხი. მწევარი.

კაზარინი. რას გადაეკიდე იმ მწევრებს! ყური მიგდე, საყვარელო, შენი ცოლისაკი არ ვიცი, რას ინებებს ღმერთი, არავინ იცის—და შენს მწევრებსკი მალე ვერ გაიცლი ხელითგან.

(არბენინი შემოდის, წიგნი ხელში. კაზარინი და შპრიხი მარცხნივ სტოლთან იდგნენ და არბენინმა ვერ დაიხახა ისინი).

დაფიქრებულია, წიგნი უჭირავს; ნეტავი ვიცოდე.

## გამოსვლა მეოთხე.

უწინდელნი და არბენინი.

არბენინი, (ვერა ხედავს იმათ): ოჰ, მადლობაჲ! რა

დიდი ხანია, რაც მე, თითქმის ჯერ არცკი ვიცნობდი იმას, რომ დავიხსენ იმისი სახელი და მომავალი ცხოვრებას? რას ვხედავ ახლა მე ამის მაგიერს?.... ოჰ, ღმერთო! არ გაგონილა ამისთანა სამაგლობა!.... როგორც ქურდი, თამაშობით დეეცა ჩემს სახლობას და ამავსო მე სირცხვილით!.... მეც, იმდენი მწარე დღეების მნახველი, არ უჯერებდი ჩემს თვალებს. როგორც ყმაწვილი, რომელიც არ იცნობს კაცის გულს, მეც არ მეგონა რომ ის ამისთანა საქმეს იქმოდა. მე ასე მეგონა სულ ნინოს ბრალია და არ იცის კნიაზმა ვინ არის ის ქალი. მე მეგონა დავივიწყებდა იმ ღამის ამბავს, როგორც სიზმარს; მაგრამ არ დავიწყებია, — მოუძებნია და უპოვნია; ამით უნდა გათავებულიყო, მაგრამ იმას ვერ დაუთმია.....

ოჰ, მადლობავ'...... ბევრი რამ მინახავს ქჳეყანაზე და მაინც კიდევ ვხედავ საკვირველებას! (მეორეთ კითხულობს წიგნს.)

«გიპოვნეთ მე თქჳენ! მაგრამ თქჳენ თავს არ იდეთ.
«კაი დროს დაუმალავ თავი! «თქჳენ მართალნი ხართ....
«რა იქნება ისეთი ძნელი. როგორც ქჳეყნის პირში ჩა-
«ვარდნა! გაგვიგებდნენ, როგორმე ყურს დაგვიგდებდნენ.
«მეც შეგხედეთ თქჳენს მხურვალე თვალებზე, რომ თქ-
«ჳენ მხოლოდ ქჳეყნისა გეშინიანთ და არათუ მე გძუ-
«ლვართ. თქჳენ საიდუმლოთ საქმის დაჭერა გუვარებიათ
«და ეს საქმეც საიდუმლოთ დარჩება. მაგრამ მოვკუდები
«და მე თქჳენგან ხელს არ ავიღებ.»

მპრიხი. წიგნია! დიახ, დიახ, ის არი...: დაიღუპა სულ ერთიანათ!

არბენინი. ოჰო! სჩანს გამოცდილია მატყუარია; სის-ხლი მინდა გაუგზავნო მე იმას პასუხად. (დაინახავს კაზარინს.) ოჰ, შენ აქ ყოფილხარ?

კაზარინი. მთელი ერთი საათია მე თქვენ გელით.

შპრიხი, (გვერდზე.) მე ბარონესასთან წავალ: ეცადოს, გაიწყოს როგორც უნდა. (მიახლოვდება კარებთან.)

## გამოსვლა მეხუთე.

უწინდელნი, შპრიხის გარდა.

(შპრიხი გაიპარება).

კაზარინი. მე და შპრიხი.... შპრიხი სადღაა? დაიკარგა! (გვერდზე) წიგნი ყოფილა? ოჰ, მაშ მესმის! (არბენინს): ფიქრში ბძანდებით....

არბენინი. დიახ, ვფიქრობ.

კაზარინი. რაზე, ამ მოკლე დღის ფუტურო იმედზე და ბედნიერებაზე?

არბენინი. თითქმის.... მადლობაზე.

კაზარინი. სხუა და სხუა ნაირად ესმის ეგ საგანი. მაგრამ, როგორც უნდა ესმოდესთ თუნდ ერთს, თუნდ მეორეს, მაინც კიდევ საფიქრებელია.

არბენინი. შენ როგორღა გესმის?

კაზარინი. მე მგონია, ჩემო მეგობარო, რომ მადლობა ასეთი რამ არის, რომელიც სიკეთეზე და სამსახურზეა დამოკიდებული, უფრო ამიტომა რომ ჩვენ მუდამ ჩვენის ნებით არა ვშრებით სიკეთეს: აი, მაგალითად, გუშინ სლუგინმა კიდევ მომაგებინა, თითქმის რომ, ხუთასი

თუმანი, და მეც, ღმერთს გეფიცებით, ძალიან მადლობელი ვარ; ასე რომ სმაში, ჭამაში, ძილში, სულ იმაზე ვფიქრობ.

არბენინი. შენ სულ ხუმრობ, კაზარინ.

კაზარინი. ყური მიგდე: შენ მე მიყჳარხარ და ამიტომ სწორეთ გეტყვი; მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ნუ ხარ ეგრე მოღრუბლული. მე შენ ამ ქჳეყნის სიბრძნის საიდუმლოს შეგატყობინებ თავით ბოლომდინ სულ ერთიანათ. გინდა შეიტყო როგორ ვფიქრობ მე მადლობაზე?.. ბატონი ბრძანდები: მოითმინე პატარა.

რაც უნდა ითქონ ვოლტერმა და დეკარტმა, ეს ქჳეყანა ჩემთჳს სათამაშო ქაღალდის კალოდია, ხოლო სიცოცხლე—ბანკის თამაშობაა: ბედი ნიშნავს, მე ვთამაშობ. ქაღალდის თამაშობის კანონს კაცზე მოვიყვან, აი მაგალითიც: ვთქოთ, რომ გულმა წინათვე მიგრძნო,—მე ძალიან ვერწმუნები გულს ქაღალდის თამაშობაში,—დასხი თუმანი ერთათ დავიჭირე კიკოზე; ვთქოთ იმ კიკომ, როგორმე შემთხვევით, უტყუარათ მოიგო;—მე ძალიან მოხარული ვარ, მაგრამ არას დროს კიკოს მადლობას არ ვეტყვი, მოგებულს ფულს ხმა ამოუღებლივ მივიხვეტავ ჩემკენ, მერე მოვდრეკ და მოვდრეკ ქაღალდს, სანამ დავიღალებოდე; მერე ჯამსა ვკრამ,დაჭმუჭნულ ქაღალდებს სტოლის ქჳეშ შევაგდებ. ახლა.... ყურს კი არ მიგდებ, ჩემო საყჳარელო, და...

არბენინი. (ფიქრში). ყველგან ბოროტობაა, ყველგან მოტყუებაა! მეც ისე გარჩსავით უგდებდი ყურს ხმა ამოუღებლივ ამ საქმეს.

კაზარინი, (გვერდზე). დაფიქრდა. (არბენინს): ახლა გადავიდეთ სხუა შემთხვევაზე და გავარჩიოთ საქმე ცოტ-ცოტა, თითო თითო მუხლი, რომ არ შევიშალოთ. ვთქოთ, შენ გინდა მეორეთ დაიწყო ქაღალდის თამაშობა ანუ გარყვნილობა, შეგხვდა მაშინ შენი მეგობარი და გითხრა: «ჰა! გაუფრთხილდი ძმაო!» და ამასთანვე სხუა რამდენიმე ჭკვიანი დარიგებაც მოგცა, რომელნიც არაფრათ არა ღირან; ვთქოთ შენც ისე, მოგივიდა და შემთხვევით დაუჯერე; იმას ეკუთვნის მადლობა და დღეგძელობა. თუ მთვრალობა დაგიშალა, მაშინაც დაუყოვნებლივ დაათრე და ქაღალდის თამაშობაში მოუგე სულ ერთიანათ იმის დარიგების სამაგიეროთ. თუ ქაღალდის თამაშობაში და-გიხსნა და—მაშ წადი ბალში, შეიყუარე იმისი ცოლი.... ანუ შეგიძლიან არ შეიყუარო კიდეც, მხოლოთ შეატყობინე ისა, რომ გაქვითდე იმის ქმართან. ორივეში შენ მართა-ლი იქნები, მეგობარო, მხოლოთ ეს არის, რომ უროკის გამო უროკს მისცემ.

არბენინი. საკჳრველი ზნეობითი სწავლა გქონია შენ! (გვერდზე) სჩანს ყველასა სცოდნია ეს საქმე. აჰი, კნიაზო! გადავიხდი მაგიერს!

კაზარინი (არბენინს ყურს არ უგდებს).

უკანასკნელი მუხლი დაგვრჩა დასახსნელათ: ვთქოთ შენ გიყუარს ერთი ქალი, შეგიწირავს იმისთჳს შენი პა-ტიოსნება, შენი სიმდიდრე, შენი მეგობრები, იქნება რომ სიცოცხლეც; ვთქოთ აგივსია ის ქალი ამებით, ფერობით, ერთის სიტყვით ყველაფრით; რისთჳს უნდა იყოს ის ქალი შენგან მადლობელი? ეს ყველაფერი უჩვენე შენ

იმას იმიტომ, რომ შენ თითონ გქონდა სურვილი, შენ შენის თავის სიყვარულითა ჰქენი ესენი, შენ გინდოდა რომ სრულათ შენს მფლობელობაში ყოფილიყო და ყველაფერი ამის გამო მსხვერპლათ შესწირე იმას, და არა თუ შენ საკუთრათ იმის ბედნიერებასა ცდილობდი. დიახ, აბა ერთი გულგრილათ, კარგათ, იფიქრე ამაზე, მაშინ თითონ შენვე იტყვი, რომ ყველაფერი ქვეყანაზე თუობითია.

არბენინი. (გულ ამღვრევით). დიახ, დიახ, მართალს ამბობ; საყვარელი რა არი ქალისთვის? ყოველ დღე ახალი გამარჯვება უნდა იმას. გინდა იტირე, გინდა იტანჯე, გინდა ეთაყვანე—აცინებს იმას შენი მტირალი სახე, შენი ტირილის ხმა. მართალი ხარ: სულელია ის კაცი, რომელსაც ჰგონია რომ დედაკაცში ქვეყნიერ სამოთხეს იპოვის.

გაზარინი. შენ ძალიან სწორეთ სჯი, თუმცა ცოლიანიცა ხარ და ბედნიერიც.

არბენინი. მართლა?

გაზარინი. არა თუ?

არბენინი. ჰო, დიახ, ბედნიერი ვარ....

გაზარინი. მე დიდად მოხარული ვარ; მაგრამ მაინც ძილევ მენანება, რომ შენ ცოლიანი ხარ!

არბენინი. რათა?

გაზარინი. ისე....მაგონდება უწინდელი დრო, როდესაც მე და შენ ერთათ ვჰქეიფობდით ხოლმე. აი მაშინ იყო კაი დრო! დილით ძილი, მოსვენება, ნაჰობა, ღამე სიამოვნებით დროს გატარების მოგონება, მერე სადილი,

თლილ სტაქანში ბრწყინვალე, სიმაგრისაგან ადუღებული ღვინო, ხმიანი და მხიარული საუბარი, შექცევა, უმრავლესი ხუმრობა; მერე თიატრი—ოჰ, გული ამითვანცქალდება ხოლმე რო მაგონდება, რა ადვილათ გამოვიტყუებდით ხოლმე თიატრითგან მოტანციე და მოთამაშე ქალებს.... მართალია განა რომ უწინ ყველაფერი ახლანდელზე უფრო უმჯობესი და იაფი იყო?—თიატრი გათავდა—ჩჳენც შივფრინავთ, როგორც ისარი, მეგობარკაცთან..... შევედით..... გაცხარებული ქაღალდის თამაშობა დაგვიხვდა! უყურებთ მთასავით ყრია სათამაშო ქაღალდებზედ ყვითელი ოქროები, ერთი მოთამაშე გადაწითლებული ცეცხლივით, მეორეს სამარეში მდებარე მკვდრის ფერი აძევს, ჩჳენც მოუსხედით—გაიმართა ბრძოლა!.... მაშინ გადადის ერთის გულითგან მეორის გულში მრავალი სხჳა და სხჳა გრძნობა და ხშირად საზარელი აზრი აღაგზნებს ხოლმე ფიცხელი კაცის გულს.... და თუ დასძლევ შენს წინააღმდეგს შენის ცოდნითა და შენს ბედის წერას მოადრეკინებ შენს წინაშე მუხლს და დაიმორჩილებ, მაშინ თითონ ნაპოლეონიც არაფრად გეჩვენება.

არბენინი. (მიბრუნდება.) ოჰ! ვინ დაგაბრუნებსთ უკან უწინდელნო ჩემნო დამთხვეულნო, ხოლო გულის მხურვალების ჟამნო? თქჳენთჳს შემიწირავს და დამიტევებია ბედნიერება უმეცარისა და განსვენება უზრუნველისა—ჩემთჳს არ არი ესენი გაჩენილი..... მე უნდა ვიყო მეუღლე და მამა სახლისა?მე?მე?რომელმანც ვნახე გემო ყოვლის მწველისა და ბოროტ მოქმედებისა და არც ერთხელ არ

შევძრწუნებულვარ იმათ წინაშე? გამეცა სათნოებაც, გამეცა, მე შენ არ გიცნობ; შენგანაცა ვარ მოტყუებული და ამიერითგან დამირღვევია ჩუჱნი მცირედი დღის კავშირი. მშჳდობით, მშჳდობით! (დაეცემა სკამზე, პირზე ხელებს მიიფარებს.)

კაზარინი. ახლაკი ჩემია ეს კაცი.

## სცენა მესამე.

ოთახი კნიაზისა.

(მეორე ოთახის კარები ღიაა, კნიაზსა სძინავს იქ დივანზედ.)

### გამოსვლა პირველი.

მოსამსახურე, მერე არბენინი.

(მოსამსახურე საათს უყურებს,)

მოსამსახურე. შჳდი საათი თითქმის სრულდება, რვაზედკი ბძანა გამაღჳძეო. იმან მოდის ძილი არ იცის, რუსულათა სძინავს ხოლმე: მე დუქანში წასვლას და მოსვლას მოვასწრობ. კარებს დავკეტავ,—უფრო უშიშრათ წავალ... აცა.... ბრახ.... კიბეზე ვიღაც ამოდის; ვეტყვი შინ არ არის მეთქი..... მოვიშორებ მალე თავითგან. (არბენინი შემოდის).

არბენინი. შინ არი კნიაზი?

მოსამსახურე. შინ არ გახლავსთ.

არბენინი. სტყუი.

მოსამსახურე.სხჳაგან გიახლათ ამ ხუთის მინუტის წინათ.

არბენინი. (ყურს უგდებს.) მიჴქარავ! ის აქ არის (უჩ-

ჭყრნებს გაბინეტისაგენ) და სჩანს ტკბილათა სძინავს: ყური დაუგდე, როგორა ფშვინავს.... (გვერდზედ) ბევრს ხანს აღარ გასწევს ამისი ფშვინვა.

მოსამსახურე. (გვერდზე). ამას სულ ესმის (არბენინს): კნიაზს არ უბძანებია გაღვიძება.

არბენინი. (თავის თავათ.) იმას ძილი უყვარს,—უფრო კარგი: საუკუნოთ თავაძინებ მე იმას. (მოსამსახურეს): მე შენ მგონია გითხარ რომ მოუცდი მეოქი სანამ გაიღჳძებდეს. (მოსამსახურე წავა.)

## გამოსვლა მეორე.

არბენინი, (მარტო.) კაი დროა,—ან ეხლა და ან აღარას დროს! ეხლა მე უშიშრათ გაუჭირებლივ აღვასრულებ ყველაფერს; მე დავამტკიცებ, რომ ჩუენს თაობაში ერთი სული მაინც არის იმისთანა, რომლის გულშიაც რო ჩავარდება ვისგანმე წყენა მოიყვანს ხოლმე ნაყოფს. ოჰ, მე იმათი მოსამსახურე არავარ: გვიან არი ჩემთჳს ჩემი იმათწინ თავის მოხრა.... მე რომ ჩემი მტერი იმათ თვალწინ მაღლახმით გამომეთხოვნა, ისინი სიცილს დაიწყებდნენ.... ახლა ვეღარ გაიცინებენ! ოო, მე იმისთანა არა ვარ! ჩემის თავის შერცხვენას უბრალოთ არ მოვითმენ ერთს საათს. (გააღებს კარებს) სძინავს იმას! რას ხედავს ნეტა უკანასკნელ სიზმარში? (საშინელი ღიმილი მოუვა) ასე მგონია რომ სისხლშიაც მოკლას ის: თავი ჩამოჭკნილებია... შევეწევი სისხლს.... და რაც მოხდება სულ კეთილ ბუნებისაგან იქნება.

(შევა ოთახში და ორი მინუტის შემდეგ ისევ გამოვა ფერ გადაკრული.)

არ შემიძლიან! (ჩუმათ იქნება) დიახ; ძალზე და ნებაზე გარდამეტია ეს საქმე.... უმუხთლე მე ჩემს თავს, განკარგი დავიწყე, ამის მეტად ჩემს დღეში მე ეს არ მომსვლია! დიდი ხანია მე მშიშარა ვარ?...მე მშიშარა?.... ვინა თქო?..... მე თითონ, და მართალიც არის.... სირცხვილია! წადი და გრცხვენოდეს საქაღალდო კაცო! ჩვენს საუკუნეს შეუყვარების შენთვისაც ქვეყანა ისე, როგორც სხვებისთვის; სჩანს რომ შენ მხოლოდ იკვეხდი შენ წინაშე... ოჰ, საზიზღარო ხარ, მერწმუნე საზიზღარო.... დაკარგულხარ, მოუმწიფებულხარ შენც განათლების ტჳრთის ქვეშ! სიყვარული ვერ შეიძლე, ხოლო ჯვარის ამოგრა მოინდომე, მოხველი და... ვერ შეიძლე! (დუმილება.)

(ჯდება) მეტად მაღლა ავფრინდი მე; უკეთესი გზა უნდა გამოვირჩიო... ერთი სხვა განზრახვა ჩამიკარდა ამ ჩემ დატანჯულ გულში. ისევ ისე, ცოცხალი იქნება, იცოცხლებს; მოკვლა მოდა აღარ არის, კაცის მკვლელებს მეიდანზე ჩამოახრჩობენ ხოლმე. განათლებულ ხალხში ვარ მე დაბადებული, განათლებულ ხალხში ვცხოვრობ: ენა და ოქრო—აი ჩვენი ხანჯალი და მოსაწამლავი!

(აიღებს კალამს და დასწერს ერთს ბარათს. მერე აიღებს შლაპას.)

### გამოსვლა მესამე.

არბენინი და ბარონესა.

(არბენინი კარებთან რომ მივა, შეეჯახება ერთს პირბადიან ქალს.)

ქალი პირბადიანი. ვაიმე! სულ დამეღუპა!..

არბენინი. ეს რა არი?

ქალი. (გამოსვლას ცდილობს.) გამიშვი!

არბენინი. (თავისთავათ) არა, ეს კივილი გასასყიდი სათნოების ფარისევლური კივილი არ არის. (ქალს მკაცრათ): დაჩუმდით! ხმა,—თორემ ემ წამსვე... რა ეჭვი მაქჳს! აიხადეთ თქჳენი პირბადი, სანამ ჩჳენ აქ ორნი ვართ, მარტო!

ქალი. მე აქ არ მინდოდა შემოსვლა, შემეშალა გზა.

არბენინი. დიახ, ცოტა შეგშლიათ, მეც ისე მგონია, ალაგიკი არა—დრო.

ქალი. ღჳთის გულისათჳს გამიშვით! მე თქჳენ არ გიცნობთ!

არბენინი. საკვირველია თქჳენი შეკრთომა... თქჳენ მე უნდა გამიცნოთ. იმას ეხლა სძინავს და ემ საათში ადგება! მე სულ ვიცი... მხოლოდ მინდა დავერწმუნო...

ქალი. სულ იცით?....

(შეუიგდებს პირბადს და უკუდგება გაკვირვებული, მერე მოვა გონებას).

არბენინი. გმადლობ შენ დამბადებელო, რომ დღეს მაინც ინება ჩემი შეცთომა!

ბარონესა. ოჰ! ეს რა ვქენი? ახლაკი სულ ჩაიშალა!

არბენინი. სასოწარკვეთილების დრო არ არის ეხლა. საამური არ არის, მეც თანახმა ვარ, რომ მხურვალე გულის ნაცვლათ ცივი ხელი დაგხვდათ...ეგ შეკრთომაც ერთი მინუტის საქმეა, არაფერია, ნუ გეშინიანთ, მე კეთილი კაცი ვარ, დაფარვა მიყვარს და მადლობაც შეწირეთ ღმერთს რომ ეს მე ვარ და არა თუ სხჳა ვინმე, თორემ სხჳა რომ ყოფილიყო ქალაქში პუბლიკაციას დაუკრავდა ამაზე.

ბარონესა. ახ! გაიღვიძა იმან, ლაპარაკობს!

არბენინი. ბურანშია.....ნუ სწუხართ. მე ეხლავე წავალ, ოღონდ ერთი შემატყობინეთ: რა უფლებით, რის ძალით მიგიზიდათ ამ უსულო კერპმა? ეს თითონ რო უსულო და უგულოა, როგორც ქჳა, როგორღა მიელტჳით ამას მხურვალის გულით ყოველნი დედაკაცნი? რატომ თითონ ის არ უნდა იყოს თქჳენ წინაშე გულ შემუსვრით, ვედრებით, ფიცით და ცრემლებით დაჩოქილი? არა, თითონ თქჳენ, თქჳენ თითონ მოდიხართ აქ, ამასთან და თქჳენ, რომელთაც გაქჳსთ სული და გული რათ აგიღიათ ხელი დედაკაცის ნამუსისაგან და მოსულხართ აქ თქჳენ თავათ თქჳენის თავის მისაცემათ? რათ უნდა რომ სხჳა დედაკაცმაც, რომელიც არ არის არაფრით თქჳენზე ნაკლები, შესწიროს ამას ყველაფერი: ბედნიერება, სიცოცხლე, სიყჳარული.....ამის ერთის სიტყჳისათჳს, ამის ერთის შეხედჳისათჳს? რათ.....ოჰ, მე სულელო ჩემო თავო! (გაცხარებით): რათა? რისთჳს?

ბარონესა. გავიგე მე რაზედაც ამბობთ....მე ვიცი რომ თქჳენ მოსულხართ....

არბენინი. როგორ თუ იცით? თქჳენ ვიღამ გითხრათ? (დამშვიდდება) აბა რა იცით თქჳენ?

ბარონესა. ოჰ, გევედრებით, მომიტევეთ...

არბენინი. არ გამტყუნებთ მე თქჳენ; მე მახარებს კიდეც მეგობრის ბედნიერება.

ბარონესა. ვნებათაგან დაბრმავებული ვიყავ; სულ ჩემი ბრალია; მაგრამ ყური მიგდეთ....

არბენინი. რა საჭიროა? გარწმუნებთ რომ ჩემთჳს სულ

ერთია.... მე მტერი ვარ მკაცრ ზნეობითი სწავლისა.

ბარონესა. მაგრამ მე რო არა ვყოფილიყავი, არც ის წიგნი იქნებოდა, არც....

არბენინი. აა! ეგ კი მეტად ბევრია!... წიგნი!... რა წიგნი? ოჰ! მაშ თქჳენა ყოფილხართ მაშინ იმათი შუამავალი? თქჳენ შეჰყარეთ ერთათ და თქჳენ გაატანით ერთმანერთს ისინი? დიდი ხანია რაც ეს ხელობა დაგიწყვიათ? რამ დაგაწყებინათ? აქ მოგყავთ ხოლმე უმანკო სხვერპლი, თუ ახალ გაზდები თქჳენთან იარებიან? დიახ,— სწორე მოგახსენოთ.·... თქჳენ საუნჯე ხართ გოსტინნიცებისთჳს! და ამას იქით საკვირველი აღარ არის ჩვენი ქალების გარყვნილობა!...

ბარონესა. ოჰ, გაგიჟდები მე.... მოიცადეთ, მოდის ის; ყურს არ მიგდებს.... ოჰ, მოვკჳდები მე...

არბენინი. რაღა გინდათ? მიჰყევით მაგ ხელობას, სახელოვანი იქნებით.... ახლა ნუღარ გეშინებათ ჩემი და მშვიდობით... მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს რომ ჩვენ კიდევ აღარ შევხვდეთ ერთმანერთს!...თქჳენ მე წამართვით ამ ქჳეყანას სულ, სულ, რაცა მქონდა. მე თქჳენ დაგედევნებით ყველგან ქუჩებში, საზოგადოებაში, შენ სახლში და თუ შევეჯახენით ერთმანერთს... კაი თქჳენი ბრალი! შემიძლიან მოგკლათ, მაგრამ ჯილდოთ გამოვა თქჳენთჳს ის სიკჳდილი, რომელიც სხვისთჳს უნდა შევინახო. ხედავთ როგორ კეთილი ვარ? ჯოჯოხეთის ტანჯვის ნაცვლად, მე თქჳენ ქჳეყნიერ სამოთხეს გიტევებთ. (წავა)

## გამოსვლა მეოთხე.

ბარონესა, თან მისძახის არბენინს.

გამიგონეთ, გეფიცებით.... მოტყუება იყო ის.... იმ ქალს ბრალი არა აქვს, უბრალოა.... და ბრასლეტი...სულ მე, მარტო მე.... წავიდა, არ ესმის! რა ვქნა? არსაითგან იმედი არ არის.... საჭირო არ არი! გინდა თუ არა, მე ის კაცი უნდა დავიხსნა,—შევეხვეწები, ვიხოვ, თავს დავიმდაბლებ და დავიმცრობ; ვეტყვი, რომ მე მოვატყუე, მე დავაშავე!... გამოიღვიძა.... ადგა... მოდის... გავბედავ... ოჰ, რა წვალებაა!

## გამოსვლა მეხუთე.

ბარონესა და კნიაზი.

კნიაზი. (მეორე ოთახითგან). ივან! ვინ არის მანდ?.. ლაპარაკის ხმა შემომესმა! რა ხალხია! ნახევარ საათსაც არ დააძინებენ! (შემოვა) ოჰო, ეს ვინ მოსულა ჩემ სანახავათ? ლამაზი ქალი! მე დიდათ მოხარული ვარ. (იცნობს და უკუდგება) აჰ, ბარონესაა! არა, დასაჯერებელი არ არის....

ბარონესა. რა უკან დაიწიეთ ერთბაშათ? (წყნარის ხმით) გიკვირსთ?

კნიაზი. (კრთომით). მართალია, ჩემთჳს საამურია....მაგრამ ამისთანა ბედნიერების მოლოდინი არა მქონია მე.

ბარონესა. და საკვირველიც იქნებოდა, რომ გქონიყოთ მოლოდინი.

კნიაზი. რაზე ჰფიქრობდი? ოჰ, მე რომ მცოდნიყო....

ბარონესა. თქუენ ყველაფერი შეგეძლოთ გცოდნიყოთ, და არაფერი კი არ იცოდით.

კნიაზი. ჩემ დანაშაულის გარდახდაზე მე მზათა ვარ და მორჩილებით მივიღებ საკანონოს, რომელიც თქუენ

გნებავსთ.... მე ბრმა და მუნჯი გახლდით. ჩემი უმეცრება დანაშაულია.... და ჯერაც ვერ მომიგონია ვერც ერთი სიტყჳა....

(დაუჭერს ხელს). მაგრამ თქჳენი ხელები — თითქო ყინულია! პირის სახეზე მწუხარება გეტყობათ! განა არა გჯერათ ჩემი სიტყჳები?.. ბარონესა. ტყუილად ფიქრობთ ეგრე. მე იმისთჳს კი არ ვიდე თავს თქჳენთან მოსვლა, რომ გთხოვოთ თქჳენ ჩემი სიყჳარული და გაიქმევინოთ ჩემ წინაშე. მართალია შიშისა და ნამუსის დავიწყება მოგვდგამს ჩჳენ, ჩჳენს ბუნებას; მაგრამ ჩემი აქ მოსვლის მიზეზი უმანკოა და უბრალო. უწინდელმა ჩემმა ცხოვრებამ გაიარა; ახლა მე მომელის სხჳა ცხოვრება. მე მომიხდენია ერთი ბოროტი საქმე; ახლა, რადგანც საუკუნოთ ვანებებ თავს ქჳეყნიერობასა, ამისგამო მინდა უწინდელი ყჳელაფერი მოვინანიო. მე ჩემს სირცხვილს მოვითმენ; ვერ დავიხსენ ჩემი თავი — სხჳას მაინც დავიხსნი.

კნიაზი. ეგ რას ნიშნავს?

ბარონესა. ნუ მიშლით მე! რის წვალებით გავბედე მე ლაპარაკი. ჩემის იმდენი ტანჯვის მიზეზი თქჳენა ხართ, თქჳენ, თქჳენს უცოდნელად. მაგრამ მე ამას არ უყურებ და უნდა დაგიხსნათ მე თქჳენ... რისთჳს, რათა... არ ვიცი.... არაფრით არ გამხდარხართ ღირსი ამისთანა მსხჳერპლისა: არ შეჰქმლოთ თქჳენ არც ჩემი სიყჳარული, არც ჩემი გაგება.... და იქნება რომ არცკი მქონდეს მე ამისი სურვილი....მაგრამ, გამიგონეთ: დღეს მე შევიტყე, როგორ შევიტყე თქჳენთჳს სულ ერთია, თუნდ იცოდეთ თუნდ არა, — შევიტყე რომ თქჳენ გუშინ, დაუხედავათ, არბენინის ცოლთან წიგნი მიგიწერიათ. როგორც ლაპარაკობენ, თქჳენ იმას მითომ უყჳარხართ — ტყუილია. ტყუ-

ილი! ნუ დაიჯერებთ თუ ღმერთი გწამსთ.... თორემ ეს საქმე დაგვღუპავს ჩვენ ყველას! ქალმა არა იცისრა.... მაგრამ ქმარს.... წაუკითხავს,.... საშინელია ის მოწყალე-ბაში და სიყვარულში! ის ეხლა აქაც იყო.... მოუკლავსთ ის თქვენ.... დაჩვეულია ბოროტობას... თქვენ ჯერ ახალგაზდა ხართ....

გნიაზი. უბრალოდ თქვენი შიში! არბენინს ქვეყანაზე უცხოარია: ის იმეთი ჭკუის პატრონი არ არის, რომ შეატყობინოს ქვეყანას უბრალოდ გამედია და ბოლოს უბრალოთ სისხლი მოახდინოს. გადაჭარბებულია არც ამისი შეშინიან. მოგვცემენ ტაბანჩებს ხელში, გაგვიზომენ ოც და თორმეტ ლაჯს, და მე თქვენ გარწმუნებთ ეს ქვეო-ლეტები მტრისაგან შეშინებულის გამო არ მოუცდიათ ჩემთვის.

ბარონესა. თქვენი სიცოცხლე რომ სხვისთვის უფრო ძვირათა ღირდეს, ვინემც თქვენთვის?.... რომ თქვენ სიცოცხლეზე იყოს დამოკიდებული სხვის სიცოცხლე?... რო მოგკლან?.... მოგკლან, ოჰ! ღმერთო! სულ ჩემი ბრალი კი არის!

გნიაზი. თქვენი?

ბარონესა. შემიბრალეთ!

გნიაზი. (დაფიქრდება და მერე:) ჩემი ვალია, უნდა ვებრძოლო; მე ბრალი მაქვს იმის წინაშე, — მე იმისი პატიოსნება მივმცი ჩემს უცოდნელად და თავის გამარ-თლებისათვის სხვა ილაჯი არა მაქვს რა.

ბარონესა. გაქვსთ.

გნიაზი. ტყუილის თქმა — ეს არ არი? აბა მიჩვენეთ სხვა გზა. მე, ჩემის სიცოცხლის დასაცველათ, ტყუილს ვერ ვიტყვი და ამ საათში წავალ კიდეც.

ბარონესა. ერთ წამს!.... ნუ მიდიხართ, გამიგონეთ....

(დაუჭერს ხელს) თქჳენ ყველანი მოსტყუვდით..ის მასკა,
(წაქცევაში სტოლს დაეყუდება) ის მასკა—მე ვარ!...

კნიაზი. როგორ? თქჳენ? ოჰ, განგებავ! (დუმილება) მაგრამ მერიხი?... ის ამხობდა... სულ იმისი ბრალია.....

ბარონესა. (კონებას მოვა და განზე დადგება) ერთს მინუტის შეცთომა იყო ის საქმე; საშინელი უგუნურება მომივიდა მე მაშინ;—ეხლა მე იმ საქმეს ვნანობ! გავლილია ის საქმე და თქჳენც დაივიწყეთ ყველაფერი. მიეცით იმას ბრასლეტი. როგორღაც შემთხჳევამ, გამოუცნობელმა განგებამ მაპოვნინა მე ის ბრასლეტი. პირობა მომეცით რომ ეს საქმე საიდუმლოთ დარჩება... ჩემი მსაჯული ღმერთია! ის თქჳენ მოგიტევებსთ... ჩემი მოტევება თქჳენის ნებით არ არის! მე მივდივარ, გშორდებით... მგონია რომ ჩჳენ ველარა ვნახოთ ერთმანერთი.

(კარებთან რო მივა ნახავს რო კიაზს იმის უკან გამოდგომა უნდა).

ნუ დამედევნებით უკან. (წავა.)

## გამოსვლა მეექვსე.

კნიაზი, (მარტო.) არ ვიცი რა ვიფიქრო, ღმერთს ერწმუნეთ; როგორც ვატყობ. ხელიდგან უშვებ მე კაი შემთხვევას, როგორც შკოლის შაგირდი. (მივა სტოლთან) აჰა, აი ბარათიც; ვისგან არის არბენინი?... წავიკითხავ!...

«საყუარელო კნიაზო! ამაღამ ნ...თან მოდი, იქ ბევრნი
«იქნებიან და ჩჳენც მხიარულათ გავატარებთ დროს. შენი
«გაღვიძება არ ვინდომე, ამიტომ რომ ამაღამ სულ მიელს
«ღამეს თუჟლუმით გაატარებდი, მშვიდობით; უთუოთ
«მოველი. შენი მეგობარი, «ევგენი არბენინი.»

სწორე მოგახსენოთ სხჳა თვალი უნდა იყოს რომ აქ, ამ წიგნისმიდულეში გამოთხოვნა დაინახოს.სად გაგონილა, რომ დუელში გამოთხოვნის წინათ, კახმმათ ქეპატიჟეოდნენ?

## სცენა მესამე.

ოთახი ნ..... ის სახლში.

### გამოსვლა პირველი.

კაზარინი, სახლის პატრონი და არბენინი ქაღალდის სათამაშოთ სხდებიან.

კაზარინი. მაშ მართლა შენ ხელი აიღე იმ ყირებითგან, რომლითაც ქჳყანას თავი მოსწონს? და ისევ უწინდელ გზაზე დაიწყე სიარული?... ძალიან კაი საქმე გიქნია? შენ პოეტი უნდა იყო, და როგორც ნიშნებზე გეტყობა—გენი ხარ. სახლობა გაწუხებს, მამე ხელი, ჩემო საყვარელო მეგობარო,—შენ ჩჳნი ხარ?

არბენინი. თქჳნი ვარ! რაც მოხდა იმის ჩრდილიც აღარ არის.

კაზარინი. სამურია, ღმერთს ერწმუნეთ, რო ხედავს კაცი რა თვალით უყურებენ ეხლა ჭკჳანები სხჳა და სხჳა რასმე. შესაბამობა იმათთჳს ბორკილზე უფრო საშინელია.... შენ ჩემი მონახევრე ხარ განა?

სახლის პატრონი. აბა ერთი კნიაზს უნდა გამოგლიჯოთ პატარა.

კაზარინი. დიახ... დიახ. (გვერდზე) კარგი იქნება ამათი ბრძოლა!

სახლის პატრონი. გნახოთ—ტრანსპორტ!...

(ფეხის ხმა ისმის.)

არბენინი. ის არის.

კაზარინი. ხელები გიკანკალებს?....

არბენინი. ეჰ, არაფერია,—გადაჩვევისაგან არის.

(კნიაზი შემოდის.)

### გამოსვლა მეორე.

უწინდელნი და კნიაზი.

სახლის პატრონი. აა, კნიაზი! მიხარიან ძალიან; ინე-

ბეთ, გთხოვთ შინაურულათ, მოიხსენით ხმალი და დაბ-ძანდით. ჩჳენ საშინელი ბრძოლა გვაქჳს.

კნიაზი. ოო! საცქერლათ მე მზათა ვარ.

არბენინი. თამაშობისა კი მასაქეთ სულ გეშინიანთ?

კნიაზი. არა, თქჳენთან, გარწმუნებთ, არ მეშინიან. (გვერდზე) ესეა ქჳეყნიერების წესი: ქმარს ვაამებ, ცოლს კი ვეაშიყები.... იქ კი მოვიგო და აქ დეე წავაგო. (ჯდება).

არბენინი. დღეს მე თქჳენსა ვიყავ.

კნიაზი. წავიკითხე ბარათი და აი მორჩილი ვარ, ხედავთ?

არბენინი. ერთი ვიღაც დამიხვდა შიგ კარებში, მწუხა-რე, გაშფოთებული.

კნიაზი. თქჳენც იცანით?

არბენინი, (სიცილით): მგონია ვიცან. საშინელი მაც-თური ხართ თქჳენ, კნიაზო! მე ყველაფერი გავიგე, ყვე-ლაფერი გამოვიცან....

კნიაზი, (გვერდზე). ამას არაფერი არ გაუგია,—ეს ცხადია. (უკან წავა, ხმალს დასდებს).

არბენინი. ნეტავი არ მინდა თქჳენ ჩემ ცოლს თვალში მოსველი ხართ!

კნიაზი, (აირევა). რატომ?

არბენინი. იმიტომ რომ მე არა მაქჳს ის სათნოება, რომელსაც მიჯნურნი ქმარში ეძებენ. (გვერდზე) სრუ-ლიათ არა გრძნობს არაფრით.... ოჰ, რეგვენო! მოვშლი მე შენს ტკბილს მშჳდობას და მოვასხამ შხამს. რომ შე-ბძლოს შენ შენი სულის ჩამოსვლა მეც ჩემსას ჩამოვალ. (თამაშობენ. არბენინი უნიშნავს).

კაზარინი. მე ხუთ თუმანს ჩამოვდივარ.

კნიაზი. მეც.

არბენინი. მე თქჳენ ერთ იგავს გეტყჳთ, რომელიც ახალგაზრდობაში მაქჳს გაგონილი და ჯერაც თავითგან არ გამსვლია. აი რა: ერთი საბატიო, ცოლიანი კაცი—

შენმა მოიგო, გაზარინ,—ცოლიანი კაცი, ცოლის ერთ-გულობაზე მინდობილი, თურმე არაფერს ეჭვში არ შე-დის ცოლის გამო და ამ ტკბილ ძილში, — თქვენ ძალიან ყურს მიგდებთ, კნიაზო და წააგებთ რიგიანათ;—ქმარი ერთი კეთილი კაცი ყოფილა, ყველასა ჰყვარებია. ესე გასულა დღე დღეზე. კეთილ ცხოვრების შესაამშვენებლად, გამოსჩენია დაუდევნელ ქმარს ერთი მეგობარი კაცი, რომ-ლისთვისაც იმას ერთხელ დიდი შემწეობა ექნა და დიდი სიკეთე, ამასთანავე ჰგონებია რომ იმ მეგობარს პატიო-სნებაცა აქვს და სვინიდისიც. მერე, რა გამოსულა ბო-ლოს?—იმ ქმარს, არკიეცი, როგორღაც შეუტყვია, რომ იმის დამადლიერებულ მეგობარ კაცს, მეტად პატიოსან მოვალეს, იმის ცოლისთვის თავისი სამსახური მოუხსენებია.

კნიაზი. მერე, ქმარს რაღა უქნია?

არბენინი, (მითომ თუ ვერ გაიგო.) დაგვიწყებიათ თა-მაშობა, კნიაზო: ქაღალდსა სდრეკთ და არ უყურებთ კი. (დააცქერდება ძალიან): გინდათ შეიტყოთ რაღა უქნია ქმარს?—უბრალო საქმეზე წასჩხუბებია და შემოუკრავს იმისთვის სილა. თქვენ რას უზამდით, კნიაზო?

კნიაზი. მეც იმას უზამდი. მერე, უსროლიათ ერთმა-ნეთისთვის?

არბენინი. არა.

კაზარინი. ხმლით უბრძოლიათ?

არბენინი, არა, არა.

კაზარინი. მაშ შერიგებულან?

არბენინი. (მწარე ღიმილით). ეჰ, არა!

კნიაზი. მაშ რაღა უქნია იმას.

არბენინი. ის ჯავრ ამოყრილი დარჩომილა და მაცთური სილა შემოკრული დაუტევებია.

კნიაზი, (იცინის). ეგ ხო სრულობით კანონის წინააღმდეგია.

არბენინი. რომელ უგანშია მმულგარების და კაცის ამოურის რჯული ანუ კანონი? (თამაშობენ. დუმილებაა) მოიგო....მოიგო! (დგება): მოიცადეთ; ეს ქაღალდი გამოგიცვლიათ თქუჱნ.

გნიაზი. მე? გამიგონეთ....

არბენინი. გათავდა თამაშობა.... აქ პატივის ცემა აღარ არის, თქუჱნ (სულის შეგუბებით): თამაშობაში ავაზაკი და პადლეცი ხართ!

გნიაზი. მე? მე!

არბენინი. პადლეცი ხართ, და ახლავე ნიშანსაც დაგასხამთ რომ თქუჱნთან ყოფნას ყველა თავიდაიცილებდეს (ესვრის პირში საათამაშო ქაღალდებს. გნიაზი ასე გაშტერდება, რომ არ იცის რა ქნას). (დაბალ ხმით): ახლა ჩუჱნ ქვით!

კაზარინი, (არბენინს). რა დაემართა? (სახლის პატრონს): როდესაც კაი მოგების დრო იყო მაშინ გაგიჟდა ესეც: ის იყო გაგულისდა გნიაზი, ოცი ათას თუმანს წააგებდა.

გნიაზი, (გონებას მოდის და წამოხტება). წამოდით ეხლავე! წამოდით! სისხლი, მხოლოთ თქუჱნი სისხლი ჩამოუყვანს ამ წყენას!

არბენინი. სასროლათ? თქუჱნთან? მე? გონებაზე არა ხართ თქუჱნ.

გნიაზი. მხდალი ხართ თქუჱნ! (უნდა მივარდეს).

არბენინი. დეე! მაგრამ არ გირჩევთ ახლო მოხვიდეთ, არც თუ აქ დადგეთ! მხდალი ვარ? თქუჱნ რო მხდალსაც ვერ შეაშინებთ?!

გნიაზი. ოჰ, გამოგიყვანთ მე თქუჱნ საბრძოლათ! ყველგან ვიტყვი რომ თქუჱნა ხართ პადლეცი არა თუ მე და შევატყობინებ ყველას თქუჱნს ქცევას....

არბენინი. მაგაზე მე გდგევარ.

გნიაზი, (მივა ახლოს). შევატყობინებ რომ თქუჱნ

ცოლთან....ოჰ, გაუფრთხილდით!...მოიგონეთ ბრასლეტი..

არბენინი. მაგის გამოც დაგსაჯეთ ეხლა მე თქჳნ...

კნიაზი. ოჰ, ეს რა ამბავია! ნეტა სადა ვარ? მთელი ქჳყანა ასტყდა ჩემზე... მოგკლავთ მე თქჳნ!...

არბენინი. მაგის უფლებაცა გაქჳსთ, და გირჩევთ კიდეც რომ ჩქარა მამკლათ..... თორემ, რა მენაღვლება, ერთს საათს უკან გაცივდება თქჳნი მამაცობა.

კნიაზი. ოჰ, სადა ხარ შენ, ჩემო პატივო?...დამიბრუნეთ უკან მე ეს სიტყჳა, დამიბრუნეთ მე იგი—და მე თქჳნ ფეხ ქვეშ.....მაგრამ თქჳნ ხო არა გწამსთრა ქჳყანაზე, თქჳნ ადამიანი ხართ, თუ ეშმაკი?

არბენინი. მე?—ქალაქელის მოთამაშე ვარ.

კნიაზი (წაიქცევა, პირზედაც ხელებს მიიფარებს):

ოჰ, პატივო, ჩემო პატივო!...

არბენინი. დაგეკარგა შენ პატივი, უკან ვერ დაგიბრუნდება.
ბოროტსა და კეთილ შუა ზღუდე სრულიად დაიკარგა,
მთელი ქჳყანა სიძულვილით დაგიტუკეის, მოგშორდება;
ამიერითგან შენი გზა განკდებულისა იქნება;
სისხლის ცრემლებით ტირილის მუდამ გეშება გექნება,
შენის მოყვასის კეთილი გემძიმება, გეწყინება;
დღე და ღამე გაუყრელად ერთი ფიქრი გეჩმანება;
დღე ღამე გრძნობა ტურფისა დაგელევა, განჰქრება
და შენის ბედნიერების მამცემი აღარ იქნება!
ვით გამხმარ ხითგან ფოთლები ეცლებოდნენ და ჰსცვი-
ვოდნენ
ისეც შენგან მეგობრები გეცლებოდნენ და ჰრბიოდნენ!
შენც სირცხვილით მიიფარებ პირზე ხელსა და გაივლი.
ნამეტნავად შეგაწუხებს და გაგამრობს შენ სირცხვილი,
ვინემც ბოროტის მოქმედსა დანაშაული და ქმნილი!
(მიდის): ახლა მშვიდობით....მაქჳს შენი დიდხანს სიცო-
ცხლის სურვილი!

დასასრული მეორე მოქმედებისა.

# ნ ე კ რ ო ლ ო გ ი.

ჩუჱნმა ლიტერატურამ სამწუხაროდ, დაკარგა ერთი ჩინებული მწერალთაგანი: ამ სეკტემბრის თვის 9-ში, გარდაიცვალა ქართლში, თავის მამულში, თავადი გიორგი დავითის-ძე ერისთავი ორმოცდა ათის წლისა. ეს ისეთი პირი იყო, რომელიც ღირსი არის შენიშვნისა ჩუჱნს სალიტერატურო ისტორიაში. ამ პოეტის ვრცლად ცხოვრების აღწერა ჩუჱნ ქართუჱლებისათჳს, რომელნიცკი მიზდევს მწიგნობრობას დიდად საჭირო არის, ეს ვალი აწევს იმის დაახლოვებულ მცნობთაგანს, რომელიცა თუ შრომას გასწევს ამ საგანზედ, დიდად დაავალებს ჩუჱნს ლიტერატურას. ბევრი კეთილი შესძინა ჩუჱნს მწიგნობრობას ამ განსვენებულმა პოეტმა. ეს იყო მიზეზი ქართულის თეატრის დაფუძნებისა; ეს იყო მიზეზი, რომ ორის წლის განმავლობაში, მინამ თეატრი გვქონდა ასეთი ვრცელი რეპე-

ცისკარი.

რტუარი შესდგა ჩუენს სამშობლოს ენაზედ თეატრისა-თჳს; ამან განაღჳძა მრავალი ნიჭი და აალებინა ბევრს კალამი ჴელში. რომელი იქნება ისეთი გრძნობა გაციე-ბული ქართველი, რომელი იქნება ისეთი კაცი, რომელ-საცკი ესმის მწიგნობრის ძალა დაივიწყოს «გაყრის» მთხზველი; იმ სამაგალითო კომედიისა, რომელსაცა დიდი გავლენა აქუს და ექნება ჩუენში რამდენიც უნდა წელი-წადი გავიდეს. ამ «გაყრის» გარდა ბევრი სხუა კომედიე-ბი, ვოდევილები, დრამები და ტრაღედიები არის დაწერილი განსვენებულისაგან: ძუნწი, უჩინმაჩინის ქუდი, ყვარყვარე ათაბაგი, კომისარი, მაიკო, სჳმონ დიდსულოვანი, რათ მინდა შენი დიდება შიმშილით კუჭი მიდნება, პაპა და შჳლის-შჳლები, სტანციის სმოტრიტელი, ეჭვიანი ქმარი, გარაპეტას ქვევრი, ტოჩკა და ზაპიატაია და სხ. ამან და-აფუძნა «ცისკარი» რომელიცა გამოდიოდა სამს წელიწადს ამის რედაკტორობით; ამან დაიწყო ახლანდელს დროში წერა მდაბიურის ენით; ეს იყო პირველი კომიკი, ეს იყო პოეტი, ტრაღიკი, პროზაიკი. მშჳდობით ჩუენო თანამედროვე პოეტო, მომაგონდება შენცნით დაწერილი ლექსი, «შილლერით.» და მეცა ვიმეორებ ამ შემთხვევაში:

კაცსა უბძანა უფალმან: თქუენი ესე სოფელი,
განწილეთ სწორეთ, ძმანი ხართ და მე ვარ თქუენი
მშობელი!
ძლივს დაასრულა ეს სიტყუა კაცნი ფიცხლავე მისცვივდნენ,
ვის რა მოსწონდა იტაცეს, არვის წოივნსა იწვრთიდნენ;
მუშაკთ წაიღეთ მიწა, ზოგთა ტყე, ზოგთა მადნარი,

## ლექსები.

ვაჭართა შეხვდათ ვრცელი ზღვა რითაცა იქმნენ მდიდარი.
რა დაასრულეს ყოველი და იქმნენ დამშჳდებული,
მაშინ მოვიდა პოეტი სითგანღაც შორით რებული.
რა ნახა ყველა გაყოფილი, არღა რჩენია მას წილი,
განწირული გულით მოვიდა უფალთან იწყო ტირილი:
უფალო რისთჳს დამაგდე, რისთჳს მყავ მარტო მშიერი;
უბძანა ღმერთმან: სად იყავ, სოფელს იყოფდა როს ერი?
მე შენთან ვიყავ უფალო, თვალნი შენს გზასა უმზეროდნენ,
და ყურნი ჩემნი სტკბებოდნენ, როს ანგელოზნი გალობდენ,
მე შენის დიდის დიდებით ვიქმენი განცჳფრებული
და რისთჳს მიტევე ჰე ღმერთო ესრედ ცარიელად რებული?
რა ვქნა მიუგო უფალმან, სოფელს არ დამრჩა ნაწილი,
მაგრამ როს მოხვალ ჩემთანა, ცაში გაქჳს ყველგან ადგილი....

ღმერთმან საუკუნოდ განსვენება მოგცეს ჩუენო სასიქადულო პოეტო, და მოგანიჭოს ის ადგილი, სადაცა ყოველნი მართალნი განისვენებენ.

ი. კერესელიძე.

---

## დერჟავინით.

მოუღალავათ ჟამთა მდინარე მირბის და მირბის:
საქმენი კაცთა მისსა უფსკრულში მარად ჟამს იფვლის.

არ გააჩნია მდიდარი, გლახა, ყმაწჳლი, ბერი,
ინთქჳს მასშია სამეფო, მეფე და მთელი ერი.
და თუ დარჩება პოეტს თავის ჩანგის რამ ძალი,
იმასაც ხჳდება საზოგადო ხვედრისა ბრჭყალი.

ი. კერესელიძე.

---

## მშჳენიერას ქართჳელას.

ახ თჳალის ჩინო, შენ ჩჳენო ქალო,
ქალო ქართველავ, ეშხის ანთებავ,
დაანთე აგრე სურვილი მნათო,
სიყჳარულისა გამღვიძებელავ!
აბა ვით ქალო არ მღელდეს გლახ გულს,
ოდეს შენ ასე წარმამიდგები;
აბა შენზედა მაგ შჳენებას სრულს,
რომ გხედავ ხოლმე სულ გავხელდები;
როს ვხედავ შავსა მბზინვარეს დალალს,
როს განცისკრულს მკერდს დაედინება,
მაშინ მას ვუნოსამ, მაგრამ ვოქამ ვით ალს
და ცით ვით ტრფობა დამეპკურება.
თჳალნი მოშავნი მოჟუჟუნარნი
მომკვლენ თჳს წინა გაუკითხავნი,
ეგ ფუჩქვნილ ბაგე ტკბილ მოუბარნი
დამიდნობს გრძნობას სულზე მძიმავნი.
პირბადრსა შენსა და ტანს ნაგებსა,
ეონარნარ ნაზსა ვეტრფიალები;
წელსა დიახ წვრილს წამს გულთ მტანებსა

## ლ ე ქ ს ე ბ ი.

შეუწყუეტლად შევემსხუერპლები.
ვგონებ ხატება რაფაილს შენი
უსატავს ედემს ყუავილებით შორით,
როს კარს გამოხვალ შჳუდავებრ მდენი,
ვითა გადმოსცემ სიცოცხლეს შორით.!...

ა.

**1821**—სა წელსა.

---

## მჭედელი.

(რუსულით.)

ვუძღვნი ა. საგანელს.

არ ვშობილვარ, რა ვქნა, ბედნიერათა,
მოთმინება კი მაქუს კელ-იმედუანელათა;
სიღარიბე დაუგდია მამასა,
შევჩვეულვარ ოფლით პურის-ჭამასა.
რომ არ დამყუა თან მდიდარი სადგური,
რა ვქნა? ღმერთსა ამისთჳს არ ვემდური!
მაგრამ მტკიცე მაქუს მე გული და სული,
მუშაობით ვარ მე მარად გართული.
ჩემს ქურას წინ დილითგან საღამომდის
მუშაობით ოფლი შუბლს გარდამომდის;
ჩემს ამქრის კაცს თჳთ ძრიელ სიცხეშია
არ მოუკვა ძილი თავის დღეშია.
სადა დღეს ხომ ჩაქუჩი გვიგრიალებს,
უქმეს დღესა?—წალები გვიპრიალებს,
და მივატანთ ყველა ჩუენ იმ ალაგას,
სადაც უკვრენ დუდუკს, ზურნას, ნაღარას.

# ლ ე ქ ს ე ბ ი.

ჩემს ქუჩაში ყველა მიცნობს მჭედელსა,
არ მყავს ცოლი.—ყველა მიწოდს სიძესა,
ალერსითა მჰკრენ ქალის დედები,
უცოლოთა ან მე რათ დავბერდები?
კარგი არის ლამაზ ცოლთან ცხოვრება,
შრომის შემდგომს კოცნა, ხვევნა, კონება,
მაგრამ არა, აღრყა ამ ჟამათა,
ხშირათ ამას ვამბობ მე ჩემ თავათა.
საჭიროა ჯერეთ ორი მაური,
ფული არის სამოთხე აქაური;
ფული,—მეყჳანდეს ცოლი რომ კარგს კაბაში
და არ იყოს მუდამ შრომის ტანჯჳაში.
რომ მეტრფოდეს მარტო ცოლი მე ქმარსა,
ქმარსა საღსა,—ყველაფერში ყოჩაღსა;
რომ არ ჰქონდეს გული ჩემსას ცოლს სხჳაზე,
მე მჭედელი არ გამცვალოს თავადზე.
ასე ვცხოვრებ, და ვადგივარ ამ აზრსა,
მუდამ ვლოცავ ჩემ სიმრთელის ძალასა,
მწუხარება მე არ ვიცი რა არი,
თუ მეწვია, თასი ღვინით მზა არი.
როს გავ ივარ ხოლმე მეიდანზედა,
ქუდი გვერდზედ მტერს გაუვლი გვერდზედა,
აროდეს მტერს მე თავს არ დაუკრამ,
მაწყენინებს? კბილის კრიჭას აუკრამ!..

ი. კერესელიძე.

**1864** წელსა.
სეკტემბრის 8-ს ქ. ტფილისს.

## თბილისის მოქალაქის შაქარ მანუშაკიან-ცის წიგნის პასუხი.

უფალო ქალაქის გაჭარო,

შაქარ მანუშაკიანც მღდსი,

ჩემო უცნობო ნათესაო!

ამ თუს **15**-ს, პარასკევს დღეს, საღამოზედ, საათის ექჳსს, გაჩქარებული მივდიოდი ჩჳჱნი ბირჟის მხა-რეს. (*) ის დღე ფოშტის დღე იყო და მეც, ერთი გა-ჭარი კაცი, ისიც ახალი მარაქაში ჩავარდნილი, ფოშტში მივეშურებოდი საქმის გამო. ზედ ბირჟაზე, ერთიც განა-ხოთ, მოგროვებულ იყვნენ რაოდენიმე ჩემი ტოლი ჯამთვა-სონი ბიჭები და გაცხარებული ლაპარაკობდნენ; მეც მი-ვედი იმათთან. «საღამო მშჳდობისა მეთქი,—ღმერთმან მშჳდობა მოგცესო და ერთი იმათგანი მობრუნდა ჩემკენ და მითხრა: ძმაო გეო, საით, ეგრე გაჩქარებული?—ფო-შტში მივდივარ მეთქი ძმაოჯან, რა ვქნა საქმე მაქჳს. ბიჭო ახალი ამბავი არა შეგიტყვიარა?... გინახავს თუ

(*) თიატრის მხარეს.

ჯერ არა ჟურნალი «კრუნკის» უკანასკნელი, ნოემბრის თვის ნუმერი? მთელი ქუეყანა შეარყია და, ვინ იცის, შენ ჯერ არა შეგიტყვიარაო.

რა არი რა ამბავია? მე «კრუნკის» ახალი ნუმერი ჯერ არ მინახავს მეთქი. რაღა რა არისო, აიღე ჯერ წაიკითხეო და ღაზათი ნახეო. მე ძალიან მივეშურებოდი ფოშტში და ვერ შევიძელ დაწვრილებით შემეტყო ისათგან. მშვიდობით ბძანდებოდეთ მეთქი, და წავედი ჩემ საქმეზე.

იქნებოდა სწორეთ საათის შვიდი, რომ უკან დავბრუნდი; წავედი შინ, ვნახე რომ ის იყო იმ დროს მოეტანათ ახალი ნუმერი კრუნკისა. მშიერი კაცივით მივარდი მაშინვე, გადავშალე რამდენიმე ფურცელის, შემდეგ ეწერა: «ერთი ქალაქის მოქალაქის წიგნიო:» ვიფიქრე თუ, ძმავ. ჩემი ამხანაგების ნათქჳამი ეს უნდა იყოს მეთქი, სასწრაფოთ გულიანათ თავით ბოლომდინ გადავიკითხე.

აფერინ, უფალო მანუშაკიანც, ჩემო უცნობო მანუშაკიანც! დიდი ხანი იყო ძმაო არ წამეკითხა ამისთანა რამ, რომ გული გაეგრილებინა, კიდეც გაეხარებინა და ამასთან ჭმუნვაშიაც შეეყვანა, განაკი სუყველანი იცნობენ ერთმანერთის, მაგრამ მე შენიან გამეგონირება გულითი მინდა, პირათ თუ არა, წერილით მაინც. მადლობელი ვარ ძმაოჯან და ათასჯერ ვარ მადლობელი. წავიკითხე და ჯერაც გემო პირში მაქჳს და მგონია კიდევ ბევრს ხანს მქონდეს პირში ეს გემო. მეც ძალიან მამეწონა და სხვებისა არ ვიცი. რაც გაბრძანებინა სულ მართალი და სულ რიგიანი და თითქო სულ ჩემი გულიდან გამოგიქჳამსო. ჩემო უცნობო მანუშაკიანც, მეც სომეხი და

შენც სომეხი, და სხჳა რო არა იყოსრა ერთი ჭამქრისა-ნი გართ და ამის გამოც მესწრაფვის შენთან გამეგობ-რება: ვიცი რომ უარს არ მეტყვით და თქჳენს უცნობ მეგობართან მეგობრობასა იქთ.

რავქნა, ძმაოჯან, ერთის მხრივ გულზე ქონი წამესო თქჳენის წიგნის კითხვით, მაგრამ, სწორეთ ვიტყვი, მეორე მხრივკი მრავალი იარები გამიხსნა და წყლულება ამიტეხა და ტკივილები გამიახლა: თქჳენ ბძანებთ რომ დროება გამოიცვალაო, ეხლა შაგირდი წინ გარბისო, უნცროსი უფროსზე წინ მიდისო. მართალს და ძალიან მართალიც გიბრძანებიათ: ამ ჩჳენს უბედურ ქალაქ-ში რა იქნა რომ ერთი რიგიანი მოთავე არ გამოვიდა, რომ ერთი კაი საქმე მაინც წინ წაეყვანა. განა არ შეუ-ძლიანთ? ვინ ამბობს? მაგრამ თავს არ უდებენ, არ მისდევენ საქმეს. მეც ჩემმა ღმერთმა რომ გმარა ჩჳენ-ნი ესე დარჩომა; როგორც თქჳენც გიბძანებიათ, არა გმარა ძილი?.... მაგრამ, ამხანაგო ჩჳენო, რა კარგი იქ-ნება მერე ახლად ძილითგან გაღჳძებული და ახლად შეკ-რებილ ხალხის გაკეთებული საქმე და? მაშინ აღარა გვე-ქნება რა საიქმელი, ეხლაკი ჯერ კიდევ ჩჳენი ქალაქი ძალიან უკან არი დარჩომილი სხჳა ქალაქებითგან და..... მაგრამ იმედია ღჳთისაგან რომ დღეის იქით ჩჳენი ქა-ლაქის ხალხმაც ასეთი საქმე ქნას, რომ თითით საჩჳენებე-ლი გახდეს.

ერთი თუ ღმერთი გწამსთ, რა მოინდომოს ჩჳენი ქალაქის ხალხმა რომ ვერ აასრულოს? ისევ ვენაცვალე ჩჳენი ჭამქრის ხალხს; ისინი რო არიან, არიან, ყოველ საქმეში

გამოცდილნი, გამოსულნი, ყოველ საქმეში ნაქებნი, და ყოველ კაი და კეთილ საქმის წინ წამყვანნი, სულ ისინი არიან! რა ნუგეში ჩუენი დიდი და მდიდარი კაცებისაგან? ერთი მითხარ იმათ საითგან უნდა იცოდნენ ჩუენი საწყალ და ღარიბ ხალხის ყოფა ცხოვრება? თითონ რომ სიღარიბე არ უნახავთ და სიღარიბე არ გამოუვლიათ, და თუნდ გამოევლოთ კიდეც, არ უნდათ მოიგონონ ის მდგომარეობა. ჩუენი ღარიბების ლუკმა პურის მიმცემი ისევ ღარიბია; ღმერთმან მისცეს იმათ უმეტესი შნო და ბარაქათი. დიდმა და მდიდარმა კაცებმა თავიანთვის თბილ ოთახებში მსხდომებმა, ათას ნაირ საჭმელების წინ მექონებმა აბა რა იციან, და ან საითგან უნდა იცოდნენ, რომ რამდენი, სომეხი ქრისტიანი ჩუენი ქალაქის საწყალ ღარიბ სახლებში, სიცივეში ვ-ვ-ვ-ვს თქმით სიცივისაგან კანკალით საყინულესავით სახლებში მიკუნჭულნი ერთი მუჭა ნახშირის და ერთის თბილის საჭმლის ნატრულნი, სხედან თავიანთჳს საცოდავათ, იტანჯებიან და იწყევლიან თავიანთ შავ ბედსა! რამდენი ჩუენი ღარიბი სომხის შვილები, ერთი ობოლი, ერთი ლუკმა პურის ნატრული, ერთი ფეხშიშველი, ერთი სულ ტიტველშიშველი დარჩომილნი არიან დაღონებულნი და დამმარებულნი!.... არავისგან არათვერში არა აქჳსთ შებრალება იმათ პატრონებს! საცოდავებს იმოდენაც არ შეუძლიანთ რომ თავიანთ შვილებს კუჭი გაუძღონ მაინც და საითგან უნდა შეიძლონ სასტატო მისცენ და თავიანთ შვილებს ასწავლონ წერა კითხვა? ამისგამო მერე რამდენი უასწვილის ყელი იჭრება? რამდენი კაი ნიჭიანი

ყმაწჳლი იღუპება და უბედურდება? ახალ აღუგავების ყა-მსვე ჭკნებიან და ხმებიან ისინი! ამის გარდა ერთი გა-შინჯე თუ რამდენი გასათხოვარი ღარიბ სომხის ქალი, შეუძლებელი უწყალო ყელ გადაგდებული ზის ღჳთის იმედითა? იმათი სიბრალულის ცეცხლი მიწვამს მე გულს, მაგრამ რავქნა, რა შემიძლიან? ხელითგან რა გამამივა? ჩჳტნი დოდრონი კაცებიც, აბა რა იმათ ფიქრში და ზრუნვაში არიან ისინი.... საქმე არა გაქჳსთ? სულ იმათთჳს სცალიანთ........ ესეთ უპატრონობისაგან მრა-ვალნი ილაჯ გაწყვეტილნი სხჳა სარწმუნოების კაცებს ჩაუვარდებიან ხოლმე ხელში და თავიანთ სომხობას სრუ-ლობით ჰკარგვენ!.. აფსუს!. მაგრამ რა გინდა ქნა! ჯერ კი ესეთ დღეში ვართ და ვნახოთ თუ დღეის იქით ღმერთი რა მოწყალებას მოიღებს ჩჳტნზე.

ამ ჩჳტნი ფულიანი კაცების გული ქჳა ხომ არ არი, რომ იმ საწყალ ღარიბების კაიჯაგლახს სრულობით აი-ნუმში არ იგდებენ? ზოგიერთს იმათგანს თუმცა ესმის კიდეც საწყალ ღარიბების ამბავი და იმათი მდგომარეობა, მაინც კიდევ ერთი ყურითგან შაუშვებენ და მეორე ყუ-რითგან გამოუშვებენ ხოლმე. მაშ საწყალ—ღარიბნი ღჳ-თის გაჩენილნი არა ყოფილან!... მდიდრების გული განა ადამიანის გული არ არი? ისინი ადამიანნი არ არიან, რომ ითმენენ და ღარიბ ხელ მოკლეებს უშვებენ ისე უწყალოთ ცეცხლში?

არა, ერთი, შენს მზეს, ჩემო მანუშაკიანც, ჩემი გულის შემამსუბუქებელო ძმაოჯან, დარდები ამაშალე და ვეღარ მოვითმენ, ჩჳტნში კი დარჩეს აღსარებათ, მე პატარა მო-

უთმენარი კაცი ვარ... ჴო, იმას ვამბობდი, ამ ჩუჱნ უშველებელ ქალაქში, ასე როგორ მოხდა რომ ერთმა არავინ ითავა და იმ ღარიბებს და ობლებს ერთის საქმით რითმე შემწეობა არ მისცა? მაგრამ რა ადვილია რომ გამოვიდნენ რამდენიმე კეთილი და ღუთის მოყუარე კაცი და ეს საქმე წარმართონ: ვინ არ მისცემს თავის შეძლების მიხედვით იმ ღარიბებისა და იმ გასათხოვრებისათჳს კვირაში ერთ შაურს მაინც და რამდენი ამისთანა შაურები მოგროვდება?... ისიც როგორ ადვილად, რომ ჩუჱნ თითონაც ვერ გავიგებთ საითგან მოგროვდა იმოდენა; დალოცვილო, ხუმრობა კი არ არის ამ ქალაქის ხალხის სიმრავლე.

ამ ჩუჱნ ქალაქის ღარიბებს დავანებოთ თავი. ნახე თუ რამდენი მუშა კაცია მოსული ქვემო ქუჱყნებითგან. საწყლებს არც სახლი აქუსთ, არც ადგილი, არც ტანისამოსი, არაფრისთანა არაფერი არა აქუსთ რა; შენა თქვი თუ ერთი ვინმე გაიფიქრებს იმათზე თუ: ვაჲო, ესენიც ჩუჱნი ძმები არიან, სომხები არიან, ჩუჱნი სისხლისანი არიან, ერთი რამით შევეწიოთ იმათ. სწორეთ ამისაგან არ არი, ამ ჩუჱნ უთაურობისაგან არ არის რომ აგერ მრავალი ქუჱმო ქუჱყნელი სიღარიბისაგან და უპატრონობისაგან თავის განმანათლებელის წმინდა სარწმუნოებას თავს ანებებს და ზოგი ფრანგდება, ზოგი ლოტრანგდება. «ეჰ, ჩემი საქმე წარიმართოსო და ვინც უნდა დაიღუფოსო» ამბობს ჩუჱნი ფულის პატრონი კაცი; მე ჩემს საქმეს ყურს უგდებო, სხვებისა რა მოვალე ვარო, თავში ქუა იხალონო... ყველამ თავისი დარდი გასწიოსო რა... ფული

ადვილათ კი არ მოიგებს ხოლმე. ეჰ. ისინი კროები არიანო, მე მოქალაქე, საიდგან სადაო...» რა პასუხი მივცე ამ სიტყვის მთქმელს, ძმაო? ერთი ჰკითხე თუ: მე დალოცვილო, კრო რა კროა, მაშ სომეხი ვინ არი? კროა ვინ არი? და მანჯრაქა ვინ? სწორე ჯინსი სომეხი ისინი არიან და იმათ კიგდებთ მასხარაო..! ჩუჱნი სარწმუნოების და ჩუჱნის სისხლის კაცებს რომ ჩუჱნ გაუპატიურებთ, მერე ჩუჱნი სახელი პატივით მოიხსენიება თუ უპატიოთ? მითხარ ერთი, მანუშაკჯან! იტყვი თუ: ბევრსა ლაპარაკობო კროების მხარესაო, მენც იმათგან. არ იყოვო. ძმაოჯან როგორც გინდა გაიგე, მე მაგაზე სიტყუას აღარ გავაგრძელებ.

კიდევ ალბათი ხეირი იყოს ჰამქრებისა: მე და ჩემმა ღმერთმა, რაც კი ჴელითგან გამოუგვათ, არა ზოგვენ: ყოველი ჰამქარი, თავის ღონის ძიების მიხედვით, თავის ჰამქრის ღარიბ ოსტატ კაცს ყოველ საქმეში ეწევა, იმათ ობლებს საქმეზე აყენებს, ღარიბს ქუჱდარს თავის ხარჯითა მარხავს, ქვრივებს ერთ ლუკმა პურს არ აკლებს და ზოგჯერაც ღარიბ გასათხოვარ ქალებს ათხოვებს. ღმერთმა ბარაქა მისცეს ჩუჱნს ჰამქრებს და ნუ მოგვიშალოს ჩუჱნ ისინი ამ ქალაქში. კიდევ მომაგონდა მანუშაკჯან, თქუჱნი ნაბრძანები: «დროვეა გამოცვლილაო, ეხლა შაგირდი ოსტატზე წინ გარბისო, უნცროსი უფროსს წინ უსწრობსო, ჰაიბათ ესეც წლის მოსვლიაო.»

ძმაო ეს ღარიბებიც იქით იყუჱნენ. ვაყო ერთი შკოლა გვაქუს და ამოდენა უზარ-მაზარ ქალაქმა როგორ ვერ შეიძლო იმის ერთი რიგიანათ შენახვა და წესიერ გზაზე

დასვენება? რომელი ერთი ვთქვა?... წყლულებაები ბევრი მაქვს, მაგრამ რომელი ერთი გავიხსნა? ჩვენ ქალაქში, არა თუ ერთი, ხუთი ექვსი რიგიანი, წესიერი გამართული შკოლა უნდა იყოს, რომ საქმე მალე წინ წავიდეს, სწავლის პატივი ყველამ შეიტყოს და ყოველი საქმე თავის გზაზე წავიდეს. მაგრამ იმედია ღვთისაგან რომ დღეის იქით ჩვენი ქალაქის შკოლა კარგა გაიმართება, რადგანაც ახლანდელი განმგებლები მოთავე კაცნი არიან; ღმერთმან მისცეს იმათ უმეტესი შნო და გონება. საქმე ის არი, რომ სხვებმა მოთამაშესავით კი ყურება არ დაუწყონ იმათ მოქმედებას, იმათაც უნდა შემწეობა მ. სცენ, ყველამ, თავის ხელითგან რაც კი გამოუვა, არ უნდა დაიშუროს: ზოგმა ჯაფით, ზოგმა ფულით, ზოგმაც თავის ოსტატობით... წავა და საქმე საქმეთ გარიგდება. სიტყვა ის არი, რომ სიყვარულით და ერთმანერთის წელის მიცემით მიჰყვნენ საქმეს», თუ არა და დაცინებით, ერთმანერთის მასხარათ აგდებით ხეირი არ იქნება. კმარა რაც ჩაიდინეს ჩამდენთა, ღმერთმან იმათაც კეთილი მისცესთ, ბპეეუოფა რაც ამაობით გაგვაჭუჭყიანეს ჩვენ და მთელი ქვეყანის აბუჩი გაგვხადეს. რადა გავაგრძელო, ყველა კაცს თითონაც კარგათ ესმის ამ საქმის სიკეთე....

გული კიდევ არ ითმენს, ჩემო უცნობო მანუშაკჯან... ხო ხედავ, როგორ უწესურათ და უკანონოთ ვახლი და ვახლი. შენ თქვი თუ ერთს უკან ვიხედები, რომ ვნახო რა ნაირათ ვლაპარაკობ?.....რა ვქნა, ძმაოჯან, რო არ იქნება?..—გულითგან ამოდის, ჩემმა მზემ, შენმა მზემ.... მართლით რო ვთქვა: «შენმა მზემ» არ დაიჯერებ, ჩემმა

მზემ,—დაილოცოს შენი პირი და შენი კალმის დასაჭე-რი ხელი, რომ ძალიან რიგიანი რამდენიმე სიტყუა და-გიხარჯავს ჩუენს მცოდნე ჯაილ—ჯუილებზე....ოჰ, ვენა-ცუალე მე იმათ სახელს!...ისინიც რომ არ იყუნენ, ეს ჩუენი ჭკუითაც და გულითაც დაძუელებულები სულ ერთიანათ ღრ-მათ საფლავში ჩამარხვენ თავიანთთან სომხის სახელსაც და სო-მხების ყოველ იმედსაც! მე ვამბობ, რომ ძველები ძალიან სავნებელნი არიან ამ ჩუენს დროებაში, მაგრამ ყოველ საქმეში კარგიც არის და ცუდიც; ვინ ამბობს: თქუენც მანუშაკჯან, დაგიწერიათ თქუენს წიგნში ჩუენი დროების დაძველებულებზე რომ: «ძველნი ხალხნი ისინი არიანო, ვინც არ იცნობს ქუეყანასა დროების გვარითაო; ძვე-ლნი და გაცვეთილნიო, გიბძანებიათ, წლოვანობისაგამო არ არიანო ძველნიო, თუ ის ახალგაზდებიც ძველნი არიანო, რომელნიც ცოდნაში და განათლებაში უკან დარჩომილანო, ისინიც გაცვეთილნი და დაძველებულნი არიანო;» სულ მართალი და ჭეშმარიტი გიბძანებიათ, მაგრამ მე შევიტყე რომ თქუენი წიგნი მრავალთ გულსა სცემიათ, ბევრსა სწყენია და მომდურავნი გამხდარან. მე ვხედავ, რომ იმათ საქმის ძალა კარგა ვერ გაუგიათ და ისე მსუბუქათ გაუშინჯავთ საქმე; ჩუენის მხრივაც ცო-დვა იქნება, რომ ვთქუათ რომ ყველა მოხუცებული დაძ-ველებული და გაცვეთილია და აღარაფრათ ვარგა; აფსუ-სნი არ არიან? მრავალნი იმათგანნი მოხუცებულნი გვა-რის ბოძნი არიან და ჩუენის სომეხთ ხალხის შემამკო-ბელნი. იმათთანებზე ვის შეუძლიან სთქუას თუ: ისინი გაცვეთილნი არიან ანუ დაძველებულნი. თქუენც

ესე გინებნიათ დაწერა და არავის წყენა არა გსურკებიათ, მაგრამ კარგა ვერ გაუგიათ და ამისგამო იმათში ყალა-მაყალი მომხდარა.

ისინი რო არიან, ახალგაზდებზე ვამბობ, გვარის თვალნი და გვარის თვალის ჩინნი არიან; სომხობის სულის მომბრუნებულნი, თქუენისთანა მანუშაკები არიან, რომელნიც დღე და ღამე შრომაში არიან, თვალის სინათლეს იკლებენ და მოუსვენებლობით ხდებიან და ჭკნებიან, ხან აქეთ ეცემიან, ხან იქით...... მაგრამ ავსუს რომ იმ საწყლებს არავინ ყურის მგდებელი არა ჰყავთ, ყველაგან არა აქუსთ წარმატება თავიანთ ნათქვამებისა, ყველაგან შარი და ხიფათი გადაეკიდებათ ხოლმე იმათ თავსა: ამას წინათაც, იქნება ერთი ორი წელიწადი, ორნი იმათგანნი წასულან ერთს ჩუენს ფულის მქონე კაცთან ფულის სათხოვნელად; ოღონდ იმათ ფული ნუ სთხოვ და თუნდ დაახრჩე,—ორი ახალგაზდა ყმაწვილი ერთი რვეულით უბეში, შედიან იმ კაცის სახლში, სახლის პატრონი შიგ სახლის კარებში დაუხვდება იმათ:

—რა არი, რა გინდათო?

—თქუენთან ერთი სათხოვარი გვაქუსო, ეუბნება ერთი იმ ახალგაზდათაგანი.

—რა ამბავიაო?

—ჩუენ ამ ორთ გვიშრომნიაო და დაგვიწერიაო ეს წიგნიო (ამოიღებს რვეულს უბითგან და უჩვენებს). ახლა გვინდა დავბეჭდოთ, ჩუენი სომხობის ყმაწვილებისათჳს ძალიან საჭირო და სასარგებლო წიგნიაო, მაგრამ ფული არა გვაქუსო, გხლებივართ თქუენთან და გთხოვთ თქუ-

ჳენის ფულით დაბეჭდინოთ ეს წიგნიო.

ეჰ, უთხრა იმ დიდ მუცლიანმა კაცმა პირის უკუღმა მიქცევით... მეცა ვთქვი რა საქმე უნდა ჰქონდესთ ამათ ჩემთან...ვინც თავს მაღლა აიღებს—სულ ჩემკენ...ერთი ჰკითხონ თუ: ამას ხაზინა აქჳს გამართული, ფულის მჭრელია, რომ დიდიცა და პატარაც სულ ამისაგან თხოულობთ ფულსა? ფულია, თქჳე დალოცვილებო, მიწა ხო არ არის? ან თქჳენ რა ხართ, რომ თქჳენი დაწერილი და თქჳენი დაბეჭდილი რა იყოს? არა ძმაო, მე მაგისთანა საქმეებისათჳს ფული არა მაქჳს.... ჰაი!.. ჰაი... ეგრე თუ სიტყვებისათჳს აბაზები მესროდა და თქჳენი წრტი-პრტი საქმეებისაგან მევლო, მეც თქჳენსავით ღარიბი და კარ და კარ მოსიარულე გავხდებოდი... ეჰ, რასაც თქჳენ ამბობთ, მაგისათჳს არქიელია, სახალხო კასსაა, წადით იქ მოიკითხეთ, მაგისთანა საქმისთჳს ფულები იქ იქნება... წადით შჳლო, წადით, ლოთიფოთობა ნუ იქთ, ჩემთან ვერ გაიყვანთ ლოთობასა; მერე, რა შჳლი გიპოვნიათ მოსატყუებლათ!... წადით შჳლო... გამეცალენით, მე თქჳენი თავი არა მაქჳს.... წადით შჳლო წადით....

ეს სიტყვები უთხრა იმან (გამოსავალი გზის [illegible] ბითა) და შევიდა შინ თავის ოთახში. საწყალებმა ახა[illegible] ზდებმა ვერაფერი ვეღარა უთხრეს რა იმას,—ან [illegible] უნდა ეთქოთ?

აბა რო ამბობთ.... კაცობა იყო იმ დიდ მუცლიანის ქცევა? ვინც უნდა იყოს, ძმაო, მოსულა სახლში, ერთი შინ შაიყვანე, დასვი და ისე ელაპარაკე, რომ თქონ რო, ჰო, შენში კაცობრიობის ნიშანი არის.

არ ვიცი რა სახალხო კასსაა, რომელიც უბძანებია ჩუჱნს პატიოსან დიდმუცლიანს. ერთი კაცმა ჰკითხოს თუ რამდენი თუმნები ჩაუყრია იმას იმ კასსაში, რომ ისე გულადა-თაც უთქჳამს. იწადითო იქ ბევრი ფულიაო; მე მაგისთანა საქმეებისათჳს ფული არა მაქჳსო.... აი ღმერთმან სუ-ლაც გაუწყვიტოს მაგისთანებს!...

მარტო ეს ერთი კაცი ხო არ არის, ბევრნი სხჳანი არიან ამაზე უფრო საძაგელნი: ფული გაუხდიათ თავი-ანთ ღმერთათ, და კერპებივით თაყუანსა სცემენ. ვინ ანბობს, ჩუჱნ ფულიანებში მართალია არიან (აფსუს რომ ძალიან ცოტანი) ისეთნიც, რომელთაც საქმე ისე არ ესმისთ, როგორც სხჳა ფულიანებს, აი მაგალითად ჩუჱნი პატი-ოსანი **ვარიდონი**, ფულის პატრონია, მაგრამ ჭკუისა უფ-რო მეტი: რაცკი ხელითგან გამოუვათ არვისთჳს არ დაზოგავს ხოლმე თუ ფულით, თუ საქმით; ერთს უნდა წიგნი დააბეჭდინოს და ფული არა აქჳს, მეორეს სხჳა-გან წასვლა უნდა სწავლისათჳს და ან ფული არა აქჳს ან არიცის სად წავიდეს, ვისთან წავიდეს. ილაჯ გაწყვეტილი აიღებს ხოლმე თავს და მიდის ჩუჱნ პა-ტიოსან **ვარიდონთან**. ესეც ყველას მწუხარებას უწამლავს ხოლმე. რამდენი მლოცველი ეყოლება ამას სანამ ცოც-ხალია და რამდენ ცხოვნების მთქმელი იქნება ამის სი-კჳდილის შემდეგ! არ ვიცი როგორ იქნება რომ ერთ ერთის ლოცვაც არა არ შეისმინოს ღმერთმა. ვარი-დონის თანები ბევრნი უნდა იყჳნენ, რომ ამ ქალაქისთჳს კარგი იყოს და ჩუჱნი სახელიც არ იყოს ესე გატეხი-ლი, როგორც ეხლაა.

მანუშაკჯან,ხან და ხან რომ ვფიქრობ ჩუენი ფულის პატრონების საქმეზე, თმები მაღლა აგდის. მე აქ ჯერ ერთი ახალგაზდებისათვის მოხუცებულებისაგან მორტყმული მათრახი ვთქვი... სად არი დანაშთენი ათასი?...

მე არ ვიცი ძმაო, რა ნაირი საქმეა.... როგორ მოხდება ხოლმე, რომ ისინი ერთხელ მაინც არ გაიტარებენ ხოლმე ფიქრათ, რომ იმათი დიდკაცობაც და სიმდიდრეც დროებითია....ეს სიკუდილიც რომ არა ყოფილიყო, შენი მტერი, რაც ჩუენი საქმე იქნებოდა!...სულ აგვიკლებდნენ რაღა....ისევ აღბათი ხეირი იყოს სიკუდილისა, რომ არც მდიდარს კითხულობს და არც ღარიბს.

ერთი ორმოც ანუ ორმოც და ათის წლის უკან ერთი-ერთმა ეხლანდელებითგანმა რომ საფლავითგან ამოყოს თავი და შეხედოს ამ ქალაქს, შენ თქვი თუ ეხლანდელებითგან ერთი ვინმე ცოცხალი იქნება? რას ნახავს ის? ნახავს ყველა საქმეს ჩაშლილს, მდიდრების დიდრონ პალატებს დაქცეულ დანგრეულს და აოხრებულს, განიერ და გრძელ ბაღებს გამხმარს და იმათ შვილებისაგან დედ მამის გინებას, რომ იმათვის არაფერი სწავლა არ მიუღებინებიათ და არ გამოუყვანიათ რიგიან კაცებათ ისინი. ორ სამ წელიწადში იმ მდიდარი კაცების შვილები, თოკითგან გაქცეულნი მამულსაც და ფულსაც შეჭამენ ხოლმე, ცარიელ ტარიელი რჩებიან და ყველა საქმესაცა სცდებიან. ეს არ არი ძმაოჯან ჩუენი ფულიანების ბოლო? რამდენი მაგალითები გვინახავს და ვხედავთ? საქმე ის კი არ არი, რომ ჩუენი მდიდრები ცდილობენ თავიანთ შვილებს მამულები და ფულები დაუგდონ: ფულმა რა ქნას, თუკი შვილების

თავი ცარიელია; გონება და გული ყოველ ბოროტ საქმეებით სავსეა? იმათ სწავლა, განათლება უნდათ, რომ წავიდნენ და ყოველი საქმის გაგება შეიძლონ და დაათვასონ. განათლება რომ ქონებათ, მაშინ ისინი მამეულ ფულებს რიგიანათ დახარჯვენ იმისთანა საქმეებზე რომ ყველა იტყვის: ჰო, ესენიც კაცნი ყოფილანო.

ვთქჳათ, რომ შვილებიანი მდიდარნი უკუაგდებენ ფულებსა, ეს კიდევ ჰო, ერთი რამ არის: მაგრამ შენ იმ უშვილოების მითხარ, თუ რას ფიქრობენ? გასუქებულან, მოხუცებულან, გათეთრებულან, გამოცდილან კიდეც, რაღა აკლიათ? ხელმეორეთ ხო არა ნებავთ ამოსვლა და აყვავება?.. ჰერე რამდენნი არიან ჩუენ ქალაქში კაი დიდი ოჯახნი მემკვიდრონი!.....დაიხოცებიან და ღმერთმან იცის იმათი ქონება რა ნაირათ დაითვანტება! დაიხოცებიან და იმათი ხსენებაც იმათთანვე დაიმარხება საფლავში! შენ თქვი თუ ერთი ათ ანუ ოც წელიწადს შემდეგ იხსენება იმათი სახელი? სულაც არა. რატომ? ის დალოცვილები, სანამ ცოცხალნი არიან, სულ მუდამ, სანამ პირში სული უდგათ, თავიანთ ჯიბის და ქისისათჳს ცდილობენ, შენა თქვი თუ ერთხელ როდისმე მოიგონებენ თავიანთ საწყალ ამხანაგობას? თავს უდებენ ან შკოლებს, ან დასაბეჭდავებს, ან ბიბლიოტეკებს.... ეჰ... რო არა, რაღას მოაგონდებათ იმათი სახელი.

სანამ ცოცხალნი არიან, თუ კეთილი შეუძლიანთ, მაშინ უნდა ქნან. რამდენსამე კაცსაც იმედი მოუცია, დაპირებულა რომ ჩუენნაო ამან და ამანაო კაი საქმე უნდა მოვახდინოთო, მაგრამ ნამდვილათ კი ჯერაც არა ჩოუ-

ხდენიათრა. ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩუჱნს ფულიანს დაშთაგამოგის, ყველგან ყველასთჳს უთქვამს,იმედი მიუცია, რომ სომხის ქალებისათჳს შკოლა გამართოს. მერე რა სახელი ექნებოდა იმას, რომ მართლა ამისთანა კეთილი საქმე თავს მეეყვანა? იმისი ერთი სახელი ათასი გახდებოდა.... მაგრამ ღმერთმან იმათაც მშვიდობა მისცეს, ვინც გამხდარან მიზეზნი, რომ იმას საქმისათჳს ნახევრათ თავი დაუნებებიათ!საწყალ დაშთაგამოგის ბევრი რამ სწადებია, მაგრამ, რა გინდა ქნა, წინააღმდეგნი და დამშლელნი ძალიან ბევრნი ყოფილან. მადლობა ღმერთსა.... ბევრნი გამოსულან ამ ქალაქში ამისთანა საქმის თავს მოსაყვანათ და ისინიც გამქრალან. აბა შეხედეთ რა სახელი აქჳთ და უნდა ჰქონდეთ კიდეც ყოველს ჟამს ჩუჱნს ლაზაროვებს, რომ თავიანთ ხარჯით ინახვენ შაგირდებს, მოსკოვში; რამდენი სომხის ყმაწვილი ყოველი მხრითგან წასულან და მიდიან იმ ლიცეიში და რიგიანი კაცები გამოდიან, თავიანთთჳსაც და სხვისთჳსაც გამოსადეგნი ხდებიან. ლაზაროვებს შეუტანიათ ბანკში მილიონი და იმ ფულის სარგებლით იზრდებიან შაგირდები; თავნი უკჳდავათ რჩება და არ იკარგება, თითონაც იმისთანა კეთილის საქმით იმისთანა სახელი უშოვნიათ, რომ თანასწორი არავინა ჰყავთ ამ დროებაში სომხის გვარში. აი ერთიც ინდოეთში მამკჳდარა და უანდერძებია ახალ ნახჩევნის შკოლისათჳს ბევრი ფული, რომ იმ ფულის სარგებლით შკოლამ შეიძლოს თავისი საქმე წარმართოს. ჩუჱნ ქალაქშიაც რამდენიმე კაცს თავიანთ სიცოცხლეში ან ფული და ან მამული უჩუქებიათ ჩუჱნ ნერსესისაგან გამართულ

სომხურ შკოლისათჳს, რამდენნიმე კაცნიც თავიანთ ფულით ან ფულის სარგებლით შაგირდებს ინახვენ შკოლის პენსიონში, ან თავიანთ ფულით სომეხთ ყმაწვილებს გზავნიან განსანათლებლათ მოსკოვს ან პეტერბურღს. ამისთანა კაცების სახელების ხალხისათჳს შესატყობინებლათ წელიწადში ხუთჯერ დღესასწაულ დღეს წირვაზე ერთი შკოლის შაგირდებთაგანი წაიკითხავს ხოლმე, რომ ამა და ამ კაცსაო ამდენი ფული, ანუ ამდენი მამული უჩუქებიაო ჩუენი სომხის შკოლისათჳსაო და ფლან ფლანი კაცი ამდენ ამდენ შაგირდს ინახავსო პენციონშიო თავის ხარჯითაო. კაი და გამოსადეგ კაცების სახელები რა საკვირველია კარგათაც იხსენება. ღმერთმან ინებოს რომ იმათ იცოცხლონ და განმრავლდნენ და აღყვავდნენ, რათა უმეტესი კეთილი შეიძლონ და კეთილი საქმეები წინ წაიყვანონ. როდესაც ერთი მოსკოვს, ერთი სტამბოლს, ერთი პარიჟს, ერთი ინდოეთს, ერთიც ჩუენს თბილისს, ერთს ამისთანა საქმეს მოახდენენ ხოლმე, ნახე თუ როგორ ჩქარა ყველგან შეიტყობა ხოლმე იმათი მოქმედობა და მთელი ქუეყანა როგორ აქებს ხოლმე იმათა. არა თუ ეხლა, თჳთ ქუეყნის ბოლოს ყოფამდისინაც არ დაივიწყებენ სომხები თავიანთ სიკეთის მქნელების სახელებს, რამდენიც სომეხია იმდენ, სომხის გულში შთაბეჭდილი იქნება იმათი სახელი.

სულ იქით იყოს, აი რამდენი ხანია, რომ მთელი ქუეყანა იძახის, რომ ქალების გასაზრდელათ სომხის შკოლაა საჭირო, თორემ ჩუენი ქალებიო ძალიან უკან დარჩებიანო, თავიანთ ენას და სარწმუნოებას დაივიწყებენო......

ერთი მითხარით, იმ უსწავლელ ქალების შვილებს რა უნდა გაეგებოდესთ და რას ისწავლიან თავიანთ დედები-საგანა? ისე როგორ გახდა საქმე, რომ ამ ჩუენ ქალაქში რამდენიმე ასის თუმნის უკუმგდებელი არ აღმოჩნდა, რომ ეს საქმე ეკისრა და მოუმგზავსებინა. მერე იცი რა სახე-ლი ექნებოდა იმას? ათასი წლეიწადიც რომ გასულიყო, მაშინაც იმის სახელს ქებით მოიგონებდნენ მთელს ქუე-ყანაში. რომელი სომეხი იქნება, რომ არ იცოდეს და არ იხსენიებდეს ჩუენს სურფ მესროფის და სურფ სააკის სახელსა? იმათი უდიდესი საქმე ის ყოფილა, რომ სომ-ხის ყმაწვილებისათჳს თავიანთ დროში შკოლა გაუმართა-ვსთ და ყოველ ალაგითგან მოუგროვებიათ ყმაწვილები და სწავლა მიუღებინებიათ. საბერძნეთის ხელმწიფეს სა-ხელათ თეოდოსს რო შეუტყვია, რომ სომეხნი სურფ მესროფის და სურფ სააკის დროებისანი ძალიან წინ მი-დიან, მაშინ იმასაც უშველია და შემწეობა მიუცია ყოველ საქმით, მესროფსაც იმ დროს ღუთის მადლით სომხუ-რი ასოები შეუდგენია და ყოველ შკოლაში ის ასოები უხმარია: გადმოუთარგმნიათ სომხებს ბერძნულითგან ბე-ვრი წიგნები და ყოველი საქმე რიგიანათ წაუყვანიათ. თეოდოსე ხელმწიფეს სომხების წინ წასვლა და სწავლაში წარმატება ძალიან მოსწონებია და ამის გამო-თავის ხარჯზე სასწავლებლები გაუმართავს ჩუენს სომხების ქუეყანაში სომხებისა და ბერძნებისათჳს, რათა ყველამ კარგათ ისწავლონ სომხური, ამიტომ რომ ძალი-ან საჭირო ენა ყოფილა მაშინ სომხური ენა.

ქალების შკოლაც იქით იყოს. რამდენჯერ ჩუენ პა-

ტიოსანთ ჟურნალის გამომცემთ გამოუცხადებიათ, რომ ესა და ეს წიგნებიო, ესა და ეს ისტორიაო დაუბეჭდავი დარჩომილაო და უთხოვნიათ, რომ ჩუენმა ფულიანებმა იგისრონ და თავიანთ ხარჯით დაბეჭდონ. მერე რო იცოდეთ რამდენი რამ არის დასაბეჭდავი ჩუენს მონასტრებში და ბიბლიოტეკებში!.... მაგრამ ვინ არი პატრონი, ვინ არის თავის დამდები იმათ დასაბეჭდავათ, რომ წავიდეს და ჩუენს სახელს იმითი უმეტესი პატივი ჰქონდეს და სთქუან თუ. ჰო, სომხებიც ერთხელ ხალხნი ყოფილან, ჰქონიათ გვარი და მაქებლებიც ჰყოლიათ.—უმელანი ჯერ თავიანთ თავისთჳს ცდილობენ, თავიანთკენ ეწევიან ყოველ საქმეს. მაგრამ არ ვიცი მართალია თუ არა, ამ ახლო ხანს ერთს ფულიანს ჭკჳან კაცს გურიაში ჩაუდვიაო, **6000** თუმნის ბანკში შეტანაო და იმ ფულის სარგებლით ხელნაწერ წიგნების დაბეჭდვაო. **6000** თუმნის სარგებელი, ბანკში თუ იქნება, შეადგენს წელიწადში **300** თუმანს. ახლა შენ იფიქრე თუ, ამ **300** თუმნით რამდენი წიგნი დაიბეჭდება. პირველ წელიწადს, ცოტა ვსთქუათ, ცოტა, იმ სარგებლით, ათი, თხუთმეტი დიდი და პატარა წიგნი დაიბეჭდება, ყოველ წიგნისა თუნდ რომ ორასი, ანუ სამასი იაფათაც გაიყიდოს წელიწადში, შედგება ოც თუმნამდინ ფული. მეორე წელიწადისთჳს ამ **6000** თუმნის სარგებელიც იქნება **300** თუმანი და ოცი თუმანიც გაყიდული წიგნებისა, სულ შედგება **500** თუმანი. მეორე წელიწადს ამ **500** თუმნით ადვილათ დაიბეჭდება **30**, **40** სომხური წიგნი და კიდევაც გაიყიდება ასე რომ რამდენიმე წლის შემდეგ იმ ფულის თავნი ბანკში

უკჳდავათ დარჩება და სარგებელიც ათას ათასი თუმნები გახდება და ბევრი კაი საქმეც წინ წაიყვანება. რაც სომხური წიგნი არის და არ არის, სულ ერთიანათ დაიბეჭდება, და იაფი ფასათ გაიყიდება: ოთხ მანეთიანი მანათათ, ორ მანეთიანი ათშაურათ და მანათიანი აბაზათ; წავა და საქმე გაადვილდება, ყველასაც შეეძლება ადვილათ სომხური წიგნების ყიდვა და წაკითხვა. ამისთანა საქმე, თუ მართლათ მოხდება და იკისრებს ვინმე, უნდა ვიცოდეთ, რომ ის კაცი მეორე განმანათლებელი გახდება ჩუჱნთჳს, თუ მეტიც არ იქნება, ნაკლები ხო არ იქნება. ჩუჱნ დიდის ვედრებით ვთხოვთ ღმერთის რაია, თუ მართლა ვისიმე გულში არის ამისთანა საქმე, მალე აღასრულებინოს და წინ წაიყვანოს. ერთი რომ ვიფიქროთ კიდეც ჩუჱნთავათ, ძმაო, დღესა ვართ, ხვალე არა ვართ. რამდენი მილიონების მქონენი უნახავს სომხის გვარს, რამდენი ჩუჱნისთანაები, მოსულან და წასულან და საუკუნოთ იმათი სახელიც და ფულიც დაკარგულა. ღმერთს მიუცია მდიდრებისათჳს... დალოცვილნო, რო მიუცია მოიხმარონ კიდეც და! აილებენ ხოლმე ფულებსა და ასას თუმნობით, ათას ათას თუმნობით იმ საქმეებზე აფუჭებენ, რომ არც თავიანთჳს არი სასარგებლო და არც სხვისთჳს. მაგრამ თუ ასე დაიჭერენ საქმეს როგორც ჩუჱნ დავაწყეთ, ყოველე სომხურს წიგნებს დაბეჭდენ და იაფი ფასათ გაჰყიდიან, მადლიც არის და მადლობაცა და ამასთანავე ის კაციც, რომელიც იკისრებს ამ საქმეს, თუ თითონ ვერ იხეირებს, ათასი სხუა იქნება იმისი მლოცველი და სამღუდელოს წიგნებში მოიხსენება იმისი სახელი საუკუნოთ.

საწყალი ყაზახელი ანუ სხჳა ქჳყნის ყარიბი ყმაწჳ-ლი ბიჭი, ერთიც ვნახოთ მოდიან ქალაქს, ჰყიდიან ორ სამ საპალნე პურსა და რა ვაი გაგლახით ორი სამი სა-პალნე პურის ფულით ყიდულობენ თავიანთჳს საჭირო სომხურს წიგნებს, შესაბრალისნი არ არიან ისინი?...... საწყლები, ზედ ტანისამოსი დაგლეჯილ-დაფლეთილი აცვიათ, ქალამნებიანები, არ ზოგვენ ფულს და მაინც კიდევ ყიდულობენ ძჳრათ სომხურს წიგნებსა, და გუ-ლიანათაც აძლევენ ფულს. ძჳრობას რომ ქსეა, ნახევარ ფასათ ანუ კიდევ ნაკლებ, რომ იყიდებოდეს წიგნები ზოგიც მაშინ ნეტა რა იქნება, რა ნაირათ იყიდიან. სო-მხებს უეჭჳარი კითხვა, უნდათ სწავლა, მაგრამ რასა იქ, ყოველ მხრივ გზა შეკრული აქჳსთ: წიგნის კითხვა უნ-დათ—ძჳრია ძალიან, ცეცხლის ფასათ ისყიდება, პური არ უნდა სჭამონ და უნდა წავიდნენ პურის ფული წიგნე-ბში მისცენ, სწავლა უნდათ და ერთი რიგიანათ გამარ-თული შკოლა არ არის.

ვამბობთ, რომ ჩჳენი სომხური წიგნები ძალიან ძჳ-რია..... შენ მაშინ ნახავდი სიძჳრესა, როდესაც ვენეციის ფრანგები არა ყოფილიყვნენ.... მაშინ ვაი მოგვიდოდა და თან წაგვიღებდა... ისევ ალბათ ხეირი იყოს იმათი: სხჳა არა იყოსრა, ხელნაწერი წიგნები, რამდენიც ჩავარ-დნიათ ხელში და რამდენიც შესძლებიათ დაუბეჭდიათ და არ გაუშვიათ დაკარგულიყო. რასაკვირველია დაიკარგებო-და ჩჳენი უწინდელი ძველი პაპების ხელნაწერი წიგნები, თუ ისინი არა ყოფილიყვნენ და თავიანთ ხელითგან რაც

გამოკა ის არ მოუკლინათ.

მაგრამ ერთი დავფიქრდეთ, ეს ადამიანობაა? უცხო-ქუ̂ეყნის კაცებმა უნდა წაიღონ ჩუ̂ენი მამაპაპებისაგან აშენებული წიგნები და დაბეჭდონ, და ჩუ̂ენკი შორითგან თამაშას უყურებდეთ? სომხები რომ ერთი საწყალი ღარიბი და ღუ̂თის თვალითგან გადავარდნილი ხალხი ყოფილიყვნენ, მაშინ კიდევ ეთქმებოდათ რამ, მაგრამ რომ არა ავლიათ რა სომხებსა, ღმერთს რომ უდიდესი მოწყალება მოუღია ჩუ̂ენზედა... მაშ რათ უნდა ასე მოვიქცეთ ხოლმე?

ჩუ̂ენი მამაპაპების ხელ ნაწერი წიგნები რომ უბრალო-რამ იყოს, კიდევ ჰო. მაგრამ რო არა. ისეთები არ არი? რომ იმ წიგნებში სულ საჭირო და გამოსადეგი საქმე სწერია? ისინი რომ დაიკარგოს, ჩუ̂ენი სომხის გვარის შესანიშნავი საქმეებიც განქრება და აღარ ექნება გვარს საბუთი თავის თავის მოწონებისა და ამაყობისა. რამდენი ინგლიზი (ანგლიჩანი), რამდენი ფრანცუზი იანა-იანა დადიან ჩუ̂ენ ქვეყანაში და სადაც ერთ სომხურ წიგნს ჩაიგდებენ ძვირფასათ ყიდულობენ, გადათარგმნიან ხოლმე და ბეჭდენ, ჩუ̂ენკი პირუბი დაგვიდია და იმათ უყურებთ!.... სირცხვილი არ არის ჩუ̂ენთვის?... არა. ერთი ჩუ̂ენში მოვილაპარაკოთ, მოსწონის ჩუ̂ენი დაუდევნელობა, თუ დასაწუნი? მიდიანო, ამბობენ, ინგლიზის და საფრანგეთის მხატვრები დადიანო ჩუ̂ენ აოხრებულ ქვეყნებშიო და სადაც ერთს ძველს სახლს, ან ძველს ეკკლესიას, ან ქალაქს ნახვენ ხოლმე, ქაღალდზედა ხატამენ და გზავნიან თავიანთ ქვეყანასაო: ერთის სიტყვით, გვარცხვენიან ჩუ̂ენ რადა....

ვანბობთ, რომ ვენეციის ფრანგებიო საღმრთო წერი-ლებსაო სხუა ნაირათ ბეჭდენო, სცვლიან და რყვნიანო, როგორც თავიანთ ქეიფი აძლევსო. ძმაო, ჭალიბათ რომ ეგრე იქმონენ...... ეხლა გვესმის? რომ ყოველი გვარი თავისთჳსა ცდილობს და ეცდება? ეხლა გახილებთ თუა-ლებსა? აბა ერთი ჩუჱნთავათა გსთქუათ თუ, რა ალაგს, ან როდის დაუბეჭდიათ სომხებს თავიანთ ფულით თა-ვიანთ ეკკლესიის და რჯულის წიგნები? მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ კი სტამბოლის სომხები, ისინი ჩუჱნზე ძალიან წინ არიან, ძალიან ცდილობენ ისინი ყოველ საქ-მეში; მერე, მადლობის მაგიერათ კროებს ქამხიან, სომ-ხებისათჳს კი იმათ გადაუკვდიათ თავიანთი თავი, ისინი იდენენ ხოლმე ოფლსა და იმათაც მასხარათ ვიგდებთ.... ეს ადამიანობაა?......

დღეს აქამდინ ჯერ სომხისაგან დაბეჭდილი რიგიანი საღმრთო წერილი არა გვაქუს, ისიც ვიცით, რომ არც ერთი საღმრთო წერილი, ჩუჱნი საღმრთო წერილის ცალი და ნაჭერი არ არის. რო იცოდეთ, რა ნაირათ აქებენ ფრანცუზები და სხუა გვარნი ხალხნი ჩუჱნს საღმრთო წერილს! ბიჭო, წელანაცა ვთქვი, თუ კარგი არაყოფილ-იყო ჩუჱნი საღმრთო წერილი, კიდევ ჯანაბას, მაგრამ რო არა, მთელი ქვეყანა აქებს და ჩუჱნკი ჩუჱნს უჟ-რებში ბამბა ჩაგვიტენია, ძალიანაც გაუკვედრით ფრანცუ-ზებსა, რომ იმათ თავიანთ ქეიფზედ გამოუცვლიათ ჩუჱ-ნი საღმრთო წერილი და დაუბეჭდიათ. ძალიან კარგიც უქნიათ, ალბათ რომ ისე იქმოდნენ.... ისინი თავიანთ თავისათჳს ცდილობენ, ჩუჱნც ჩუჱნთჳს ვეცადნეთ... მაგრამ

ვისაც აქვს ბრალი? ჩუენ თუ იმათ? ჩუენ რჯულსაო ისინი ამსუბუქებენო, აბრუნდებენო; ძალიან კარგსა შუ-რებიან; მე რომ იმათ ალაგს ვიყო, უფრო უარეს საქმე-სა ვიქ, გიჟებიც იქნებიან რომ არა ჰქნან, ყველა კაცი ძმაო, თავის თავის მოვალეა, ისეც ყოველი გვარი თავი-სათჳსა მოვალე. მებაღე რომ თავის ბაღის კარებს ღია გაუშვებს, მტერი ალბათ, რომ რასმე ჩაიგდებს ბაღში სულ გააფუჭებს და ფეხით გასქელავს, ჩუენ უნდა ჩუენ თავს უშველოთ, სხვისთჳს ძალიან საჭიროა? ისინი რომ ჩუენ თავზე ქონს გვისმენ, გვაქებენ და ჰარამზა-დობით გვატყუებენ ჩუენც ასე გვგონია, რომ ჩუენ იმათ მეტი პატრონი და შემწე არავინა გვყავს. აი ღმერთმა თითონ იმათ მისცეს ის, რაც იმათ ჩუენთჳს უნდათ. რატომ არა, სულ იმათი გული დაიწვის და შეიწვის ჩუენთჳს.... რატო არა......

ერთს არა ფიქრობენ ჩუენი ფულიანები, რომ იმ ჩუენ და საწყლებს თავიანთ სენაკებში შეკუნჭულებს, ღამე დღეთ უქცევიათ და დღე ღამეთ და ისე უწერიათ თავი-ანთი წიგნები. ახლა სირცხვილი არ იქნება, ცოდვა არ იქნე-ბა ჩუენთჳს, რომ დავკარგოთ იმათი შრომა და ამაგი იმათი ფეხქვეშ გავსრისოთ, ერთის თუმნის ჩვენგან ხელის მოჭერითა? სირცხვილია და დიდი სირცხვილი ჩუენთჳს! იმისთჳსკი გვაქუს ფული, რომ ამ ღამე ქაღალდი ვითა-მაშოთ, ქეიფები გავწიოთ და თუმნები წავაგოთ... ერთი-ერთ ამისთანა პატიოსან და გვარის ფეხზედ დამყენებელ საქმეში კი უკან დავიწევთ ხოლმე,.... კაცობრიობაა ესა?... ქეიფი, ჭამა სმაა... ამას ხო პირუტყვებიცა შვრებიან....

მაშ კაცი, ადამიანი, ღუთის საყვარელი როგორღა და რითი ერჩევა პირუტყვებსა. ჩუენი საწყალი ჟურნალების გამომცემნიც და ყველანიც ამ ჟამად ძალიან გაჭირებაში არიან, და ისიც ვისგან? ჩუენი დიდკაცებისაგან! საწყლები, სწორე გითხრა, მებრალებიან;რა ქნან? ცოლ-შჳლი მშიერი დარჩებათ; საითგან მისცენ ჟურნალების ფული თავის დროს? ინახვენ ხოლმე ორ სამ წელიწადს ნისიათ. გადაშალეთ რომელი ჟურნალიც გინდათ, ან კრუნგი, ან, ჭიუსისაფაილი, ან მასიაც-ალავნინი და ჩაიკითხეთ ჟურნალების გამომწერთ გვარები, ნახეთ თუ რამდენი ფულიანი და დიდი კაცის გვარი შეგხვდებათ იქა, ერთი ორი რომ შეგხვდესთ, ისიც დიდი საქმეა..... ესე უნდა?.... რა უნდა გახდეს იმათთჳს ერთი ორი თუმანი, რომ იყიდონ სომხური ჟურნალები და ჰქონდესთ? თუ იტყვიან; ეჰ საქმე არა გაქუს? ვინ მოგვცა იმდენი დრო, რომ ისინი წავიკითხოთო»,—არა კითხულობენ, ნუ წაიკითხვენ, ვინ ამბობს. მაშ სომხებში რომ იმათ აღაობა და ბატონობა უნდათ, ამისთანა საქმეებში კი არ უნდათ, რომ ერთი ორი შაურით გამოჩნდენ? მადლობა ღმერთსა, ერთი უმრავლესი ჟურნალებიც ხო არა გვაქუს. სხუა არა იყოსრა, ჟურნალების გამომცემის გული მოიგება და ისინიც მუდამ და მოუწყვეტელათ უგდებენ ყურსა თავიანთ საქმეს.

მანუშაკჯან, თავის ამატკივარიკი არ იყოს თქუენთჳს ეს ჩემი ერთი და გრძელი ლაპარაკი; მაგრამ რა ვქნა, არ იქნება... პირების შეკვრითაც საქმე არ გამოდის, ცოტა მაინც გული გამიგრილდა, ჯანაბას. ახლა ძმაოჯან, გთ-

ხოვ არ დაივიწყოთ თქუენი ჭამქრის ძმა და მიმეგობროთ და მინათესაოთ მე. ძალიან გულით მინდოდა ერთი თქუენისთანა მეგობარი მყოლიყო და ღმერთმაც ამისრულა ჩემი თხოვნა. მაგრამ ძმაოჯან, მეშინიან, თქუენც კარგათ იცით, სწორე მოლაპარაკე რა მდგომარეობაშია; რასა იქ, არ იქნება; ბევრი ტყუილიც ვილაპარაკეთ და ლაპარაკობენ, ბევრიც ვაქეთ და აქებენ არა საქებელთა, მაგრამ არაფერი სარგებლობა არა ჰქონდა. თქუენი ბძანებისა არ იყოს: ეხლა ჩემთჳსაც საჭიროა შეკმაზული ცხენი კარზე მიდგეს, თორემ საქმე ცუდად მომივა.... წავიდე... გავიქცე, დავჩუმდე, თორემ.... მაინც წასასვლელი ვარ და.... ადრევე წავიდე,

მშჳდობით ბძანდებოდეთ.

თქუენი მორჩილი, თბილისის მოქალაქე,ვაჭარი,

გეო ავეტისოვი.

ნათარგმნი სომხურითგან გრიგ. წინამძღვაროვისაგან.

**1861**-სა

დეკემბრის **5**.

თბილისს.

# განცხადება.

მომავალს **1865** წელს, ჩვენის ზედამხედველობით გამოცემული «ცისკარი» გადადგება მეცხრე წელიწადში. ჟურნალისათჳს ეს წლოვანება მცირე არ არის, მაშასადამე ამ წლოვანებაში მყოფი სალიტერატურო ჟურნალი უნდა იყოს ისეთს სისრულეში მოყვანილი, რომლითაც იქადიან გამოჩენილი ჟურნალები, უმეტესად ამისათჳს უფრო, რომ მრთელს საქართველოში თჳთქმის მილლიონ ნახევარ მეტ ქართველებში, ერთი მხოლოდ ჟურნალი გამოდის. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, რვა წლის «ცისკარი» მრიელ შორავს სისრულეში მოყვანილს ჟურნალებს. ვინ არის ამისი მიზეზი? იქნება ზოგმა ერთმა ჩვენ მკითხველებთაგანმა წინ დაუხედავათ ბმანოს, გამომცემი არის ამის

მიზეზიო. უკაცრავათ! ამისი მიზეზი გამომცემიკი არ გახლავთ, თჳთან საზოგადოდ ქართველები ბმანდებიან. ამ რვა წლის განმავლობაში ყოველი ღონის-მიება მოგვიხმარებია, ჟურნალის განვრცელებისა და განმშვენიერებისათჳს არაფერი არა დაგვიზოგავს რა, არც მუშაობა, არც ღონის-მიება თუ რამ შეგვძლებია და არც სხუა და სხუა პირებთან მეცადინეობა დახმარებაზედ,--თჳთქმის ყოველი შინაური კეთილმდგომარეობაცკი შეგვიწირავს, ეს იციან მხოლოდ რედაქციის დაახლოვებულთ პირთ, მაგრამ ამ რვა წლის განმავლობაში, მოუციათ გამოჩენილთ პირთ, რომელთაცა დიდი გავლენა აქუსთ საზოგადოებაზედ, შემწეობა? არა თუ შემწეობა, ზოგი ერთი პატივცემული ქართველნი გადამტერებიან კიდეც და მოსპობაც სდომნებიათ, გადამტერებიან იმ საგანს, რომელიცა შეადგნს თჳთან იმათ საკუთრებას, მრთელის ხალხის სარგებლო-

ბას! ამ გვარი საქმე გაკეთდება და წინ წავა არა გადაკიდებით და გიებით, არამედ საზოგადოდ მეცადინეობით, სალხის შემწეობით და არა ერთის და ორის პირით. ამის შემდგომს შეიძლება ვსთქუათ რამ და წუნი დავდვათ «ცისკარს?» შორს დამნასველი ქართველი და შორს საქმის შემტყობიკი დარწმუნდება ამაზედ. ამ რვა წლის განმავლობაში ჩუჴნ ცისკარს ორას კელის მომწერზედ მეტი არა ჰქოლია და მკითხველებიკი თუნდა ოთხი ათასი,--ამითი ჟურნალი წარმატებაში შევა? გიების მთქმელნი და წუნის დამდებნი მრავალნი ჰქოლიან და ჰქვანან, შემწეობის მიმცემნი კი მრიელ ცოტანი. ამ ორასის კელის-მომწერთ ღონის-ძიებით უმოქმედნია გაბედვით ვიტყვით ჩუჴნს ჟურნალს რვა წელიწადს და ექვსასის კელის მომწერითკი თავი ვერ დაუჴერია ვერც ერთს წელიწადს. ბევრს აღარას ვიტყვით, თჳთან საქმე ამტკიცებს

და არც სასოებასა ვკარგავთ, ვნახოთ ის მეცხრე წელიწადი რა შემწეობას მოგვცემს. ვისაც უყვარს მწიგნობრობა და მისდევს კითხვას, იმედი გვაქვს დაგვეხმარებიან მომავალს წელიწადსაცარი, და თუ კიდევ ასე გულგრილათ მოეკიდებიან, კელს არ მოაწერენ და თხოვნით აქა იქ წაიკითხამენ. მაშინ ეს იქნება მიზეზი სრულებით ჟურნალის აღსოცვისა და იმედს ველარ მივცემთ ქართველებს, რომ მეათე წელიწადს ისევ ასე ტანჯვით გამოდიოდეს, როგორც აქამდის გამოდიოდა. ჩვენ სათაკილოთ გვექნება მეათე წელიწადში, ამ დიდს ხნიერებაში, ამდენა რიცხვ ქართველებში ესეთივე ჟურნალი გამოდიოდეს, როგორიც აქამდინ გამოსულა, სხვა არა იყოსრა, უცხო ხალხისათჳს შევიქნებით გასაკიცხავათ. ბოლოს ამ განცხადებაში უნდა მოვახსენოთ თანამშრომლებს მწერლებსაც, რომ გაბედვით შეუძლიანთ გამოგზავნონ დასაბეჭდავათ ის თხზულებაები, სადაცა აღიწერება ჩვენი ნაკლულოვანება, ყოველი ცუდი ჩვენი ზნე-

ობის შესახები, ჩუენ დიდის კმაყოფილე-
ბით დავბეჭდავთ, არავის მოვერიდებით. დრო
არის ჩუენც გავერივნეთ ხალხში, დრო
არის ჩუენზედაცა თქონ ესენიც ხალხნი
ყოფილანო. მოლაყბე ბევრს კარგს გვიმზა-
დებს; თუმცა უკმაყოფილოთ არის რედა-
ქციაზედ, რომელსაცა ბრალი არა აქუს, თუ
რამ დაუბეჭდავი დარჩა, მიზეზიც ბევრთ
მოეხსენებათ. ახლა, ამ განცხადებასთან სი-
ასაც უგზავნით იმ პირებს, რომელთაც გა-
ვლენა აქუსთ იმათ გარეშე მყოფებზედ და
იმედი გვაქუს შემწეობას მოგვცემენ კელის
მომწერთ მოპოებით, უკეთუ სურთ ჩუენი
«ცისკარი» არსებობდეს, წარმატებას მიეცე-
მოდეს და მკითხველნიც სიამოვნებდნენ
სხუა და სხუა ზნეობით მოთხრობების
კითხვით. წელიწადში ყოვლის ენის მცო-
დნესათჳს შჳდი და რვა მანეთი არას შე-
ადგენს და ამით ჩუენს სამშობლოს ლი-
ტერატურასკი დიდს შემწეობას უჩუენებს.-

რედაკტორი ი. კერესელიძე.

# სხჳა და სხჳა ანბავი:

1,—მანუშაკიანცის წიგნის პასუხი (ნათარგმნი). გრ. წინამძღვაროვისა—2 განცხადება. რედაქციისა.

---

## 1 8 6 4 წლის

## «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით. 7 მან.

სხჳა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით. 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.